ResearchGate

See discussions, stats, and author profiles for this publication at: https://www.researchgate.net/publication/331865801

დიპლომატია და პროტოკოლი (ქეისების კრებული)

Book · March 2019

CITATIONS
0

READS
1,966

1 author:

Nana Rusadze
Akaki Tsereteli State University

28 PUBLICATIONS **8** CITATIONS

SEE PROFILE

All content following this page was uploaded by Nana Rusadze on 19 March 2019.

The user has requested enhancement of the downloaded file.

ნანა რუსაძე

დიპლომატია და პროტოკოლი

(ქეისების კრებული)

ნანა რუსაძე

დიპლომატია და პროტოკოლი
(ქეისების კრებული)

ქუთაისი
2019

სახელმძღვანელო განხილულია და რეკომენდებულია გამოსაცემად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №6, 26.02.19).

რედაქტორი:

მარიამ ცაცანაშვილი
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები:

შოთა დოღონაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
დავით გეგეჭკორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
თამაზ გოგბერაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ISBN 978-9941-484-22-3

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail: atsugamomcemloba@gmail.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქეისი №1 - ანდრეი გრომიკო - „Mister No“ _____7
ქეისი №2 - დიპლომატის რჩევები დიპლომატს_____9
ქეისი №3 - დიპლომატია ვაჭრობის ხელოვნება?_____11
ქეისი №4 - საერთაშორისო სასამართლოს იგნორირება_14
ქეისი №5 - ელჩი და „პროფესიული სინდისი“_____26
ქეისი №6 - ზვიად გამსახურდია - დიპლომატია აფხაზეთის მიმართ_____31
ქეისი №7 - დიპლომატი - პირდაპირობა თუ თავშეკავება?_____35
ქეისი №8 - მოქნილი პასუხი ყოფილ პრეზიდენტს_____38
ქეისი №9 - არასრულფასოვანი ინფორმაცია - მცდარი დიპლომატიის საფუძველი_____42
ქეისი №10 - დიპლომატის გააზრებული პასუხი პრეზიდენტს_____48
ქეისი №11 - ბერლუსკონი - დიპლომატთა პრობლემა?__51
ქეისი №12 - დიპლომატიური წარმომადგენლობები რუსეთში_____56
ქეისი №13 - ჩერჩილის პროგრამა_____58
ქეისი №14 - ტეტჩერიზმი_____65
ქეისი №15 - პრეზიდენტის რისხვა შვიმერს_____72
ქეისი №16 - პოლიტიკური „მოჭადრაკე“_____77
ქეისი №17 - მენიუ - გაუგებრობის მიზეზი?_____79
ქეისი №18 - ნიქსონის „შეცდომა“?_____84
ქეისი №19 - ყველა დიპლომატი თანაბარია?_____87
ქეისი №20 - ირანის შაჰი - პრეზიდენტ კარტერის მეგობარი_____89
ქეისი №21 - თბილისი-ბათუმი-ევროსაბჭო_____95
ქეისი №22 - გრეი - დიპლომატთა თავსატეხი_____98
ქეისი №23 - საქართველო ერთა ლიგის მიღმა_____100

ქეისი №24 - ბერლინის კედლის დიპლომატიური რღვევა 104
ქეისი №25 - რეგიონები - ქვეყნის სარკე 108
ქეისი №26 - უპასუხისმგებლო განცხადება 112
ქეისი №27 - კომუნიკაცია პირველ პირებთან - მთავარი პრობლემა 114
ქეისი №28 - დესპანის პასუხი მოქალაქეს 114
ქეისი №29 - დიქტატორი ბრიტანეთის დედოფალთან 118
ქეისი №30 - პრეზიდენტები ბიზნესის სამსახურში 124
ქეისი №31 - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია - პატარა ქვეყნის „ზედმეტი ტვირთი?“ 128
ქეისი №32 - მიუღებელი პასუხი 130
ქეისი №33 - ბელგია და რეგიონალიზმი 132
ქეისი №34 – „მცირე ომი“ 136
ქეისი №35 – „მორჩილება ქცევისა და პასუხისმგებლობის სტანდარტებისადმი“ 151
ქეისი №36 - „სუვერენულობა ნიშნავს პასუხისმგებლობას და არა მხოლოდ ძალაუფლებას“ 155
ქეისი №37 - სახელმწიფოთა კომპლექსური ურთიერთ-დამოკიდებულება 157
ქეისი №38 - პრეზიდენტისა და პრემიერის „უთანასწორო“ შეხვედრა 160
ქეისი №39 - დიპლომატის მინიშნება ჩინეთს 163
ქეისი №40 - უცხოური ვიზიტის ეფექტიანობის საზომი 165

მამის და ძმის- ვალერიან და ზაალ რუსაძეების
ნათელს ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს!

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიპლომატიისა და დიპლომატიური პროტოკოლის აქტუა–ლური საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსები მიზნად ისახავენ სტუდენტს საფუძვლიანად გააცნოს ეტიკეტი და პრო–ტოკოლი, პროტოკოლის ძირითადი პრინციპები, ვენის კონვენ–ცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, პროტოკოლის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში, ეტიკეტი, პრო–ფესიონალიზმი და კარიერა, დიპლომატიის განვითარება დამო–უკიდებელ საქართველოში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

როგორც ზოგადი, ისე ავტორისეული მოკლევადიანი პრაქტი–კა ადასტურებს, რომ საგნის სწავლების პროცესში ეფექტურია ქეის-სწავლების მეთოდის გამოყენება. ეს მეთოდი ინტერაქტიუ–ლია და ორიენტირებულია სტუდენტებისთვის ასათვისებელი მასალის უკეთ დასახსომებლად, პრობლემათა გადაჭრის მიზ–ნით თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად, აგრეთ–ვე რიგი სოციალური უნარების გამოსამუშავებლად.

ქეის-სწავლების ორგანიზებისათვის გამოიყენება კონკრეტუ–ლი სიტუაციების აღწერა, რომელიც ცნობილ ფაქტებსა და ის–ტორიულ პიროვნებებს, მათ ურთიერთობებს უკავშირდება, რაც ერთი მხრივ, ყურადღებას უმახვილებს სტუდენტს ამა თუ იმ მნიშვნელოვან ფაქტზე, მეორე მხრივ ახდენს პრობლემის გადაჭ–რისათვის აუცილებელი ცოდნის მობილიზებას.

აღნიშნული ინტერაქტიული მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოავლინონ ინიციატივა, თეორიული დებულე–ბების ათვისებისას მეტი დამოუკიდებლობის ხარისხი და ჩამო–იყალიბონ პრაქტიკული უნარები.

ქეის-სწავლების მეთოდი საშუალებას გვაძლევს მოვახდი–ნოთ სწავლებისადმი ინტერესისა და პოზიტიური მოტივაციის ფორმირება, სტუდენტების პროფესიონალიზაციის ხელშეწყო–ბა, სწავლების პროცესის კონკრეტიზაცია, სწავლების პროცესში გამოვიყენოთ აქტიური მეთოდები. იგი საუკეთესო საშუალებაა სტუდენტებისათვის გუნდური მუშაობის უნარების ჩამოსაყა–ლიბებლად.

ქეის-სწავლების მეთოდის განსაკუთრებული მხარეა მისი ეფექტური შეთანაწყობა და ინტეგრაცია სწავლების სხვა (კლასი–ფიკაციის, აღწერის, დისკუსია, პრობლემური მეთოდი, სისტე–მური ანალიზი, მოდელირება და სხვ.) მეთოდებთან.

ჩვენს მიერ გამოყენებული ქეისები მნიშვნელოვან ფაქტებს უკავშირდება. ისინი კონკრეტული საკითხის ირგვლივ ცოდნის გენერირებისა და გაღრმავებისაკენ, პრაქტიკული უნარ-ჩვევე–ბის გამომუშავებისაკენ არის მიმართული.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო მოიცავს 40 ქეისს. თით–ქმის ყველა ქეისში არის რუბრიკა „მეტი ცოდნისათვის“, რაც სტუდენტს დაეხმარება როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავე–ბაში, ისე კონკრეტულ ქეისზე სამუშაოდ.

ავტორი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს მკითხველთა შენიშვნებს, მოსაზრებებს და რეკომენდაციებს (ელექტრონული ფოსტა: nana.rusadze@atsu.edu.ge)

ქეისი № 1
ანდრეი გრომიკო - „Mister No“

1962 წელს უაღრესად დაიძაბა ურთიერთობა აშშ-სა და სსრკ-ს შორის, რამაც კარიბის კრიზისის სახელწოდება მიიღო. კონფლიქტის არსი შემდეგში მდგომარეობდა: სსრკ-მა ატომური რაკეტები განალაგა კუბის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად აშშ-ის სანაპიროებთან. ოპერაცია წარიმართა გრიფით „განსაკუთრებით საიდუმლო“, რომლის შესახებ თვით აშშ-ში სსრკ-ის ელჩმა არ იცოდა. 38 დღის განმავლობაში მსოფლიო ომის მოლოდინში იყო, სანამ სსრკ-მა რაკეტები არ გამოიყვანა აღნიშნული ტერიტორიებიდან, რითაც მოიხსნა ბირთვული საფრთხე.

მომხდარი, გარკვეულწილად დიპლომატის პოზიციასაც უკავშირდება. სსრკ-ს ელში აშშ-ში **ანდრეი გრომიკო** მოლაპარაკებებს აწარმოებდა აშშ-ს პრეზიდენტ კენედისთან, თუმცა არ ფლობდა რა სარწმუნო ინფორმაციას, დიპლომატმა ვერ შეძლო სათანადო დონეზე მოლაპარაკებების წარმოება.

ა. გრომიკოს სახელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს შექმნაში უშუალო მონაწილეობას უკავშირდება. სსრკ-ის სახელით სწორედ მან მოაწერა ხელი გაეროს წესდებაზე. ა. გრომიკო იყო ჯერ წევრი, შემდეგ კი სსრკ-ს დელეგაციის ხელმძღვანელი გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე. სსრკ-ს - გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, ჰქონდა ვეტოს უფლება, რასაც იყენებდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკური ინტერესების დასაცავად.

კითხვები:

- იმსჯელეთ გრომიკოს შემდეგი ცნობილი ფრაზის შესახებ: „ათი წლის მანძილზე მოლაპარაკებები ჯობია ომის ერთ დღეს“;

- როგორ მიგაჩნიათ, უნდა ფლობდეს თუ არა ელჩი სრულყოფილ ინფორმაციას ორ ქვეყანას შორის მიმდინარე პროცესებზე, მ.შ. ოპერაციებზე, რომელიც „გრიფით საიდუმლო“ რეჟიმში იგეგმება?
- იმსჯელეთ გაეროს უშიშროების საბჭოში სსრკ-ს (შემდგომში რუსეთის ფედერაციის) ვეტოს უფლების პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებზე.

მეტი ცოდნისათვის:

ანდრეი გრომიკო (1909-1989), საბჭოთა სინამდვილეში №1 დიპლომატი იყო. განსაკუთრებული პიროვნული თვისებების, ნათელი გონების, ფხიზელი აზროვნების და უზადო განათლების წყალობით იგი ყოფილი სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს 28 წელი ხელმძღვანელობდა. დაიბადა სოფელ სტარიე გრომიკებში (ბელორუსი), ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა მინსკის ეკონომიკის ინსტიტუტი და მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა. შესანიშნავად ფლობდა ინგლისურ ენას, რამაც ხელი შეუწყო მის დიპლომატიურ კარიერას - 1939-1946 წლებში დაინიშნა ჯერ სსრკ-ის წარმომადგენლობის მრჩევლად აშშ-ში, ხოლო შემდეგ ელჩად აშშ-ში. იგი აქტიურად მონაწილეობდა კუბასთან დიპლომატიურ ურთიერთობებში, სამი მსოფლიო კონფერენციის მომზადებაში (თეირანის, პოტსდამის, იალტის). მისი სახელი უშუალოდ უკავშირდება გაეროს დაარსებას.

1966 წელს აწარმოებდა მოლაპარაკებებს ინდოეთსა და პაკისტანს შორის საომარი მოქმედებების თავიდან აცილების შესახებ. 1968 წელს ა.გრომიკოს მონაწილეობით მომზადდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმება.

დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმართვის პრინციპული, შეუვალი მანერის გამო კოლეგებმა ა.გრომიკოს „ბატონი არა“ შეარქვეს. ამის შესახებ გრომიკო აღნიშნავდა, რომ ჩემს „არა“ -ზე მეტად მოლაპარაკებისას მათი “NO” მესმოდაო.

ა. გრომიკომ შეძლო დაერწმუნებინა სსრკ-ს მეთაურები ისრაელთან სამხედრო ქმედებების მიზანშეუწონლობის შესახებ, თუმცა ვერ შეაჩერა ავღანეთში სსრკ-ს მიერ ჯარების შეყვანა.

მისი ცხოვრებისეული კრედო იყო: „დაუშვებელია უიმედობა. ადამიანები ფიზიკურად კვდებიან, სულიერად კი არასდროს. საჭიროა რწმენა“.

ქეისი № 2

დიპლომატის რჩევები დიპლომატს

ცნობილი საბჭოთა დიპლომატის ანდრეი გრომიკოს (1909-1989) ამერიკანისტი და აფრიკანისტი ვაჟი - **ანატოლი გრომიკო** 1961 წელს გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის სრულუფლებიან ელჩის მრჩევლად დაინიშნა. სანამ იგი ამ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, ა.გრომიკომ ახალბედა დიპლომატს შემდეგი რჩევები მისცა:

- არასოდეს დალიო სასმელი ოფიციალური მიღებების დროს;
- გახსოვდეს, რომ დიპლომატი სირჩის საშუალებით ითხრის თავის სამარეს;
- იყავი მოკრძალებული და იმაზე მეტად ნუ გამოიჩენ თავს, ვიდრე საჭიროა;

- ეცადე მეტი მოისმინო და ნაკლები ისაუბრო;
- თუ არ ხარ დარწმუნებული, რომ საჭიროა რაღაცის აუცი–ლებლად თქმა, უმჯობესია დადუმდე;
- მეგობრულ ურთიერთობებში არ შეხვიდე უცხოელებთან: პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვის ეს ძალიან მძიმე ტვირთია.

კითხვები:

- იმსჯელეთ დიპლომატის რჩევების შესახებ;

- ზემოთ მოტანილი რჩევების შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა და მსოფლიოს რეალობა მკვეთრად შეიცვალა. თქვენი აზრით, მისაღებია თუ არა ეს რჩევები დიპლომატი–სათვის თანამედროვე პირობებშიც?

მეტი ცოდნისათვის:

ანატოლი გრომიკო დაიბადა 1932 წლის 15 აპრილს ბელორუსიაში, ქ. ბო–რისოვოში. 1954 წელს წარმატებით დაამ–თავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთი–ერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (МГИМО). 1961-1965 წლებში იგი გახ–ლდათ საბჭოთა კავშირის საელჩოს პი–რელი მდივანი, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1965 წლიდან მუშაობდა გაზეთ „ნოვოსტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, ხოლო 1966 -1968 წლებში - სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტი–ტუტის სექტორის გამგედ, (1976-1991 წლებში ამავე ინსტიტუ–ტის დირექტორად). 1968 წლიდან კი აშშ და კანადის ინსტიტუ–ტის განყოფილების უფროსად. 1970 წელს დაიცვა დისერტაცია,

ხოლო 1973 წლიდან იყო აშშ-ში სსრკ-ს საელჩოს დესპანი, ხოლო იგივე პოზიციაზე მუშაობდა გდრ-ში 1974 წლიდან.

ა. გრომიკო სხვადასხვა დროს იყო აფრიკის ხალხებთან მეგობ–რობის საბჭოთა ასოციაციის პრეზიდენტი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი, ევროპული უსაფრთხოებისა და თა–ნამშრომლობის საბჭოთა კომიტეტის წევრი. 1991 წლიდან იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 2010 წლიდან მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახელობის სახელმწი–ფო უნივერსიტეტის პროფესორი.

გარდაიცვალა 2017 წლის 25 სექტემბერს.

ქეისი № 3

დიპლომატია ვაჭრობის ხელოვნება?

1828 წელს რუსეთსა და სპარსეთს (ირანს) შორის დაიდო ხელ–შეკრულება (თურქმენჩაის ზავი), რომლითაც დასრულდა რუ–სეთ-ირანის 1826-1828 წლების ომი. ირანს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა ინგლისი, რომელსაც არ სურდა რუსეთის გაბატონე–ბა სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით, კასპიისპირეთში. ირანს დაეკისრა 10 კურურის (20 მლნ. ვერცხლის მანეთი) კონტრიბუ–ცია. ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობდა **ალექსან–დრე გრიბოედოვი** (1795-1829), ამავე წელს გრიბოედოვი დაინიშ–ნა რუსეთის ელჩად სპარსეთში (ირანში). მისი მთავარი ამოცანა იყო მიეღწია სპარსეთის შახის მიერ ომისშემდგომი კონტრიბუ–ციის გადახდის ვალდებულების შესრულებისათვის.

ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლების შეუსრულებლობის გამო ვითარება გამწვავდა სპარსეთის შახსა და ელჩს შორის. 1829 წლის 11 თებერვალს ათასამდე ფანატმა ისლამისტმა დაარბია სა–ელჩო, რასაც ელჩის სიცოცხლესთან ერთად რუსეთის ინტერესე–ბის დამცველი 50-მდე სხვა ადამიანიც შეიწირა.

დიპლომატიური სკანდალის მოგვარებისათვის ირანის შახმა შვილიშვილი, ხოზრევ-მირზა გაგზავნა პეტერბურგში. მან დაღ–ვრილი სისხლის გამოსასყიდად ნიკოლოზ პირველს ძვირფასი საჩუქრები ჩაუტანა, რომელთა შორის იყო ლალის და ზურმუხ–ტის ქვები და მთავარი - ძღვენი ალმასი „შახი“ (88,7 კარატი). ეს ქვა დღემდე ინახება მოსკოვის კრემლის ალმასის ფონდში.

ძღვენმა თავისი როლი შეასრულა და იმპერატორმა 1 კურუ–რით (2 მლნ.მანეთი) შეუმცირა კონტრიბუცია, დანარჩენის გა–დახდა კი 5 წლით გადაუვადა.

ოსმალეთთან ომის გამო რუსეთის მთავრობამ თავი შეიკავა ირანთან ომის განახლებისაგან და კონფლიქტი დიპლომატიური გზით მოაგვარა.

კითხვები:

- შეაფასეთ იმპერატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება;
- შეაფასეთ სპარსეთის (ირანის) შახის ქმედება კონფლიქტის მოგვარების მიზნით;

მეტი ცოდნისათვის:

ალექსანდრე გრიბოედოვი (1795-1829) - რუსი მწერალი და დიპლომატი, განსაცვიფრებელი ინტელექტისა და უკიდეგანო განათლების მქონე ადამი–ანი გახლდათ. იგი პერსტიჟულ მოს–კოვის უნივერსიტეტში მიიღეს, სადაც სამწერლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და 1812 წელს მეცნიერებათა კან–დიდატის აკადემიური ხარისხი მიიღო. მან სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო და აქაც იურიდიულ მეცნიე–

რებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. შემდგომი კარიერა რუსულ დიპლომატიურ სამსახურში განაგრძო და აქე–დან, 1813 წელს, ის სპარსეთში მოხვდა. ამასობაში მან რამდენიმე უცხო ენა შეისწავლა (ფრანგულის, ინგლისურის, იტალიურის, არაბულისა და სპარსულის ჩათვლით) და ლექსების, პიესებისა და მუსიკის წერაც დაიწყო.

1822 წლიდან მსახურობდა თბილისში – თავდაპირველად მთავარმართებელ ერმოლოვთან, შემდეგ პასკევიჩთან. დაუახ–ლოვდა მოწინავე ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით ა. ჭავჭავაძის ოჯახს; 1827 წელს მიანდეს ირანსა და ოსმალეთთან დიპლომატიური ურთიერთობის წარმართვა. 1828 წელს დანიშ–ნეს რუსეთის მინისტრ–რეზიდენტად (სრულუფლებიან წარმო–მადგენლად). მისი მთავარი თხზულებაა კომედია "ვაი ჭკუისა–გან"(სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1862 წელს).

შემონახულია ცნობები, რომ "ვაი ჭკუისაგან" პირველად ა.ჭავჭავაძის სახლში წარმოუდგენიათ, ხოლო შემდეგ რომან ბაგ–რატიონის სასახლეში (გრიბოედოვის სახელობის თეატრის ყო–ფილი შენობა). მის სახელთანაა დაკავშირებული გაზეთ "ტიფ–ლისსკიე ვედომოსტის" გამოცემა, სამაზრო სკოლების გახსნა, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების ცდა, "კომერციუ–ლი ბანკის" დაარსება.

მასვე ეკუთვნის აღა–მაჰმად–ხანის მიერ დანგრეული თბი–ლისის განახლების პროექტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი მთელი ამიერკავკასიის სამეურნეო-კულტუ–რული გარდაქმნის პროექტი. საქართველოსთანაა დაკავშირებუ–ლი მისი მხატვრული შემოქმედების ნაწილი: ლექსი "იქ, სადაც რბის ალაზანი", პოემა "მეყალიონეები", ფრაგმენტები დაუმთავ–რებელი ტრაგედიისა "ქართული ღამე", გეგმა ტრაგედიისა "რა–დამისტი და ზენობია".

1829 წელს იგი ვერაგულად მოკლეს თეირანში დიპლომატიუ–რი მისიის შესრულებისას.

ალექსანდრე გრიბოედოვი თბილისში, მთაწმინდაზე დაკ–რძალეს. ნინომ მისი საფლავის ქვაზე შემდეგი სიტყვები ამო–აკვეთინა: "შენი აზრები და საქმენი რუსი ერის მეხსიერებაში სამარადჟამოდ აღიბეჭდება, მაგრამ რატომ აღმოჩნდა ჩემი შენ–დამი სიყვარული შენზე უფრო დღეგრძელი?"

ქეისი № 4

საერთაშორისო სასამართლოს იგნორირება

1998 წლის მარტში აშშ-ში, ვირჯინიის შტატში დააკავეს და შემდგომში გაასამართლეს პარაგვაელი **ენჯელ ბრეარდი,** რომელ–მაც აღიარა დანაშაული. მას მიეცა იურისტების მხრიდან დაცვის უფლება, მაგრამ არ მიეცა პარაგვაელ საკონსულო თანამდებო–ბის პირებთან კონტაქტის საშუალება, ისინი არ იყვნენ ინფორ–მირებული მისი დაპატიმრების თაობაზე. 1963 წლის ვენის კონ–ვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ ავალდებულებდა აშშ-ს უზრუნველეყო საკონსულოს წარმომადგენლის ინფორ–მირება. პარაგვაიმ საქმე გადასცა საერთაშორისო სასამართლოს იმ მოტივით, რომ აშშ-მ დაარღვია **1963 წლის ვენის კონვენციით** ნაკისრი ვალდებულება და შეწყვეტილიყო საქმის აღსრულება. საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, შეეჩერებინათ დასჯის პროცესი, ვირჯინიამ განაჩენი სისრულე–ში მოიყვანა.

კითხვები:

- როგორ ახსნიდით განვითარებულ მოვლენებს?

- თქვენი აზრით, როგორი რეაგირება უნდა მოჰყოლოდა გაე–
როს მხრიდან ამ პრეცედენტს?

მეტი ცოდნისათვის:

ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ და–
დებულია 1963 წლის 24 აპრილს სახელმწიფოების მიერ, რომ–
ლებიც აღნიშნავენ, რომ საკონსულო ურთიერთობა ხალხთა
შორის ძველთაგანვე მყარდებოდა, მხედველობაში იღებენ გაერ–
თიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და მისი წესდების
პრინციპებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, საერ–
თაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განვითარებისათვის
ხელშეწყობის მიმართ, ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის კონფერენციამ დიპლომატიური ურთი–
ერთობისა და იმუნიტეტების თაობაზე მიიღო ვენის კონვენცია
დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, რომელიც ხელმოსა–
წერად გაიხსნა 1961 წლის 18 აპრილს. მხარეები დარწმუნებუ–
ლი არიან, რომ საკონსულო ურთიერთობის, პრივილეგიებისა
და იმუნიტეტების შესახებ საერთაშორისო კონვენციის დადება
ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობის
განვითარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების
განსხვავებათა მიუხედავად, შეგნებული აქვთ, რომ ასეთი პრი–
ვილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ არა ცალკეულ პირთა
გამორჩენისათვის, არამედ იმისათვის, რომ საკონსულო დაწე–
სებულებანი ეფექტიანად ასრულებდნენ ფუნქციებს თავიანთი
სახელმწიფოების სახელით. ისინი ადასტურებენ, რომ ჩვეულე–
ბითი საერთაშორისო სამართლის ნორმები კვლავაც არეგული–
რებენ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ არ არის გათვალისწინე–
ბული ამ კონვენციის დებულებებით.

გაერთიანებული ერების ორ– განიზაცია, გაერო - საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციაა. გაე–როს შექმნის საფუძველი გახდა ნა–ცისტური გერმანიისა და მისი ბლო–კის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა გაერთიანება ერთ დიდ, მძლავრ კოალიციად. რასაც მოჰყვა ატლანტიკის ქარტია. ის გახდა გაეროს შექმნის საფუძველი. ამიტომ ძალიან მოკლედ ატლანტიკის ქარტიაც მიმოვიხილოთ. ატლანტიკის ქარტია არის ანტიჰიტლერული კოალიციის ერთ-ერთი ძირითადი საპ–როგრამო დოკუმენტი. იგი განხილული და მიღებული იქნა ატ–ლანტიკის კონფერენცია «Riviera» -ზე ბრიტანეთის პრემიერის უინსტონ ჩერჩილის და აშშ პრეზიდენტის რუზველტის მიერ. აღნიშნულის შესახებ საჯაროდ გაცხადდა 1941 წლის 14 აგვის–ტოს. მოგვიანებით, 24 სექტემბერს მას მიუერთდა სხვა12 ქვეყანა (სსრკ, პოლონეთი, საფრანგეთი, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, საბერ–ძნეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია და იუგოსლა–ვია). ატლანტიკის ქარტიას უნდა განესაზღვრა მსოფლიო მოწყო–ბა მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეების გამარჯვების შემდეგ.

1942 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში 26 სახელმწიფომ ხელი მო–აწერა „გაერთიანებული ერების დეკლარაციას“, რომლიდანაც შემდგომ წარმოსდგა ორგანიზაციის სახელწოდება. გადაწყვეტი–ლება ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე მი–იღო სამმა დიდმა სახელმწიფომ – სსრკ, აშშ და დიდმა ბრიტანეთ–მა (დაგვიანებით ამ სიას ჩინეთიც შემოუერთდა) – 1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვის კონფერენციაზე. ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ „ერთა ლიგის“ არსებული ორგა–ნიზაცია პოლიტიკური და ორგანიზაციული მანკიერების გამო

უძლური აღმოჩნდა თავიდან აეცილებინა კაცობრიობისათვის მეორე მსოფლიო ომი.

ორგანიზაციის წესდება შემუშავებული იქნა დუმბარტონ-ოქ–სის 1944 წლის აგვისტოს კონფერენციასა და ყირიმის 1945 წლის თებერვლის კონფერენციებზე, დიდი სამეულის მეთაურთა (ჩერჩილი, სტალინი, რუზველტი) მიერ. ამის შემდეგ გადაწყდა წესდების განსახილველად და მისაღებად სან-ფრანცისკოს კონ–ფერენციის მოწვევა, რომელიც ჩატარდა 1945 წლის 26 ივნისს, სა–დაც 50 სახელმწიფომ მოაწერა ხელი გაეროს წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ეს დღე ყოველწლიუ–რად აღინიშნება მსოფლიოში როგორც გაერთიანებული ერების დღე. გაეროს ემბლემაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე შეიმუ–შავეს, ხოლო დროშა, რომელზეც ეს ემბლემაა გამოსახული, 1947 წლიდან გამოიყენება.

გაეროს წესდება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება უმნიშვნე–ლოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელშიც განსაზ–ღვრულია ორგანიზაციის ძირითადი მიზნები და ფუნქციები. იგი შეიცავს 19 თავსა და 111 მუხლს. მასში ასახულია თანამედ–როვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი დემოკრატიული პრინციპები. წესდების თანახმად გაეროს მთავარი მიზნებია:

- დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა;
- განავითაროს სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობა, დაფუძვნებული ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპზე;
- განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკო–ნომიკური(რომ ბოლო მოეღოს სიღატაკეს), სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭ–რელად;
- ხელი შეუწყოს ადამიანის ძირითად უფლებათა საყოველ–

თაო პატივისცემას ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად;

ამ მიზნის მისაღწევად გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

- გაერო დაფუძვნებულია ყველა სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორობაზე;
- ურთიერთშორისი დავა მათ უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ მშვიდობიანი გზით, რათა საფრთხე არ შეექმნას საერთა–შორისო მშვიდობასა და სამართლიანობას;
- საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავონ ძა–ლისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისგან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტი–კური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ;
- ყოველნაირად უნდა დაეხმარონ გაეროს და თავი შეიკა–ვონ იმ სახელმწიფოთათვის დახმარებისაგან, რომლის წი–ნააღმდეგ გაერო პრევენციულ თუ იძულებით ღონისძიე–ბებს ახორციელებს;
- გაერო ვერ ჩაერევა ისეთ საქმეში, რომელიც არსებითად სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციას განეკუთვნება, გარ–და იმ შემთხვევისა, როდესაც გაერო მოვალეა იძულების ზომები მიიღოს საერთაშორისო მშვიდობის დასაცავად ან აღსადგენად.

გაერო ყოველთვის იყენებს კონფლიქტის განმუხტვის მშვი–დობიან ფორმებს. მაგ.:

- იღებს მშვიდობის დამრღვევთა წინააღმდეგ რეზოლუცი–ას ჯარების გაყვანის, ტერიტორიების გათავისუფლების და ა.შ. მოთხოვნით;
- შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მრავალეროვანი სამ–ხედრო ძალების ე.წ. „ცისფერჩაფხუტიანების“ გაგზავნა;
- მრავალეროვანი სამხედრო ძალების ჩართვა უშუალო

ბრძოლაში, სადაც მათი ძირითადი ფუნქციაა დაპირისპირებულ მხარეების დაშორება, ფრონტებს შორის ნეიტრალური გამყოფი ზონის დაცვა, დაზავების პირობების შესრულების გაკონტროლება.

გაეროს სტრუქტურა

გაეროს მთავარი ორგანოებია:

- გენერალური ასამბლეა – გაეროს მთავარი სათათბირო ორგანო, სადაც წარმოდგენილია გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო. თითოეულ მათგანს ხმის მიცემის თანაბარი უფლება აქვს (1 ხმა, არა აქვს მნიშვნელობა, სახელმწიფო პატარაა, თუ დიდი). სახელმწიფო დელეგაციები უნდა შედგებოდეს არაუმეტეს 5 წარმომადგენლისაგან. გენერალური ასამბლეა მოიწვევა ყოველწლიურად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოწვეული იქნას სპეციალური ან საგანგებო სპეციალური სესიები. გენერალური ასამბლეა იკრიბება თავის ყოველწლიურ სესიაზე სექტემბრის მესამე სამშაბათს და იანვრამდე განაგრძობს მუშაობას;
- უშიშროების საბჭო – გაეროს მუდმივმოქმედი ორგანო. გაეროს წესდების შესაბამისად უშიშროების საბჭოს აქვს დაკისრებული მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. იგი 15 წევრისგან შედგება. 5 მათგანი - აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი და ჩინეთი - საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსით სარგებლობს. დროებითი 10 წევრი კი 2 წლის ვადით, გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით, გენერალური ასამბლეის მიერ აირჩევა. უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები ერთპიროვნული ვეტოს უფლებით სარგებლობენ , (ვეტოს უფლება, რომელიც სატლინის ინიციატივით მიიღეს და დღესაც პრობლემებს ქმნის), ანუ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი მათგანის უარი საკითხის ჩავარდნას ნიშნავს. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს 9 წევრის თანხმობა, თანაც არც ერთი მუდმივი წევრი სა–

კითხის წინააღმდეგი არ უნდა იყოს. უშიშროების საბჭო პლენა–
რულ სესიებს არ ატარებს. საჭიროების შემთხვევაში მისი შეკრე–
ბა უმოკლეს დროში შეიძლება - რომელიმე, თუნდაც არაწევრი
სახელმწიფოს თხოვნით ან გენერალური მდივნის მოწოდებით.
საბჭოს წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველ–
ყონ მათი წარმომადგენლების განთავსება ნიუ-იორკში, გაეროს
შტაბ-ბინაში. უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენ–
ტი, რომლის ფუნქციებს მონაცვლეობით ერთი თვის ვადით
საბჭოს წევრი-სახელმწიფოს წარმომადგენლები ასრულებენ. რი–
გითობა ლათინური ანბანის მიხედვით განისაზღვრება. უშიშრო–
ების საბჭოს სხდომას გაეროს გენერალური მდივანიც ესწრება.

- ეკონომიკური და სოციალური საბჭო – გაეროს ორგანო,
რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს გამოკვლევები და შეად–
გინოს ანგარიშები საერთაშორისო საკითხებზე ეკონომიკის, სო–
ციალურ ურთიერთობათა, კულტურის, განათლების, ჯანდაც–
ვის, ადამიანთა უფლებების, ეკოლოგიის და სხვა სფეროებში.
(გაეროს აქვს ერთ-ერთი კვლევის ძალიან საინტერესო შედეგები
გამოქვეყნებული: გვირჩევს აუცილებლად ჩავრთოთ კვების რა–
ციონში მწერები).

- სამეურვეო საბჭო – გაეროს ორგანო, რომლის მიზანია კო–
ლონიებისა და დამოკიდებული ტერიტორიების განვითარებაზე
ზრუნვა მათ დამოუკიდებლობამდე.

- საერთაშორისო სასამართალო – გაეროს მთავარი სასამარ–
თლო ორგანო შეიქმნა 1945 წელს. მისი მიზანია სახელმწიფოთა
შორის დავების გადაწყვეტა მათი თანხმობით და იძლევა კონ–
სულტაციებს და დასკვნებს სამართლებრივ საკითხებზე.

- სამდივნო – გაეროს ბიუროკრატიული ორგანო, რომლის
წევრები ახორციელებენ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმია–
ნობას და მის პროექტებს. სამდივნოს ხელმძღვანელობს გაეროს
მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი – გენერალუ–

რი მდივანი, რომელიც ინიშნება გენერალური ასამბლეის მიერ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით 5 წლის ვადით. 1997 წლი–დან შემოიღეს გაეროს ვიცე–გენერალური მდივნის თანამდებო–ბა, რომელიც ეხმარება გენერალურ მდივანს. სამდივნოს თანამ–შრომელთა რაოდენობა 30 ათასს აჭარბებს.

გაეროს სისტემაში შედიან აგრეთვე:

- გაეროს დამხმარე ორგანოები: მსოფლიო სასურსათო საბ–ჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვ.
- გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები: საერთა–შორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, იუნესკო, იუნიდო და სხვები.
- სხვა ავტონომიური საერთაშორისო ორგანიზაციები: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ატომური ენერგიის საერთაშო–რისო სააგენტო.

შტაბ-ბინა. გაეროს მთავარი ბინა ნიუ-იორკში კუნძულ მან–ჰეტენზე მდებარეობს და 7,3 ჰექტარს მოიცავს. აქ არის მისი მუდმივმოქმედი ორგანოები – უშიშროების საბჭო და სამდივ–ნო. მეტწილად, გაეროს ასამ–ბლეის ძირითად დარბაზში, რომელიც ფერნან ლეჟეს ესკი–ზებითაა მოხატული, ტარდება მთავარი და დამხმარე ორგანოების სესიები. გაეროს ცენტრალუ–რი ოფისის კომპლექსი ოთხი შენობისგან შედგება. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ამერიკელი არქიტექტორი უოლეს ჰარისო–ნი და მოიცავს გენერალური ასამბლეის კორპუსს, სამდივნოს 39-სართულიან შენობას, საკონფერენციო კომპლექსსა და დაგ

ჰამერშელდის სახელობის ბიბლიოთეკას (გაეროს ასევე გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა). გაეროს კომპლექსი საერთაშორი–სო ზონაში, ნეიტრალურ ტერიტორიაზეა, ამიტომ მას საკუთარი დროშა, დაცვა, პოლიცია, პასპორტი, საფოსტო მარკები და სხვა ატრიბუტიკა აქვს. გაეროს წევრი სახელმწიფოების დროშები პირველ ავენიუზეა განთავსებული. გაეროს შენობების კომპლექ–სი ორგანიზაციას ბანკირმა ჯონ როკფელერმა აჩუქა. მან იგი 8 მილიონ დოლარად შეისყიდა. გაეროს ზოგიერთი ორგანოები მუშაობენ მის ევროპულ ოფისებში ჟენევასა და ვენაში.

ოფიციალური ენები. გაეროს ოფიციალური ენებია: ინგლი–სური, რუსული, არაბული, ესპანური, ფრანგული და ჩინური. ამ ენებზეა შედგენილი წესდების ავთენტიკური თარგმანები, შე–იძლება სიტყვით გამოსვლა გაეროს ორგანოებში და ქვეყნდება გაეროს დოკუმენტაცია. გაეროს სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული, ზოგიერთ ორგანოებში ასევე ესპანური და რუსული.

ბიუჯეტი. გაეროს ბიუჯეტი შედგება წევრი ქვეყნების ყო–ველწლიური შენატანებისაგან. ორგანიზაციის ბიუჯეტის 25%-ს ავსებს აშშ. „მსხვილი გადამხდელები“ არიან აგრეთვე,იაპონია (10,8%), გერმანია (8,3%), საფრანგეთი (6,4%), დიდი ბრიტანეთი (4,9%).

აღსანიშნავია, რომ გაეროს აქვს თავისი რადიო, ტელევიზია და ჟურნალი, რომელიც გამოდის ყოველდღიურად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

გაეროს წევრები

გაეროს წევრად სახელმწიფოს მიღება ხდება უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით გენერალური ასამბლეის მიერ, თუ ის ორგანოები მიიჩნევენ, რომ მიღების მთხოვნელი მშვიდობისმოყ–ვარე სახელმწიფოა და ნამდვილად სურს და შეუძლია შეასრუ–ლოს წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებები. უშიშრო–ების საბჭოს რეკომენდაციით, გენერალურ ასამბლეას შეუძლია

შეაჩეროს იმ წევრი სახელმწიფოების უფლება-პრივილეგიების განხორციელება, რომლის მიმართაც უშიშროების საბჭო პრევენ–ციულ თუ იძულებით ზომებს იღებს და გაეროდან გარიცხოს სა–ხელმწიფო, რომელიც სისტემატურად არღვევს წესდების პრინ–ციპებს. ამჟამად გაეროს წევრია 195 სახელმწიფო. გარდა ამისა, დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ ვატიკანი და პალეს–ტინის განთავისუფლების ორგანიზაცია.

გაეროს გენერალური მდივნები

I ტრიუგვე ლი (გაეროს ხელმძღვანელობის პერიოდი 1946-1953), ნორვეგიელი პოლიტიკური მოღვაწე (1896-1968)

II დაგ იალმარ ჰამარშელდი (1953-1961), შვედი სახელმწიფო მოღვაწე (1905-1961, დაიღუპა ავიაკატასტროფაში)

III უ ტანი (1962-1971), ბირმელი დიპლომატი (1909-1974)

IV კურტ ვალდჰაიმი (1972-1981) ავსტრიელი პოლიტიკოსი, ავსტრიის მეცხრე ფედერალური პრეზიდენტი 1986-1992 წლებ–ში (დაბ. 1918-2007 გარდ.)

V ხავიერ პერეს დე კუელიარი (1982-1991), პერუელი დიპლო–მატი (დაბ. 1920)

VI ბუტროს ბუტროს გალი (1992-1996), ეგვიპტელი დიპლომა–ტი (1920-2016)

VII კოფი ატა ანანი (1997-2006), განელი დიპლომატი, 2001 წლის ნობელიანტი მშვიდობის დარგში (1938–2018)

VIII პან გი მუნი (2007, 2016 დეკემბერი, მეორე ვადით), სამ–ხრეთ კორეის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი, დიპლო–მატი (დაბ. 1944).

IX (ახლანდელი) **ანტონიუ გუტერიში** მოვალეობების შესრუ–ლებას 2017 წლის 1 იანვრიდან შეუდგა. პორტუგალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღ–ლესი კომისარი დაიბადა 1949 წელს.

გაერო და საქართველო

1992 წლის 31 ივლისს საქართველო გახდა გაეროს 179-ე წევ–რი ქვეყანა, რასაც 1993 დასაწყისში საქართველოში გაეროს ოფი–სის გახსნა მოჰყვა. მას შემდეგ ქვეყანაში გაეროს ბევრი სააგენტო, ფონდი და პროგრამა დამკვიდრდა. გაეროს სადამკვირვებლო მისია, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს 858-ე რეზოლუცი–ით შეიქმნა, ითვალისწინებდა საქართველოსა და აფხაზეთის სე–პარატისტული ხელისუფლების შეიარაღებულ წევრებს შორის ზავსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე დსთ-ის სამშვიდობო ძალე–ბის მონიტორინგს. მისიას აქვს ოფისები თბილისსა და სოხუმში.

მისია უშუალოდ გაეროს გენერალურ მდივანს ემორჩილება. მას ხელმძღვანელობს სპეციალური წარმომადგენელი, ბელგი–ელი იოაჰან ვერბეკი, რომელმაც ფრანგი დიპლომატი ჟან არნო შეცვალა.

გაეროს მისიის ძირითადი ამოცანაა ცეცხლის შეწყვეტის შე–თანხმების შესრულების კონტროლი. ცეცხლის შეწყვეტის შეთან–ხმების დარღვევები შეისწავლება ორივე მხარის სურვილის შემ–თხვევაში.

გაეროს მისია აკვირდებოდა ასევე მოვლენებს ენგურის, გა–ლის, კოდორის და ზუგდიდის მიდამოებში. გაეროს მისიის ფუნქციაში შედის დევნილებისათვის აფხაზეთში დაბრუნების ხელშეწყობა. გაეროს მისიას აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი აფხაზეთში, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს. ოფისი თანამშრომ–ლობს ევთოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარ–თან.

გარდა ამისა, მისია ხელს უწყობს კონფლიქტის ზონაში ინ–ფრასტრუქტურის აღდგენას. ჯამში განხორციელებულია ქუჩე–ბისა და ხიდების აღდგენის 31 პროექტი.

გაეროს მისიის მანდატი გაგრძელდა 2009 წლის 15 თებერ–ვლამდე, ხოლო შემდეგ 15 ივნისამდე. 2009 წლის 15 ივნისს გაე–როს უშიშროების საბჭოში რუსეთმა ვეტო დაადო საქართველო–ში გაეროს სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელებას.

გაეროს ის სააგენტოები, რომელთაც მუდმივი წარმომადგენ–ლობა აქვთ ქვეყანაში საქართველოს გაეროს სააგენტოთა ჯგუფ–ში (UNCT) ერთიანდებიან. საქართველოს გაეროს სააგენტოთა ჯგუფს გაეროს მუდმივი კოორდინატორი ხელმძღვანელობს. ეს ჯგუფი საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადო–ებასთან, სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებ–თან მჭიდრო თანამშრომლობის გზით მუშაობს საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2016-2020 წლების გაეროს სა–ქართველოსთან თანამშრომლობის გეგმა მდგრადი განვითარე–ბისთვის, რომელიც მუშაობისთვის მნიშვნელოვან და ურთიერ–თდაკავშირებულ მიმართულებებს გამოჰყოფს. გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის არის ცოცხალი დოკუმენტი. იგი საშუალებას აძლევს გაეროს სააგენტოთა ჯგუფს თვალი მი–ადევნოს საკუთარ მუშაობას და მათი საქართველოში საქმიანო–ბის მთავარი მიმართულებები შეუსაბამოს ქვეყნის საჭიროებებ–სა და პრიორიტეტებს.

აღსანიშნავია, რომ ჟენევაში, გაეროს ოფისში ქართული ქვევ–რის განთავსების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ორგანიზაცი–ის დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ მას ქართული ქვევრი უსახსოვრა. ეს ის ქვევრია, რომელიც იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდ–რეობის ნუსხაში შეიტანა. ქვევრთან განთავსდა დაფა, რომელიც ინფორმაციას აწვდის დამთვალიერებელს ძეგლის წარმოშობის შესახებ.

ქეისი №5
ელჩი და „პროფესიული სინდისი“

1933 წელს ინგლისის ელჩს სერ **ედმონდ ოვის** ერთ-ერთ მწვავე საკითხზე არაერთი შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან, **მაქსიმ ლიტვინოვთან.** ლიტვინოვის პოზიცია ძალზე მკაცრი იყო და გამოხატავდა მოსკოვის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ინგლისის ელჩი ლონდონს შერბილებული სახით გადასცემდა ინფორმაციას. რუსები ამაში დაეჭვდნენ და გამოაქვეყნეს ლიტვინოვთან ინგლისის ელჩის საუბრის ჩანაწერი. ამას მოყვა ლონდონის რეაქცია და დაუსვეს ელჩს შეკითხვა, თუ რომელი ტექსტი იყო სწორი, მის მიერ სამშობლოში გადმოგზავნილი, თუ გაზეთში გამოქვეყნებული. ელჩმა უპასუხა, რომ ორივე ტექსტი სწორი იყო, მაგრამ რუსულ გაზეთში გამოქვეყნებული, უფრო ზუსტი.

კითხვები:

– თქვენი აზრით, როგორ გაგრძელდებოდა დიპლომატის კარიერა ამ ფაქტის შემდგომ?

– როგორ უნდა მოიქცეს ელჩი, თუ ის არ იზიარებს საკუთარი ქვეყნის კურსს?

მეტი ცოდნისათვის:

მაქსიმ ლიტვინოვი დაიბადა რუსეთის ქალაქ ბელოსტოკში 1876 წლის 17 ივლისს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ მ. ლიტვინოვს თავისი შეხედულება ჰქონდა იმ პერიოდის საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა სტალინის შეხედულებისგან. ლიტვინოვი იყო მედასავლეთე ბოლშევიკის საინტერესო ტიპი, როგორებიც მეტად ბევრი იყო საბჭოთა ელიტაში. ის არასო–

დეს მიმხრობია ტროცკისტებსა და სხვა "მემარცხენე კომუნისტებს", არ ყოფილა შემჩნეული "მემარჯვენე გადახრაში", იცავდა საკმაოდ გაწონასწორებულ ხაზს შინაპოლიტიკურ საკითხებში.

რევოლუციურ მოძრაობაში თავისი კარიერა მან დაიწყო, როგორც იატაკქვეშელმა ბოლშევიკმა, რომელსაც რუსეთში ძირგამომთხრელი ლიტერატურა და იარაღი შემოჰქონდა. თუმცა აქ არის ერთი "პატარა" უცნაურობა: ლიტვინოვი ბოლშევიკების ფრაქციას მიემხრო რსდმპ (ბ) მეორე ყრილობის დამთავრებისთანავე, მაგრამ მომავალი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის საკუთარი აღიარებით, მის პირად სიმპათიებს წარმოადგენდნენ მენშევიკების ლიდერები - ლ. მარტოვი, პ.ბ. აქსელროდი, ვ.ი. ზასულიჩი. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ლიტვინოვი ყველა საკითხში როდი ეთანხმებოდა ბოლშევიკებს, არამედ ბევრ ღირებულ რამეს ხედავდა მათ ოპონენტებთან. ალბათ, მის ზნეობას უფრო შეეფარდებოდა დასავლური ნიმუშის პარლამენტარიზმზე მენშევიკური ორიენტაცია. უკვე მაშინ ვლინდებოდა ლიტვინოვის სიმპათია დასავლეთისადმი, მისი დემოკრატიული სისტემისადმი.

სხვათა შორის, ეს მხოლოდ ვარაუდია. როგორც უნდა იყოს, ახალგაზრდა რევოლუციონერი თიკუნით "პაპაშა" (იგივე "გრაფი", იგივე "ფელიქსი") მეტად თამამად ანგრევდა თვითმპყრობელობის საფუძველს, სანამ იგი 1908 წელს საფრანგეთის ხელისუფლებამ არ დააპატიმრა (სხვათა შორის, დაპატიმრება მოხდა სახელგანთქმული ექსპროპრიატორის კამოს საქმესთან დაკავშირებით). მეფის მთავრობამ ლიტვინოვის გადმოცემა მოითხოვა,

მაგრამ ფრანგებმა არჩიეს მისი დეპორტაცია ინგლისში, სადაც მან იცხოვრა ცარიზმის დამხობამდე.

და აქ შეინიშნება კიდევ ერთი უცნაურობა. ნისლიანი ალბიონის ნაპირზე ყოფნის დროს ლიტვინოვი მუშაობდა მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ბოლშევიკური სექციის თანამდებობაზე. არსებითად, მისი საქმიანობა შემოფარგლული იყო სხვადასხვა ფორუმზე გამოსვლებით. ჩნდება ლოგიკური შეკითხვა - ნუთუ მეტად ექსტრემალური დავალებების შემსრულებლის, ასეთი გამოცდილების მქონე ორგანიზატორის, არალეგალის გამოყენება არ შეიძლებოდა რევოლუციური საქმისთვის უფრო სასარგებლოდ. ან, იქნებ, უბრალოდ არ სურდათ, რომ მისთვის ენდოთ იატაკქვეშა საქმიანობის საიდუმლოებანი. რაღაცას გრძნობდნენ, თუ იცოდნენ. ალბათ, ლენინი და მისი თანამებრძოლები ითვალისწინებდნენ, რომ ლიტვინოვი პატივს სცემდა სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთას. საინტერესოა ასეთი შემთხვევა. 1913 წლის დეკემბერში როზა ლუქსემბურგმა ბოლშევიკებს შესთავაზა გაერთიანებულიყვნენ მენშევიკებთან. ლენინმა ლონდონში ლიტვინოვს გაუგზავნა აღშფოთებული რეზოლუცია, რომელშიც ძირშივე უარყოფდა ამ წინადადებას და მაშინ ლიტვინოვმა მოითხოვა ლენინის დებულების შერბილება. “მეჩვენება, - წერდა ის, - რომ როზას წინააღმდეგ რეზოლუციის მეტად მკვეთრი ტონით ჩვენ ვისხამთ იარაღს ევროპელების წინააღმდეგ”.

თავისთავად, მენშევიზმისადმი ასეთი სიმპათიით გამსჭვალული პიროვნების მთლიანად ნდობა არ შეიძლებოდა. მეორე მხრივ, იგი არ ეთიშებოდა ბოლშევიკებს, მაშასადამე, “მემარჯვენეების” საქმიანობაში ყველაფერი არ აძლევდა ხელს. ამიტომ ლენინმა მიიჩნია, რომ საჭირო იყო და უნდა გამოეყენებინათ კიდეც მისი უნარი, მაგრამ ამავე დროს უკეთესი იქნებოდა “უცნაური

ბოლშევიკის” შენარჩუნება წმინდა წარმომადგენლობით თანამ–
დებობაზე.

ამიერიდან სიცოცხლის ბოლომდე ლიტვინოვი დაბეჯითე–
ბით და ჯიუტად შეეცდება მიაღწიოს დასავლეთის დემოკრატი–
ის ქვეყნებთან - დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და ამერიკის
შეერთებულ შტატებთან - დაახლოებას.

20-იანი წლების განმავლობაში საგარეო საქმეთა სახალხო კო–
მისრის მოადგილე ლიტვინოვი მკაცრ ოპოზიციაში იყო თავად
სახალხო კომისართან ჩიჩერინთან, რომელსაც საბჭოთა საგარეო
პოლიტიკის ქვაკუთხედად მიაჩნდა რაპალოში გერმანიასთან
დადებული ხელშეკრულება. თანაც მან მთელი ძალისხმევა მო–
ახმარა იმას, რომ 1922 წელს ჩაშლილიყო ხელშეკრულება ფაშის–
ტურ იტალიასთან.

1928 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბრიანი
და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ფ.
კელოგი გამოვიდნენ “მშვიდობისმყოფელი ინიციატივით”. მათ
მსოფლიოს ქვეყნებს მოუწოდეს უარი ეთქვათ აგრესიულ ომებ–
ზე. ჩიჩერინი ბრიან-კელოგის პაქტთან მიერთების წინააღმდეგი
იყო მაშინ, როდესაც ლიტვინოვი მას ემხრობოდა. მთელი დაბ–
რკოლება იყო ის, რომ სსრ კავშირს არავინ იწვევდა აღნიშნულ
პაქტზე. ლიტვინოვი კვლავ თავისაზე იდგა, რითაც ერთხელ კი–
დევ უჩვენა ინგლისსა და საფრანგეთს თავისი მზადყოფნა მიაღ–
წიოს მათთან მეგობრობას.

1934 წელს ლიტვინოვმა დაიწყო საბჭოთა ხელმძღვანელობის
ახალ კურსის შემუშავება, რომლის მიზანიც ევროპაში “კოლექ–
ტიური უშიშროების” სისტემის შექმნა იყო. განზრახული იყო
მასში სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, პოლონე–
თის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ჩართვა.

ლიტვინოვის „მედასავლეთეობა“ იყო არა პოლიტიკური მა–
ნევრი, არამედ მსოფლმხედველობა. უფრო სწორად, მას კაპი–

ტალიზმისა და კომუნიზმის ერთგვარი კონვერგენციის იმედი ჰქონდა, რისი დიდმნიშვნელოვანი შედეგიც უნდა გამხდარიყო საბჭოთა წყობილების დემოკრატიზაცია დასავლური ნიმუშით. სწორედ ამიტომ ლიტვინოვმა აქტიურად დაუწყო მხარდაჭერა სტალინის 1936 წლის საკონსტიტუციო რეფორმას, რომლის მიზანიც სსრ კავშირში ისეთი საპარლამენტო სისტემის შემოღება იყო, რომელიც გარეგნულად დასავლურს მოგვაგონებდა.

ლიტვინოვი გერმანელებთან დაახლოებას არ უშვებდა. როდესაც მან დ. კონდელაკის მისიის შესახებ გაიგო, უმალვე შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ, თუმცა იგი არ მიიღეს. როდესაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო, ლიტვინოვს გერმანიასთან დაკავშირებით თავი გამომწვევად ეჭირა ქვეყანასთან, რომელთანაც სსრ კავშირი ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას ინარჩუნებდა. მას შეეძლო გერმანიის ელჩის შელენბურგის უგულებელყოფა მოეხდინა და მას არ შეხვედროდა რამდენიმე თვის განმავლობაში. როდესაც გერმანიაში იყო ტრანზიტით, ლიტვინოვი არც ერთხელ არ შეხვედრია რომელიმე მაღალ ოფიციალურ პირს.

სტალინმა ლიტვინოვი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტიდან 1939 წელს გაათავისუფლა.

ლიტვინოვი გარდაიცვალა 1951 წლის 31 დეკემბერს.

საინტერესოა:

1939 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკურ უწყებას სათავეში ედგა მაქსიმ ლიტვინოვი (მისი ნამდვილი სახელი და გვარია მეერ-გენოხ მოვშეს ძე ვალახი). ჰიტლერი უგულებელყოფდა მას, როგორც პარტნიორს მოლაპარაკებების საწარმოებლად მისი ებრაული წარმოშობის გამო.

მაქსიმ ლიტვონოვი გახლდათ ტიფლისის 1907 წლის ექსპროპრიაციის (ტფილისის ბანკის ძარცვა 26 ივნისს ბოლშევიკების მი-

ერ ორგანიზებული რევოლიციური მოღვაწეობის დაფინანსები–სათვის) ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ლიტვინოვის შვილიშვილი, პაველ ლიტვინოვი დისიდენ–ტად გამოაცხადეს და გადავიდა აშშ-ში საცხოვრებლად 70-იან წლებში.

ბრიტანელი დიპლომატი **ედმონდ ოვი** დაიბადა 1879 წელს. მან დაამთავრა კოლეჯი იტონში. 1925-1929 წლებში იგი გახ–ლდათ ბრიტანეთის ელჩი მექსიკაში, ხოლო 1929-1933 წლებში - ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში. შემდგომში, 1934-1937 წლებში მივლინებულ იქნა ელჩად ბელგიაში, ხოლო სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ წარგზავნილ იქნა არგენტინაში.

წმიდა მიქაელის და წმინდა გიორგის ორდენის დიდი ჯვრის კავალერი, სამეფო ვიქტორიანული ორდენის ლეიტენან–ტი, დიპლომატი ედმონდ ოვი გარდაიცვალა 1963 წელს.

ქეისი № 6

ზვიად გამსახურდია - დიპლომატია აფხაზეთის მიმართ

ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ შეცდომებს შორის სა–ხელდება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას კვოტების დაწესება - აფხაზებისათვის უმრავლესობა რომ არ მიგვეცა უზე–ნაეს საბჭოში, ეს ყველაფერი ასე იოლად არ მოხდებოდა.

ორმხრივი შეთანხმებით, ქართულ მხარეს უნდა დაენიშ–ნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავ–მჯდომარე, ძალოვანი მინისტრები, უმაღლესი საბჭოს თავ–მჯდომარის პირველი მოადგილე. აფხაზებს კონსტიტუციური ცვლილებებისათვის უმაღლეს საბჭოში ჭირდებოდათ ხმების 2/3, ანუ 43 ხმა, ეს მაშინ, როცა ისინი მხოლოდ 36 ხმას ფლობ–

დნენ. ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს უფლება ჰქონდა შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკის კანონიერი ნორმატიული აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ჰქონდა უფლება გაეუქმებინა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი ნორმატიული აქტი, თუ ის არაკონსტიტუციური იყო.

ამ ნაბიჯს ქართული დიპლომატიის ერთგვარ გამარჯვებად მიიჩნევენ, ვინაიდან იმ ეტაპზე თავიდან იქნა აცილებული კონფლიქტი აფხაზეთში. მოსახლეობის 17,1%-ის მიერ ადგილების 43%-ის მიღებით განეიტრალდა მითი საქართველოს, როგორც მცირე იმპერიის შესახებ.

აფხაზეთის არჩევნების შემდეგ დაიწყო თვითგამორკვევის პროცესი ჩრდილოეთ კავკასიაში და დაჩქარდა „კავკასიური სახლის“ ჩამოყალიბება.

ნიშანდობლივია შემდეგი გარემოებები:

1991 წელს დაბა ყაზბეგში ზ.გამსახურდიამ მიაღწია რუსეთის სახელმწიფო მეთაურის, ელცინის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებას;

სერიოზული დიპლომატიური მცდელობისა და დათმობების ფასად შეაჩერა და გაანელა სეპარატისტული ტენდენციები აფხაზეთში - ვლადისლავ არძინბას თბილისთან მაშინ საკმაოდ თბილი ურთიერთობები ჰქონდა.

ეს ყველაფერი ხორციელდებოდა უაღრესად შეზღუდული საგარეო პოლიტიკური, ფინანსურ-ეკონომიკური, სოციალური რესურსების ფონზე, როცა ქვეყანაში საკმაოდ მოძლიერებული იყო დესტრუქციული ძალები.

როცა საქართველო 1992 წლის იანვრისათვის 26-ზე მეტმა ქვეყანამ აღიარა (მათ შორის აშშ-მა, ბრაზილიამ, ინდოეთმა, თურ-

ქეთმა, სომხეთმა, ლიტვამ, ჩინეთმა და სხვა), ზ.გამსახურდიამ თქვა: „ახლა უკვე სიკვდილიც შეიძლება“.

კითხვები:

- შეაფასეთ აფხაზეთის მიმართ პრეზიდენტის დამოკიდებულების საკითხი;

- შეაფასეთ ნიშანდობლივი გარემოებები.

მეტი ცოდნისათვის:

ზვიად გამსახურდია (1939-1993) - დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ლიტერატურის სპეციალობით 1962 წელს.

1973 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1991 წელს — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში, აგრეთვე, დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის 1978 წელს ზვიად გამსახურდია იყო ნობელის მშვიდობის პრემიის ოფიციალური ნომინანტი (წარდგენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ). დისიდენტური საქმიანობისათვის ზვიად გამსახურდია საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა 1956 და 1977-1979 წლებში. გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა, მათ შორის 1989 წლის აპრილის საპროტესტო აქციისა, რომელიც დასრულდა 9 აპრილის სისხლიანი დარბევით, რის შემდეგაც ზ.გამსახურდია დაუპატიმრეს, როგორც აქციის ორგანიზატორი.

ზ.გამსახურდიამ შექმნა პოლიტიკური ალიანსი “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო”, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე (1990 წლის 14 ნოემბერი) ზ. გამსახურდია აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამ მოვალეობას ის 1991 წლის მარტამდე ასრულებდა. აღნიშნული სესიის გადაწყვეტილებით ქვეყანას ეწოდა “საქართველოს რესპუბლიკა”. აღადგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა (დროშა, გერბი და ჰიმნი). ამასთან, დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.

1991 წლის მარტში უზენაესმა საბჭომ გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც დადასტურებულ იქნა იმავე წლის 26 მაისის საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი გამარჯვებით.

გამსახურდიას ოპონენტები მწვავედ აკრიტიკებდნენ მას, როგორც თავად უწოდებდნენ “მიუღებელი დიქტატორული ქცევისთვის”, რაც პრეზიდენტად არჩევამდეც იყო მისი კრიტიკის საგანი. ოპოზიციის გაძლიერებას მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება. პრეზიდენტი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებიდა. 1993 წლის სექტემბერში იგი საქართველოში დაბრუნდა, ხოლო იმავე წლის 31 დეკემბერს, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

ქეისი №7

დიპლომატი - პირდაპირობა თუ თავშეკავება?

1991 წელს ცნობილი დიპლომატი **ალექსანდრე ჩიკვაიძე** საქართველოში დაბრუნდა დედის დაკრძალვასთან დაკავშირებით. საქართველოს ყოფილ პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას ინიციატივით შედგა შეხვედრა ა.ჩიკვაიძესთან, მისთვის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის შეთავაზების პერსპექტივით, რის შესახებაც დიპლომატი ნაწილობრივ იყო ინფორმირებული.

ა.ჩიკვაიძე ამ შეხვედრის შესახებ წერს: „ჩემი ბევრი უარყოფითი თვისებებიდან ერთი ისიც გახლავთ, რომ მიჭირს ნებისმიერი მონოლოგის მოსმენა იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი ავტორი. ვთვლი, რომ ნამდვილი პოლიტიკოსი უფრო მეტს უნდა უსმენდეს, ვიდრე ლაპარაკობდეს. ბატონმა გამსახურდიამ მყისვე მიიტანა შეტევა გორბაჩოვზე, გადასწვდა სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს, მათ შორის შევარდნაძეს. ცდილობდა ავეყოლიებინე ამ საუბარში. სიმართლე გითხრათ, ვერ დავუგდე ყური ამ ტირადას და ბატონ გამსახურდიას ვუთხარი: ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს მომავლის შენებას მსოფლიოს პოლიტიკოსების ლანძღვა-გინებით თუ ვაპირებთ, შორს ვერ წავალთ. არ შეიძლება მთელი მსოფლიოს გასაგონად ყვირილი „ძირს ბუში“, „ძირს ბეიკერი“, „აგენტები“. ძნელი იყო პრეზიდენტისათვის ამის თქმა, მაგრამ ჩემი მხრიდან თავის შეკავება არ იქნებოდა გამართლებული. რაც მაშინ ხდებოდა საქართველოში, მიუღებელი იყო ჩემთვის და არ ჩავთვალე საჭიროდ სინდისთან კომპრომისი... არ შემეძლო ბატონი გამსახურდიასათვის ჩემი პოზიცია არ გამომეხატა. გაუმართლებლად მიმაჩნდა მთელს მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსების, იმავე აშშ-ის პრეზიდენტის ლანძღვა, რაგინდ დასაბუთებულიც უნდა ყოფილიყო ეს პოზიცია.

მით უმეტეს, ფაქტია, რომ დასავლეთს, ამერიკასაც გადამწყვეტი, ლომის წილი მიუძღვის საბჭოთა იმპერიის დამხობაში“.

კითხვები:

- შეაფასეთ დიპლომატის პოზიცია;
- შეაფასეთ ყოფილი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას პოზი–ცია.

მეტი ცოდნისათვის:

ალექსანდრე ჩიკვაიძე (1932-2012) - საბჭოთა დიპლომატიურ სამსახურ–ში 1967 წლიდან, საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსული (ინდოეთი), საბჭოთა კავშირის საელჩოს პირველი მდივანი (დიდი ბრიტანეთი), შემდეგ პარტიუ–ლი და სახელმწიფოებრივი (იყო სა–ხელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე) საქმიანობა თბილისში და ისევ დიპ–ლომატიური სარბიელი. 1979 წლის აგ–ვისტოში, დიპლომატიური აკადემიის დასრულების შემდეგ, იგი დაინიშნა საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულად ქალაქ სან-ფრანცის–კოში (აშშ), შემდეგ კი უკვე საგანგებო და სრულუფლებიან ელ–ჩად (ჯერ აფრიკულ კენიაში, შემდეგ დასავლეთევროპულ ნი–დერლანდებში).

1992 წლიდან იგი სამშობლოში ბრუნდება. „მიმაჩნდა, რომ თუკი საქართველოს იოტისოდენად მაინც გამოადგებოდა ჩე-მი სამსახური, ეს ცხოვრების მისია უნდა ყოფილიყო”, - წერდა ალექსანდრე ჩიკვაიძე მოგვიანებით.

ა. ჩიკვაიძე ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჰოლანდიურ ენებს, მინიჭებული ჰქონდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა 1995 წელს ალექსანდრე ჩიკვაიძე 500 ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის სიაში შეიყვანა.

ა. ჩიკვაიძის მინისტრობის პერიოდში საგარეო საქმეთა უწყებამ უკვე თანამედროვე ევროპული სახე მიიღო. ბუნებრივია, იგი მონაწილეობდა 1990-იანი წლების პირველი ნახევრის თითქმის ყველა საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებაში, რომლებზეც საქართველოს პრობლემები იხილებოდა - გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომებში, ევროპული სტრუქტურების მუშაობაში, დსთ-ის სამიტებში, რუსეთისა და კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა ლიდერების შეხვედრებში.

1995 წლის დეკემბერში იგი თანამდებობიდან გადადგა და კვლავ ელჩად მუშაობა ითხოვა. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად ჩიკვაიძე ჯერ საბერძნეთში (1996-2003 წლებში) მუშაობდა, შემდეგ კი - შვეიცარიის კონფედერაციაში, შეთავსებით წმინდა საყდართან (სახელმწიფო ვატიკანი). 2006 წლიდან უკვე ღვაწლმოსილი ქართველი დიპლომატი პრაქტიკულ სამსახურს ჩამოშორდა და გარდაცვალებამდე ლექციებს კითხულობდა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, იყო საქართველოს დიპლომატიური აკადემიის საპატიო პრეზიდენტი. სხვადასხვა დროს გამოიცა მისი „პოლიტიკური ჭადრაკი: სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით", „На изломе истории", „დიპლომატიის სამზარეულო".

ქეისი №8

მოქნილი პასუხი ყოფილ პრეზიდენტს

მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტის დროს აშშ ყოფილმა პრეზი–დენტმა **რიჩარდ ნიქსონმა** სთხოვა რუს დიპლომატ **ა. კოზირევს** მისთვის გაეცნო მსოფლიოში ახალი რუსეთის ინტერესების შესახებ. კოზირევმა უპასუხა: „იცით, ბატონო პრეზიდენტო, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პრობლემა ისიც იყო, რომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით ნაციონალურ ინ–ტერესებს. დღეს ჩვენ უფრო მეტად ვფიქრობთ კაცობრიობის ფასეულობებსა და ინტერესებზე, მაგრამ თუ თქვენ გაქვთ რაი–მე ამასთან დაკავშირებით, გვიკარნახეთ, როგორ განვსაზღვროთ ჩვენი ეროვნული ინტერესები“.

კითხვები:

- მისაღებია თუ არა თქვენთვის დიპლომატის ასეთი პასუხი?
- რამდენად იმოქმედებდა პასუხი ქვეყნის იმიჯზე?

მეტი ცოდნისათვის:

ამერიკის შეერთებული შტა–ტების რიგით 37-ე პრეზიდენ–ტი **რიჩარდ მილჰაუს ნიქსო–ნი** 1913 წლის 9 იანვარს კალი–ფორნიაში დაიბადა, ნიქსონი იყო ერთადერთი ამერი–კელი პრეზიდენტი, რომელიც თანამდებობიდან გადადგა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნიქსონი აშშ-ის სამხედრო-საზ–ღვაო ფლოტში მსახურობდა, სადაც ლეიტენანტის წოდება მიი–ღო. 1946 წელს იგი აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრად,

ხოლო 1950 წელს სენატორად აირჩიეს რესპუბლიკური პარტიი–დან. 1953-61 წლებში ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის დროს ნიქ–სონი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

1960 წელს მას ჰქონდა აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის წარუ–მატებელი მცდელობა, როდესაც მცირე სხვაობით ჯონ კენედიმ დაამარცხა. 1962 წელს იგი ასევე კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნებში დამარცხდა. თუმცა ნიქსონმა 1968 წელს ისევ სცადა პრეზიდენტობა და ამჯერად გაიმარჯვა.

პრეზიდენტის რანგში ნიქსონის პირველი ამოცანა ვიეტნამის ომის პრობლემის გადაწყვეტა იყო. თავიდან მან კონფლიქტი გა–ამწვავა და მეზობელ ქვეყნებში შეჭრას ხელმძღვანელობდა. მი–უხედავად ამისა ნიქსონმა აშშ-ის ჯარის თანდათანობით გამოყ–ვანა დაიწყო. 1973 წელს წარმატებული მოლაპარაკების შემდეგ ჩრდილოეთ ვიეტნამთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღ–წია, რითაც ამერიკის მონაწილეობა ომში ეფექტურად დაასრუ–ლა.

ნიქსონის საგარეო პოლიტიკური ინიციატივები დიდწილად წარმატებული იყო: 1972 წელს იგი სენსაციური ვიზიტით ჩინე–თის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდა და ორ ქვეყანას შო–რის დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.

ნიქსონი საბჭოთა კავშირთან დაძაბულობის შენელების და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შეზღუდვის შე–თანხმების ინიციატორი იყო. ასევე იგი რუზველტის შემდეგ პირველი პრეზიდენტი იყო, ვინც საბჭოთა კავშირს ეწვია.

საშინაო ფრონტზე მისი პრეზიდენტობისას ხელფასის და ფა–სების კონტროლი დაწესდა და ოქროს სტანდარტი გაუქმდა, ასე–ვე ამერიკელმა ასტრონავტებმა მთვარეზე დადგეს ფეხი. ნიქსო–ნი პირველი ადამიანია მსოფლიოში, რომელმაც განახორციელა სატელეფონო ზარი დედამიწიდან მთვარეზე – 1969 წლის 21 ივლისს ნიქსონმა „აპოლონ 11-ის” ეკიპაჟს დაურეკა.

1972 წლის არჩევნებში ნიქსონმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

მისი მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს ქვეყანას ეკონომიკური პრობლემები ჰქონდა. უოტერგეიტის სკანდალში (The Watergate scandal) მონაწილეობის გამო მოსალოდნელი იმპიჩმენტის თავიდან ასაცილებლად ნიქსონი 1974 წლის 9 აგვისტოს თანამდებობიდან გადადგა. ამის შემდეგ იგი მისმა მემკვიდრე ჯერალდ ფორდმა შეიწყალა ყველა დანაშაულისთვის, რომელიც მას შეიძლება ჩადენილი ჰქონოდა პრეზიდენტობისას.

რიჩარდ ნიქსონი 1994 წლის 22 აპრილს გარდაიცვალა.

საინტერესოა:

- რიჩარდ ნიქსონს სახელი ინგლისის მეფის, რიჩარდ ლომგულის პატივსაცემად დაარქვეს, ასევე ინგლისის მეფეების სახელები ერქვათ მის ოთხ ძმას.

- 1969 წელს რიჩარდ ნიქსონმა თავისებურად დაიწყო ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულებთან – მან ბრუნვიდან დიდი ნომინალის კუპიურები ამოიღო.

- რიჩარდ ნიქსონს საინტერესო კულინარიული გემოვნება ჰქონდა – მას კეტჩუპიანი ხაჭო უყვარდა.

- პოლიტიკური შეხვედრების დასრულების შემდეგ, სუვენირების სახით, რიჩარდ ნიქსონი კოლეგებს გოლფის ბურთებს ურიგებდა თავისი ავტოგრაფით.

- ფრანკლინ რუზველტის შემდეგ ნიქსონი ამერიკის მეორე პრეზიდენტია, რომელიც ვიზიტით ეწვია საბჭოთა კავშირს. შეხვედრის დროს ნიქსონმა ლეონიდ ბრეჟნევს ელექტრონული საათი აჩუქა. ამერიკელი სტუმრის წასვლის შემდეგ ბრეჟნევმა შესაბამის სტრუქტურებს უბრძანა მსგავსი საათების წარმოება დაეწყოთ.

- რიჩარდ ნიქსონს მოგზაურობა უყვარდა. ის ამერიკის ერთა–

დერთი პრეზიდენტია, რომელიც 50-ივე შტატში იყო სტუმრად ჩასული.

ანდრეი კოზირევი დაიბადა 1951 წლის 27 მარტს ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, ინჟინრის ოჯახში. მამა მუშაობდა სსრკ-ს საგარეო ვაჭრობის სამინისტროში და იმ პერიოდში იმყოფებოდა ხანგრძლივ მივლინებაში ოჯახთან ერთად ბელგიაში.

ა. კოზირევმა 1974 წელს დაამთავრა საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.

კოზირევი 1974-1979 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველოში უფროს რეფერენტად. მან 1977 წელს მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

კოზირევი 1979-1980 წლებში მუშაობდა ატაშედ სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1980 – 1986 წლებში იქვე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად, ხოლო 1990 წლისათვის უკვე ორგანიზაციის ხელმძღვანელად. იგი მონაწილეობდა გაეროს გენერალური ასამბლეის მუშაობაში საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში.

1990 წლის 11 ოქტომბერს დაინიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრად, მოგვიანებით საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად. 1993 წლიდან 2000 წლამდე იყო რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი.

2012 წლიდან ცხოვრობს მაიამიში, აშშ-ში.

ქეისი №9

არასრულფასოვანი ინფორმაცია - მცდარი დიპლომატიის საფუძველი

1994 წელს შედგა საქართველოს პრეზიდენტის - **ედუარდ შევარდნაძის** ვიზიტი ისრაელში. პრეზიდენტმა, თავისი მრჩევლების კარნახით, ისე, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა (ალ.ჩიკვაიძე) არაფერი იცოდა, ისრაელის პრემიერს შესთავაზა საქართველოს საელჩოს ისრაელში გახსნა. ბუნებრივია, ეს ავტომატურად გამოიწვევდა არაბული და საერთოდ, სამყაროს აშკარა ანტაგონიზმს საქართველოს მიმართ. შევარდნაძის წინადადება ისრაელის პრემიერისათვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა და მათ უმალ დაიწყეს ფიქრი და წინადადებების შემოთავაზება საქართველოს საელჩოს მაღალ დონეზე დაფუძნების მიზნით.

პრეზიდენტ ე.შევარდნაძესა და საგარეო საქმეთა მინისტრს, ალექსანდრე ჩიკვაიძეს შორის შემდეგი დიალოგი გაიმართა:

ა.ჩიკვაიძე: „ბატონო ედუარდ, ჩვენი ინიციატივა იერუსალიმში საეჩოს გახსნაზე სწორი არ გახლავთ იმ მარტივი მიზეზით, რომ ეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკაში გაუაზრებელ, საროსკო ჩარევას ნიშნავს... არ ვიცი ვისგან მოდის ეს იდეა, მაგრამ საქართველოს მტრები არ ჭირდება. მოსალოდნელია მკვეთრი დემარში არაბული ქვეყნებიდან. მოდით ამას ნუ გავაკეთებთ“.

ე.შევარდნაძე: „კი მაგრამ, ამერიკელები საელჩოს იერუსალიმში გადატანას აპირებენ. რაღა ჩვენ გადავიკიდებთ არაბებს?“

ა.ჩიკვაიძე: „ბატონო ედუარდ, დარწმუნებული ვარ თქვენ არასწორი ინფორმაცია მოგაწოდეს...შეიძლება საკონსულო სამსახურის გადატანაზე იყო საუბარი, თუმცა ესეც მეეჭვება“.

ე.შევარდნაძე: „კი მაგრამ, ახლა რა ვქნათ?“

ა.ჩიკვაიძე: „ამ თემაზე საუბრისაგან ალბათ თავი უნდა შევი–კავოთ. სიტყვას ნუღარ გააგრძელებთ. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საელჩოს გახსნის პროცესი ისრაელში ალბათ წე–ლიწადს, წელიწადნახევარს უნდა გავჭიმოთ. ამასობაში ჩვენი ინიციატივით გამოწვეული ეიფორია გაივლის და ყველაფერი ბუნებრივად მოხდება“.

რამდენიმე დღეში პრესით გავრცელდა ინფორმაცია საქარ–თველოს ინიციატივის შესახებ, რასაც, საგარეო საქმეთა მინის–ტრის, ალ.ჩიკვაიძის გამართლებული პროგნოზის შესაბამისად, მართლაც მოჰყვა განაწყენებული რეაქცია რიგი არაბული ქვეყნე–ბიდან.

საბოლოოდ, საქართველოს საელჩოს ისრაელში გახსნის 2 წლით გაჭიანურებამ მაქსიმალურად შეარბილა ებრაული მხა–რის პირველი განწყობა და ყველაფერი წარიმართა პოლიტიკუ–რი გართულებისა და დაძაბულობის გარეშე.

კითხვები:

- შეაფასეთ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების მართებულება;

- შეაფასეთ საგარეო საქმეთა მინისტრის ჩარევის ხარისხი და მნიშვნელობა შესაძლო საერთაშორისო ურთიერთობების გაუა–რესებაში.

მეტი ცოდნისათვის:

ედუარდ შევარდნაძე დაიბადა 1928 წლის 25 იანვარს, ოზურგეთის მაზრაში, სოფელ მამათში (ამჟამად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი). მისი მამა ამბროსი, პე–დაგოგი იყო და მამათის სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. იგი დააპატიმრეს სტალინური რეპრესიების

დროს 1937 წელს, მაგრამ გათავისუფლდა მისი ნამოწაფარის დახმარებით, ძმა აკაკი ფრონტზე გაიწვიეს. ის დაიღუპა ომის ადრეულ წლებში, ბრესტის ციხესიმაგრის დაცვისას.

სოფელ მამათის რვაკლასიანი სკოლის დასრულების შემ–დეგ შევარდნაძემ სწავლა გააგრძელა და დაამთავრა თბილი–სის სამედიცინო ტექნიკუმი. მას, ახლობლების რჩევით, სურდა ექიმი გამხდარიყო. 1943-1946 წლებში იყო თბილი–სის მეორე საფერშლო სკოლის წარჩინებული მოსწავლე. შემ–დეგ სწავლობდა თბილისის პარტიულ სკოლაში, ხოლო 1959 წელს დაამთავრა ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედა–გოგიური ინსტიტუტი დაუსწრებლად. ედუარდ შევარდნაძეს ჰყავდა მეუღლე - ნანული ცაგარეიშვილი-შევარდნაძე, რომე–ლიც 2004 წელს გარდაიცვალა. შევარდნაძის ვაჟიშვილი, პა–ატა, იუნესკოს თბილისის ბიუროს ხელმძღვანელია, ხოლო ქალიშვილი, მანანა, სატელევიზიო ფილმების სტუდიის დირექ–ტორია.

შევარდნაძე 1946 წელს შევიდა კომკავშირში, 1948 წელს, 20 წლის ასაკში კი კომპარტიაში. 1957–1961 წლებში იყო საქარ–თველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდი–ვანი. 1961–1964 წლებში კომპარტიის მცხეთის რაიონული კომი–ტეტის პირველი მდივანი, ხოლო შემდეგ თბილისის პირველი მაისის რაიონის რაიკომის მდივანი. 1958 წლიდან იყო კომპარ–ტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

1964-1965 წლებში იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე. 1965–1972 წლებში კი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი. ამ თანამდებობაზე დანიშვნის–თანავე დაიწყო კამპანია ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფ–ციის წინააღმდეგ. კამპანია კარგად იყო რეკლამირებული, თუმ–ცა მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია.

1972-1985 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად - მან შეცვალა ვასილ მჟავანაძე. პარ–ტიაში მუშაობისას დაჯილდოვდა სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავით.

1976 წლიდან შევარდნაძე კომპარტიის საკავშირო ცენტრა–ლური კომიტეტის წევრი იყო. 1985 წელს საბჭოთა „გარდაქ–მნის“ წამომწყების, მიხეილ გორბაჩოვის ინიციატივით შე–ვარდნაძე მიიწვიეს მოსკოვში და მოულოდნელად დანიშნეს სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრად. იმავდროულად აირჩიეს საკავშირო კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად. ის მონა–წილეობდა გერმანიის გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებებ–ში. 1990 წელს ვაშინგტონში აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან, ჯე–იმზ ბეიკერთან ერთად ხელი მოაწერა აშშ-სათვის ბერინგის ზღვის აკვატორიის გადაცემას შევარდნაძე-ბეიკერის გამყოფი ხაზის მიხედვით.

1990 წელს გადადგა, „მოსალოდნელი დიქტატურისადმი“ პროტესტის ნიშნად, იმავე წელს დატოვა პარტია. საბჭოთა კავ–შირის დაშლამდე რამდენიმე თვით ადრე, 1991 წელს, გორბა–ჩოვის მიწვევით კვლავ დაუბრუნდა მინისტრის პოსტს. იმავე წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად გაფორ–მდა ბელოვეჟის შეთანხმებაში, ხოლო მისი საგარეო საქმეთა მი–ნისტრის პოსტი გაუქმდა.

როდესაც 1992 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პუტჩის შედეგად თანამდებობიდან ჩამო–აგდო ეროვნულმა გვარდიამ, პუტჩისტებმა შევარდნაძე მოიწ–ვიეს მათ მიერ შექმნილი ორგანოს „სახელმწიფო საბჭოს“ ხელ–მძღვანელად. მან თანამდებობა 1992 წლის 7 მარტს დაიკავა.

1992 წელს საპარლამენტო არჩევნებით მოხდა შევარდნაძის ხელმძღვანელობის ლეგიტიმაცია. ის აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ. შევარდნაძე

პარლამენტს თავმჯდომარეობდა 1995 წლამდე. ამავე წლებ–
ში ის იყო თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე,
ხოლო 1993–1995 წლებში ხელმძღვანელობდა საკონსტიტუ–
ციო კომისიას, რომელმაც მოამზადა საქართველოს მოქმედი
კონსტიტუციის პროექტი. მისი ინიციატივით საქართველო შე–
ვიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ)
1993 წელს. 1995 წელს შექმნა პარტია - საქართველოს მოქალაქე–
თა კავშირი, რომელიც წამყვანი პარტია გახდა საქართველოში
1995–2002 წლებში.

1995 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად
ხმათა 74%-ით. 2000 წლის 9 აპრილს ხმათა 82%-ით ხელმეორედ
აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად.

2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობოს არჩევნებში
საქართველოს მოქალაქეთა კავშირი დამარცხდა. იმავე წლის
სექტემბერში შევარდნაძემ განაცხადა, რომ 2005 წელს, უფ–
ლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, აპირებს პენსიაზე გას–
ვლას და მემუარების დაწერას. 2003 წელს საპარლამენტო
არჩევნებში ოფიციალურად გამარჯვებულად გამოცხადდა
შევარდნაძის ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ ხმათა
21.32 %-ით, ხოლო მეორე ადგილზე პროსამთავრობოდ
განწყობილი “დემოკრატიული აღორძინების კავშირი” ხმათა
18.84 %-ით. საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნებში
დარღვევები დააფიქსირეს. ოპოზიციამ შევარდნაძეს არჩევნების
ბათილად ცნობისკენ მოუწოდა, მისი შედეგების გაყალბების
გამო. პრეზიდენტმა უარი განაცხადა არჩევნების შედეგების გა–
უქმებაზე, რის გამოც ზოგიერთი ოპოზიციური პარტიების წარ–
მომადგენლებმა დაიწყეს საპროტესტო კამპანია და სამოქალაქო
დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს. დემონსტრაციებს შედეგად
2003 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პარლამენტისა და სახელ–
მწიფო კანცელარიის შენობებში მოწინააღმდეგეთა შეჭრა მოჰყვა

შევარდნაძემ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, მაგრამ უარი განაცხადა არმიის გამოყენებაზე და 23 ნოემბერს თანამდებობი–დან გადადგა.

ე. შევარდნაძე გარდაიცვალა 2014 წლის 7 ივლისს, 86 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალულია კრწანისის რეზიდენციაში, მეუღლის გვერდით.

საინტერესოა:

შევარდნაძეზე სამჯერ მოაწყვეს თავდასხმა:

- 1992 წლის 3 ოქტომბერს რუსმა სამხედროებმა აფხაზეთში;
- 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პარ–ლამენტის იმდროინდელი შენობის ეზოში;
- 1998 წლის 9 თებერვალს რეზიდენციისკენ მიმავალ გზაზე.

შევარდნაძის სახელს უკავშირდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰა–ნისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების საქართვე–ლოს ტერიტორიაზე გაყვანა, ასევე 1999 წლის სტამბოლის ისტო–რიული შეთანხმება საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ.

ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოცემული წიგნები:

1. **„ჩემი არჩევანი“** (მოსკოვი, «Новости», 1991 (ორჯერ)) - ითარ–გმნა და გამოიცა 20 ქვეყანაში

2. **„დიდი აბრეშუმის გზა.** TRACECA. PETRA ევროპა-კავკასია -აზიის სატრანსპორტო დერეფანი. ევრააზიის საერთო ბაზარი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები˜ (თბილისი, „მეცნი–ერება“, 1999) - ითარგმნა ინგლისურად, გერმანულად, სპარსუ–ლად

3. **„დიდი მაგალითები“** (თბილისი, GAT სარეკლამო-საგამომ–ცემლო კომპანია, 2003)

4. **„ფიქრი წარსულსა და მომავალზე“** (თბილისი, “პალიტრა“, 2006; აგრეთვე გამოიცა გერმანიაში სახელწოდებით „როცა გაირ–ღვა რკინის ფარდა“ (პეტერ მეთცლერის გამომცემლობა, 2007), ასევე: აზერბაიჯანში, რუსეთში, ესტონეთში, ირანში

5. არის რედაქტორ-გამომცემელი გივი ბერძენიშვილის წიგნი–სა **„სტალინი“** (გორი, 2007).

ქეისი №10

დიპლომატის გააზრებული პასუხი პრეზიდენტს

1933 წლამდე აშშ არ ცნობდა საბჭოთა კავშირს, რადგან ბოლ–შევიკებმა ხელისუფლება არაკანონიერი გზით სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ჩაიგდეს. ასეთი დამოკიდებულება მსოფლიოს დიდი სახელმწიფოსადმი, ცხადია, დიდხანს არ შე–იძლება გაგრძელებულიყო. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მიზნით, 1933 წლის ნოემბერში სსრ კავშირის საგა–რეო საქმეთა სახალხო კომისარი **მ. ლიტვინოვი** შეხვდა აშშ-ს პრეზიდენტს **ფ. რუზველტს.** საუბრის დროს პრეზიდენტმა განა–ცხადა: ჩვენამდე აღწევს ხმები იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში რელიგიის მსახურთა მიმართ რეპრესიებს მიმართავენ, რაც ამე–რიკის საზოგადოებაში უარყოფით რეაქციას იწვევსო. საბჭოთა წარმომადგენელმა ამ შენიშვნას ასე უპასუხა: ჩვენ ვებრძვით არა საერთოდ რელიგიას, არამედ რელიგიის მსახურთა იმ ნაწილს, რომლებიც მრევლს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ მო–უწოდებენო.

ფ. რუზველტმა მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცო–და სსრ კავშირში როგორ ებრძოდნენ რწმენის თავისუფლებას, თქვა: მე პატივს ვცემ ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია თავი დაიცვას მტრულად განწყობილი ადამიანებისაგან.

1933 წლის 16 ნოემბერს სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის დიპ–ლომატიური ურთიერთობა დამყარდა.

კითხვები:

- რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს რუზველტის მო–საზრება სსრ კავშირში რელიგიის მსახურთა მიმართ რეპრესიე–ბის შესახებ? მოიყვანეთ მაგალითები.

- თქვენი აზრით, არსებული სიტუაციის მიუხედავად, რატომ გახდა მისაღები დიპლომატის პასუხი ამერიკის პრეზიდენტი–სათვის?

მეტი ცოდნისათვის:

ფრანკლინ დელანო რუზველ–ტი დაიბადა მდიდარ და რესპექ–ტაბელურ ოჯახში 1882 წლის 30 იანვარს. დედის გვარი იყო დელა–ნო. დელანოებიც მაღალ წრეს მი–ეკუთვნებოდნენ. რუზველტების გვარი ამერიკაში გადასახლდა ჰოლანდიიდან. წარმოიშვა ორი შტო. ერთ-ერთი შტოს წარმომად–გენელი თეოდორ რუზველტი ამე–რიკის პრეზიდენტი გახდა. 1905 წელს ფრანკლინ რუზველტმა იქორწინა თეოდორ რუზველტის უმცროსი ძმის ქალიშვილზე, ანა ელეონორა რუზველტზე.

ფრანკლინ რუზველტმა დაწყებითი განათლება ოჯახში მიი–ღო, მერე სწავლობდა პრესტიჟულ სკოლაში გროტონში. შემდეგ ჰარვარდის უნივერსიტეტში, შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტე–ტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იცოდა რამდენიმე ენა.

ფრანკლი რუზველტმა კარგად იცოდა რა უნდა გაეკეთებინა და ვისთან ერთად. როდესაც იგი ემზადებოდა პრეზიდენტობისათვის, მისმა მეგობარმა, შესანიშნავმა ანალიტიკოსმა როზენმანმა, შესთავაზა შეედგინა გუნდი, რომელიც შეიმუშავებდა პროგრამებს, რითიც გაიმარჯვებდნენ არჩევნებში და შეძლებდნენ ქვეყნის გამოყვანას კრიზისიდან და კარგად მართვას.

როზენმანმა უარყო პოლიტიკოსების, ფინანსისტების და ბიზნესმენების კანდიდატურები. მისი აზრით, ყველაზე კარგი იქნებოდა ასეთი გუნდის დაკომპლექტება უნივერსიტეტების პროფესორებით, რომლებსაც დიდი ოცნებები ჰქონდათ სამშობლოსთან დაკავშირებით და ბედნიერები იქნებოდნენ თუ ხორცს შეასხამდნენ საკუთარ იდეებს. გადაწყდა ნამდვილი ინტელიგენტებისაგან დაეკომპლექტებინათ გუნდი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უძლიერეს სახელმწიფოდ უნდა ექციათ და მოსახლეობა კეთილდღეობით უზრუნველეყოთ.

ჯგუფში, რომელსაც „გონებრივი ტრესტი" უწოდეს, შევიდნენ როზენმანი, იურისტი ო'კონორი, სისხლის სამართლის სპეციალისტი მოლი, კონსერვატიული რეალიზმის იდეოლოგი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი რ. ტარგველი, საბანკო ექსპერტი ა. ბერლი.

გარდა ამისა, „გონებრივ ტრესტში" მუდამ იწვევდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რუზველტის კომპანიის უსაფრთხოებას და გამარჯვებას. ბევრის სახელი დღესაც უცნობია. "გონებრივმა ტრესტმა" გაამარჯვებინა რუზველტს და მერე მათი გეგმების, პროექტების რეალიზების წყალობით ამერიკა სუპერსახელმწიფოდ იქცა.

აშშ-ს 32-ე პრეზიდენტად არჩევის შემდეგ რუზველტმა ზოგიერთი მათგანი მიიწვია სახელმწიფო თანამდებობაზე, მაგრამ მათგან უმეტესობამ ანალიტიკური საქმინობის გაგრძელება, მონიტორინგი და დაგეგმარება არჩიეს.

1930-იან წლებში ამერიკაში დიდი დეპრესია იყო. საზო–გადოება უზარმაზარი საფრთხის წინაშე იდგა. უმუშევრობა და უპერქსპექტივობა ქვეყანას კატასტროფას უქადდა. ფრანკლინ დელანო რუზველტმა მოახერხა და 3 000 000 ადამიანი დაასაქმა. განსაკუთრებით ახალგაზრდები და ღატაკი ოჯახების შვილები. ამით ისინი ანტისოციალური "პერსპექტივიდან" საზოგადოება–ში დააბრუნა. ეს ყველაფერი იყო მისი უკომპრომისო ხასიათის დამსახურება, ის არ მოერიდა კრიტიკას და დაიწყო რეფორმები - ახალი კურსი. მან მოახერხა და მეორე მსოფლიო ომს ქვეყანა ფეხზე დამდგარი შეხვდა.

ფრანკლინ დელანო რუზველტმა მოახერხა და ჩვეულებრივი სახელმწიფოდან ამერიკა ზესახელმწიფოდ აქცია და სხვების ომ-ში ამერიკა გამოიყვანა გამარჯვებული, მიუხედავად იმისა, რომ თავად უკვე ცოცხალი აღარ გახლდათ.

ფრანკლინ რუზველტი, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდე–სი პოლიტიკოსი, 1945 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა. იგი ამე–რიკის გამორჩეული პრეზიდენტი გახლდათ. ის ერთადერთია, რომელიც ორ ვადაზე მეტად იყო არჩეული ქვეყნის მეთაურად (ოთხჯერ). მას ამერიკის ისტორიის XX საუკუნის ცენტრალურ ფიგურას უწოდებენ. ბევრი თვლის, რომ ფრანკლინ რუზველტი ამერიკის სამ უდიდეს პრეზიდენტთა სიაშია.

ქეისი №11

ბერლუსკონი - დიპლომატთა პრობლემა?

„ნატოს" დაარსებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, გერმა–ნიის ქალაქ კელში ჩასულმა იტალიის პრემიერმა, **სილვიო ბერ–ლუსკონიმ** მანქანიდან გადმოსვლის შემდეგაც განაგრძო ტელე–ფონზე საუბარი და იქვე, მის დასახვედრად მისულ კანცლერს,

ანგელა მერკელს რამდენიმე წუთი ალოდინა. ანგელა მერკელი კოლეგის ამგვარმა საქციელმა აღაშფოთა და სტუმარი მიატოვა.

კითხვები:

- თქვენი აზრით, დაარღვია თუ არა ეტიკეთით გათვალისწი–ნებული ნორმები იტალიის პრემიერმა?

- როგორ ფიქრობთ, მოქმედებდა თუ არა დიპლომატიური პროტოკოლის თანახმად გერმანიის კანცლერი? (ისაუბრეთ შე–დეგებზე).

მეტი ცოდნისათვის:

ანგელა მერკელი 1954 წლის 17 ივლისს ჰამბურგში დაიბა–და. მამამისი თეოლოგიის, ხო-ლო დედა ინგლისურისა და ლა–თინურის მასწავლებელი იყო. ჰამბურგიდან ოჯახი ბრანდერ–ბურგში გადავიდა, სადაც ანგე–ლასა და მის და-ძმებს შესანიშ–ნავი ბავშვობა ჰქონდათ. ოჯახის ქრისტიანულმა ფასეულობებმა და თავისუფალმა აზროვნებამ გერმანიის მომავალი კანცლერი სულიერად ჩამოაყალიბა.

მერვე კლასამდე ანგელა მერკელი გოეთეს სკოლაში სწავლობ–და, შემდეგ უმაღლეს სკოლაში გადავიდა, რომელიც 1973 წელს დაამთავრა. მომდევნო წელს მან ლაიფციგში ფიზიკის შესწავლა დაიწყო. სწავლის დასრულების შემდეგ ის ბერლინის ფიზიკისა და ქიმიის ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც 1986 წელს ფიზიკის დოქტორის წოდება მიიღო.

ბერლინში გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე, იოახიმ ზაუერი (ანგელა მერკელის პირველი მეუღლე ულრიხ მერკელი გახლდათ). წყვილი 1998 წელს დაქორწინდა.

რევოლუციებმა და გერმანიის გაერთიანებამ მის ცხოვრებაში გარდამტეხი ცვლილება მოახდინა. ის სამოქალაქო აქტივიზმითა და პოლიტიკით დაინტერესდა. 1989 წლიდან ის პოლიტიკური ცხოვრებაში ჩაება და 1990 წელს გერმანიის ქრისტიან-დემოკ–რატიული კავშირის წევრი გახდა.

1991 წელს ის ახალგაზრდობისა და ქალთა მინისტრი გახდა, 1994 წლიდან გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობ–და, 2000 წლიდან კი ქრისტიან-დემოკრატიული ერთობის თავ–მჯდომარეა. ანგელა მერკელი გერმანიის კანცლერად 2005 წელს აირჩიეს.

ამჟამად ა. მერკელი ევროპაში ყველაზე ძველი მოქმედი ლი–დერია. მას აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებასთან ერთად ხშირად შენიშნავთ ფეხბურთის მატჩებზე, სხვადასხვა ზეიმსა თუ წვეუ–ლებაზე.

ფორბსის მიხედვით 9-ჯერ მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ქალად დასახელებული ა. მერკელი ბერლინში ერთ-ერთ უბანში მეუღლესთან ერთად მე-4 სართულზე ცხოვრობს. თავისუფალ დროს ისინი ბუნებაში ატარებენ, ზაფხულში მთებში და ზამ–თარში სამთო-სათხილამურო კურორტებზე. ორივე მათგანს ძა–ლიან უყვარს კლასიკური მუსიკა, განსაკუთრებით კი ოპერა.

2017 წელს ანგელა მერკელი გერმანიის კანცლერად მეოთხე ვადით აირჩიეს. 63 წლის მერკელმა 12 წლიანი მმართველობის შემდეგ კანცლერის თანამდებობა კიდევ ოთხი წლით დაიკავა.

სილვიო ბერლუსკონი დაიბადა მილანში 1936 წლის 29 სექტემბერს საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახში. მისი მა-მა საბანკო კლერკი იყო, დედა კი დიასახლისი. მომავალი

პოლიტიკოსის ბავშვობამ მეორე მსოფლიო ომის ფონზე ჩაიარა. მოკავშირეთა ჯარებისაგან ოკუპირებულ იტალიაში თავის გატანა ძალიან ჭირდა. სწორედ მაშინ მოიფიქრა ყმაწვილმა სილვიომ თავისი ხელით დამზადებული თოჯინებით თეატრალური წარმოდგენების მოწყობა, რითაც ორიოდე გროშს შოულობდა. შემდეგ საკრუიზო ლაინერის მეპატრონეს თავისი ვოკალური მონაცემები მოაწონა და მომღერლად მოეწყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სილვიომ მამამისთან ბანკში მუშაობაზე უარი თქვა, რადგან უძრავი ქონებით ვაჭრობის დაწყება სურდა. საბოლოოდ, ბანკებში რამდენიმეთვიანი სირბილის შემდეგ მან და მისმა რამდენიმე მეგობარმა შეძლეს კრედიტის აღება გარეუბან „მილანო 2“-ის მშენებლობისათვის. ასე დააარსა სილვიომ 1962 წელს პირველი თავისი კომპანია „ედილნორდი“.

მას შემდეგ, რაც 90-იანი წლების დასაწყისში იტალიაში მაფიის წინააღმდეგ ბრძოლა გაჩაღდა, სენიორ სილვიომ გადაწყვიტა, თავად გამხდარიყო კანონი და კიდევ ერთი, ამჯერად პოლიკური სიმაღლე დაეპყრო. მან დაარსა მოძრაობა „ფორცა იტალია“ (წინ იტალია). ეს დასახელება გულშემატკივართა სლოგანი გახლავთ, რამაც მემარჯვენე პარტიათა კოალიციას დიდი პოპულარობა და 1994 წლის არჩევნებზე ხმების უმრავლესობა მოუტანა. საბოლოოდ ბერლუსკონი პრემიერ-მინისტრი გახდა.

1995 წლის შემდეგ ბერლუსკონი არაერთხელ, დაახლოებით 90-ჯერ წარსდგა სასამართლოს წინაშე და რამდენჯერმე დამნა–

შავედაც კი სცნეს გადასახადების დამალვის, ქრთამის მიცემისა და აღების, მაფიასთან კავშირის და ბენიტო კრაკსის წინასაარ–ჩევნო კომპანიის უკანონო დაფინანსების ბრალდებით. მაგრამ მის ადვოკატებს ყოველთვის აპელაცია შეჰქონდათ და არასაკ–მარისი სამხილის არსებობის თუ სხვა მიზეზების გამო იმარ–ჯვებდნენ.

მან შეძლო პარლამენტში მაღალი რანგის თანამდებობის პირ–თა იმუნიტეტის შესახებ კანონის გატანა. ეს სწორედ დროული იყო, რადგან 1985 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ქარ–ხნის უკანონოდ შეძენისათვის მის წინააღმდეგ ახალი გამოძიება იწყებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ დიდ საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ბერლუსკონიმ ფიასკო განიცადა. იგი კვლავ ში-და პოლიტიკურ საკითხებზე გადაერთო და იტალიელებს გა–ნუცხადა: „მხოლოდ მე შემიძლია ქვეყანას საჭირო მიმართუ–ლებით გავუძღვე“. ამასთან იგი ახალგაზრდობისდროინდელ გატაცებასაც არ ივიწყებს. 4-იოდე წლის წინ გამოუშვა დისკი, რომელზეც თავად პრემიერ-მინისტრის მიერ შექმნილი და შეს–რულებული სიმღერებია ჩაწერილი. სწორედ იმ პერიოდში მან თმა გადაინერგა და, როგორც აღნიშნა, 20 წლით მაინც გაახალ–გაზრდავდა.

ამასთან, იგი გულმოდგინედ იბრძვის თავისი გავლენის გა–საფართოვებლად და მეტად მწვავედ ილაშქრებს კრიტიკოსთა წინააღმდეგ. ყოველი მესამე იტალიელი ისედაც ბერლუსკონის მფლობელობაში მყოფ ტელეარხებს უყურებს, მაგრამ, ამასთან, მედიის ყველა საშუალება მთავრობის მიერ კონტროლდება და ოპოზიციური შინაარსის გადაცემები ხშირად იხურება. ამასთან, მან სრული კონტროლი დაამყარა იტალიურ სასამართლოზე. ანუ, ფაქტობრივად, ბერლუსკონი ჭეშმარიტ დიქტატორად მოგ–ვევლინა. ამიტომაცაა, რომ იტალია ევროკავშირის ქვეყნებს შო–

რის დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების მიხედვით უკა–ნასკნელ ადგილზეა.

ყველაფერ ამას დაუმატეთ პუტინთან მეგობრობა და დიაც–თმოყვარეობა. საერთოდ, სენიორ სილვიოს მიერ სუსტი სქე–სისადმი მომეტებული ლტოლვა საყოველთაოდ გახლდათ ცნობილი, მაგრამ ბოლო დროს მას არასსრულწლოვნებთან გარ–ყვნილებაში დასდეს ბრალი, რაც სერიოზული საკითხია.

2012 წლის 26 ოქტომბერს სილვიო ბერლუსკონი საგადასახა–დო თაღლითობის გამო გაასამართლეს და 4 წელი მიუსაჯეს.

ქეისი №12

დიპლომატიური წარმომადგენლობები რუსეთში

საქართველოს პრეზიდენტის **ე. შევარდნაძის** ბრძანებუ–ლებით, საგანგებო უფლებებით აღჭურვილმა საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში **ვ. ლორთქიფანიძემ,** მასპინძელ ქვეყანასთან მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე გახსნა წარმომადგენლობები ქალაქებში - სანკტ-პეტერბურგსა და სოჭში. ამ დროისთვის საქართველო უკვე შეერთებული იყო ვენის კონვენციებთან დიპლომატიური და საკონსულო ურთი–ერთობების შესახებ.

კითხვები:

- თქვენი აზრით, საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყებასთან?

- როგორ მიგაჩნიათ, შეეძლო თუ არა საქართველოს ელჩს სა–კუთარი ქვეყნის საგარეო უწყებათან არ შეეთანხმებინა აღნიშნუ–ლი ქმედებები?

მეტი ცოდნისათვის:

ვაჟა ლორთქიფანიძე დაიბადა 1949 წლის 29 ნოემბერს, თბილისში. 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი, შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში სოციოლოგიის მიმართულებით. 1972–1973 წლებში მუშაობდა თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად. დაამთავრა მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია (ისტორია-პოლიტოლოგია).

1983–1990 წლებში იყო საქართველოს კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 1991-1995 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1992-1995 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ადმინისტრაციის ხელმღვანელი. 1995-1998 წლებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში; 1998-2000 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (მთავრობის ხელმძღვანელი); 2001–2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის პოლიტიკური ფრაქციის „ქრისტიან დემოკრატები-ახალი აფხაზეთი“ თავმჯდომარე.

2000-2006 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის კათედრის დამაარსებელი და გამგე. 2014 წლიდან არის ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ პროფესორი. არის 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 6 მონოგრაფიაა.

სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1998 წელს. თემა — „ისტო–რიული მესხეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები საქართველოში“.

ვ. ლორთქიფანიძის შესახებ საგულისხმოა შემდეგი:

- არის აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლე–ვის საერთაშორისო ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრე–ზიდენტი 2003 წელს;
- იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურ–ვეო საბჭოს თავმჯდომარე 2003-2005 წლებში;
- იყო პოლიტიკური ორგანიზაცია “საქართველოს ქრისტი–ან-დემოკრატიული კავშირის” თავმჯდომარე 2002 წელს;
- 2006 წლიდან არის რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნი–ერებათა აკადემიის წევრი;
- 1998 წელს დააარსა საქართველოს დემოგრაფთა ასოცია–ცია;
- არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემის წევრი 1999 წლიდან;
- იყო საქართველოს მე-4 და მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი 1995-2003 წლებში;
- არის საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტე–ტის პრეზიდენტი 2001 წლიდან;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (2018 წლიდან).

ქეისი №13

ჩერჩილის პროგრამა

1936 წლის მარტში **უინსტონ ჩერჩილმა** პარლამენტის სა–გარეო საქმეთა კომისიის კონსერვატორ წევრთა სხდომაზე გა–

აკეთა ფუნდამენტური მოხსენება ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, რომელმაც ღრმა ხნული გაავლო ქვეყნის დიპლომატიურ ისტორიაში უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე. მომხსენებლის მიერ ყურადღება გამახვილდა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

ბოლო 400 წლის განმავლობაში ინგლისის საგარეო პოლიტიკა იმაში გამოიხატებოდა, რომ წინ აღდგომოდა უძლიერეს, ყველაზე აგრესიულ, ყველაზე გავლენიან ქვეყანას კონტინენტზე, რათა არ დაეშვა მის მიერ ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის დაპყრობა. ჩვენ მეტწილად სუსტ ქვეყნებთან ვერთიანდებოდით და მათთან ვქმნიდით კოალიციას, ამგვარად ვამარცხებდით და გეგმებს ვუშლიდით კონტინენტის სამხედრო ტირანებს. ასე შევუნარჩუნეთ თავისუფლება ევროპას. ამაში გამოიხატება ინგლისის საგარეო პოლიტიკის საოცარი ქვეცნობიერი ტრადიცია;

ინგლისის პოლიტიკა სრულებით არ უწევს ანგარიშს, თუ რომელი ქვეყანა ლამობს ევროპაში გაბატონებას. ეს არის ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის კანონი;

ინგლისი ყოველთვის ხელმძღვანელობდა ძალთა ბალანსირების პრინციპით.

დღეს ევროპაში საფრანგეთს უძლიერესი არმია ჰყავს, მაგრამ საფრანგეთის არავის ეშინია. მეორე მხრივ, კი გერმანიას არავისი ეშინია. იგი იარაღდება და იმართება ერთი მუჭა თავზეხელაღებული ყაჩაღებით. მათი წარმატების შემთხვევაში ევროპას გერმანიზაცია ემუქრება ნაცისტური კონტროლის ქვეშ;

ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ პოტენციურ აგრესორს. გერმანიას გააჩნია უზარმაზარი შეიარაღება და ნაცისტური რეჟიმი. მათი წინააღმდეგობისათვის აუცილებელია ერთა ლიგის ჩარევა, რომელსაც ბევრი ქვეყნის დარაზმვა შეუძლია;

პირადად მე მხარს ვუჭერ ყველა ერის შეიარაღებულ ლიგას, რომელიც წინ აღუდგება აგრესორს. ასეთი ლიგის საფუძველი ინგლისი და საფრანგეთი იქნება. თუ ინგლისსა და საფრანგეთს დავუმატებთ აშშ-ს, თუ ერთა ლიგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციით შევცვლით, ლა-მანშ-პადე-კალეს - ატლანტის ოკეანით და ევროპას - მსოფლიოთი, მაშინ დღევანდელი მოწოდება არცთუ აუცილებელი იქნება.

კითხვები:

- როგორ შეაფასებდით ჩერჩილის საპროგრამო გამოსვლას ინგლისის საგარეო პოლიტიკის შესახებ?

მეტი ცოდნისათვის:

უინსტონ ჩერჩილი 1874 წლის 30 ნეომბერს ჰერცოგ მალბოროს საგვარეულო მამულში, ბლენჰეიმების სასახლეში დაიბადა. ჩერჩილის მამა - ლორდ რენდოლფ სპენსერ-ჩერჩილი, მე-7 ჰერცოგ მალბოროს მესამე შვილი, ცნობილი პოლიტიკოსი, თემთა პალატის დეპუტატი იყო კონსერვატიული პარტიიდან, ეკავა ფინანსთა კანცლერის თანამდებობა. დედა - ლედი რენდოლფ ჩერჩილი, ქალიშვილობაში ჯენი ჯერომი მდიდარი ამერიკელი ბიზნესმენის შვილი იყო.

მამა გატაცებული იყო პოლიტიკური ცხოვრებით. დედა აქტიურად იყო ჩაბმული მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში. მშობლები შვილს არასათანადო ყურადღებას აქცევდნენ. 1875 წლიდან ბავშვის აღზრდა ძიძას, ელიზაბეტ ენ ევერესტს მიანდეს. მას ძლიერ უყვარდა უინსტონი და ჩერჩილისათვისაც იგი ყოველთვის ერთ-ერთი უახლოესი ადამიანი იყო.

1893 წლიდან ჩერჩილი სამეფო სამხედრო სასწავლებლის კურსანტია, და ერთ წელიწადში უმცროსი ლეიტენანტის ჩინს ანიჭებენ.

ჩინის მიღების შემდეგ 1895 წელს, ჩერჩილი კუბაში გაგზავ–ნეს, გაზეთ "დეილი გრაფიკის" სამხედრო კორესპონდენტის რანგში. ჩერჩილი მალევე ბრუნდება ინდოეთში, რათა მონაწი–ლეობა მიიღოს საერთო ნაციონალურ პოლოს ტურნირში. მოკ–ლევადიანი შესვენების დროს ის რამდენიმეჯერ ჩნდება კონსერ–ვატორების მიტინგზე ინგლისში. პრაქტიკულად ტურნირის დასრულებისთანავე, სადაც მისმა გუნდმა დაძაბულ ფინალში გაიმარჯვა, 1899 წლის მარტში ის სამხედრო საქმეს თავს ანებებს.

1899 წლის ივლისში მან წინადადება მიიღო კენჭი ეყარა პარ–ლამენტში კონსერვატიული პარტიიდან ოლდჰემში. პირველი მცდელობა დაეკავებინა ადგილი თემთა პალატაში წარუმატებე–ლი აღმოჩნდა.

1900 წელს ჩერჩილი შევიდა პარლამენტში, როგორც პატარა მანჩესტერული ქალაქის ოლდჰემის კონსერვატიული პარტიის წევრი. ის პოლიტიკოს მამასთან იზიარებდა არა მარტო პროფე–სიას, არამედ მის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, რის შედა–გადაც ის გახდა სოციალური რეფორმის მომხრე. 1908 წელს მეო–რედ შევიდა პარლამენტში, მან ამ დროს ასევე დაიკავა ვაჭრობის განყოფილების პრეზიდენტის პოსტი პრემიერ-მინისტრის კაბი–ნეტში.

1919-დან 1922-წლამდე ის იყო პრემიერ-მინისტრის, დევიდ ლოიდ ჯორჯის, კოლონიური მდივანი. ლიბერალურ პარტიაში განხეთქილებებმა გამოიწვიეს ჩერჩილის, როგორც პარლამენ–ტის წევრის, დამარცხება და 1922 წელს ის გადავიდა კონსერვა–ტიულ პარტიაში. 1929 წელს კონსერვატიული პარტიის დამარ–ცხების შემდეგ ჩერჩილი მთავრობის გარეთ დარჩა. მომდევნო

წლებში მან კონცენტრაცია მწერლობაზე გადაიტანა და გამოსცა „ინგლისურად მოლაპარაკე ხალხის ისტორია“ .

1933 წელს, როდესაც ადოლფ ჰიტლერი კანცლერად ინიშნე–ბა, ჩერჩილი ბრიტანეთის ხელახლა შეიარაღების იდეით გამო–დის. 1938 წლისთვის გერმანია ითხოვს სუდეტის ოლქის გადა–ცემას: ბრიტანეთის პრემიერი, ნევილ ჩემბერლენი, აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკის ფარგლებში ჰიტლერის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რასაც ჩერჩილი სასტიკად ეწინააღმდეგება. 1939 წლის სექტემბერში ჩერჩილი საადმირალოში პირველ ლორდად დანიშნეს. 1939 წლის პირველ სექტემბერს იწყება მეორე მსოფ–ლიო ომი. ამ პერიოდში ჩერჩილი აირჩიეს საზღვაო მინისტრად და ომის კაბინეტის წევრად. 1940 წლის აპრილისთვის, იგი გახ–და სამხედრო საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

1940 წლის მაისში, პარლამენტში გამართულმა დებატებმა ნორვეგიული კრიზისის შესახებ ჩემბერლენისადმი ნდობის შერყევა გამოიწვია. 1940 წლის 10 მაისს მეფე ჯორჯ VI-ემ ჩერ–ჩილი პრემიერ მინისტრად და თავდაცვის მინისტრად დანიშ–ნა. ჩერჩილმა სასწრაფოდ ჩამოაყალიბა კოალიციური კაბინეტი, რომელშიც გააერთიანა ლიდერები ლეიბორისტული, ლიბერა–ლური და კონსერვატიული პარტიებიდან. მან წამყვან პოზიცი–ებზე ინტელიგენტი და ნიჭიერი ადამიანები დანიშნა. ჩერჩილი ნაცისტების დომინირებას წარმატებით უმკლავდებოდა, მან საფუძველი დაუდო ბრიტანეთი-აშშ- საბჭოთა კავშირის ალი–ანსს. 1930-იან წლებში ჩერჩილს ჰქონდა ურთიერთობა ამერი–კის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტთან, რომელიც 1941 წლის მარტში ლენდ-ლიზის პროგრამაში ჩაერთო, რაც ამერიკის მიერ ბრიტანეთისათვის საბრძოლო საქონლის მიწოდებას გულის–ხმობდა.

1941 წლის დეკემბერში, მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვის შემდეგ, ჩერჩილი დარწმუნდა, რომ ალიანსი ომს მოიგებდა. მომდევნო თვეებში იგი აქტიურად მუშაობდა ამერიკის პრეზიდენტ რუზველტთან და საბჭოთა კავშირის ლიდერ იოსებ სტალინთან ერთად. თეირანის (1943 წელი), იალტის (1945 წლის თებერვალი) და პოტსდამის (1945 წლის ივლისი) შეხვედრებზე ჩერჩილი შეხვდა მოკავშირეთა ლიდერებს, რათა მათთან ერთად განეხილა გაერთიანებული სტრატეგია ღერძის სახელმწიფოების წინააღმდეგ, ემსჯელა ომგამოვლილი სამყაროს შემდგომ მიზნებზე, კერძოდ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის პერსპექტივებზე. მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა, ჩერჩილმა წამოაყენა წინადადება ბრიტანეთში სოციალური რეფორმების გატარების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ მოახერხა საზოგადოების დარწმუნება. იგი დამარცხდა საყოველთაო არჩევნებში 1945 წლის ივლისში.

შემდგომი 6 წლის განმავლობაში ჩერჩილი ოპოზიციაში იყო. მიუხედავად ამისა, მას კვლავ ჰქონდა გავლენა საერთაშორისო

ურთიერთობებზე. 1946 წლის 5 მარტს უინსტონ ჩერჩილი გამო–ვიდა სიტყვით ამერიკის ქალაქ ფულტონში, სადაც პირველად ახსენა "რკინის ფარდა", რომელიც „საბჭოთა კავშირმა ჩამოუშვა შუა ევროპაში, მის მიღმა ყველანაირ ბოროტებას სჩადის და გეგ–მავს, რომ „თავისუფალ სამყაროს" (ე.ი. დასავლეთის ქვეყნებს) თავს მოახვიოს თავისი ცხოვრების წესი". „ფულტონის სიტყვა" მიჩნეულია „ცივი ომის" თავისებურ გამოცხადებად.

1951 წლის საყოველთაო არჩევნების შემდეგ, ჩერჩილი დაუბ–რუნდა ხელისუფლებას. იგი დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, ხოლო 1951 წლის ოქტომბერში პრემიერად. 1953 წელს ჩერჩილს მიენიჭა რაინდის წოდება დედოფალ ელისაბედ II-ს მიერ.

ჩერჩილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ცხა–დი ჯერ კიდევ 1941 წელს, მისი თეთრ სახლში ვიზიტის დროს, გახდა. მას ჰქონდა მსუბუქი გულის შეტევა, რომელიც 1943 წელს კვლავ გაუმეორდა. 1953 წლის ივლისში, 78 წლის ასაკში, მას შე–ტევები გაუმეორდა საკუთარ ოფისში ყოფნის დროს. იგი დროე–ბით ჩამოშორდა საქმიანობას, რათა ჯანმრთელობის მდგომარე–ობისთვის მიეხედა და მხოლოდ ოქტომბრისთვის დაუბრუნდა პრემიერ-მინისტრის პოსტს. ჩერჩილი ამჩნევდა, რომ იგი ფიზი–კურად და მენტალურად გამოფიტული იყო. მან პრემიერ-მინის–ტრის პოსტი დატოვა 1955 წელს, თუმცა იგი კვლავ რჩებოდა პარ–ლამენტის წევრად იქამდე, სანამ ახალი არჩევნები არ ჩატარდა 1964 წელს, რომელშიც მას მონაწილეობა აღარ მიუღია.

იგი გარდაიცვალა 1965 წელს, ლონდონში, საკუთარ სახლში, 90 წლის ასაკში.

საინტერესოა:

უინსტონ ჩერჩილი - ისტორიაში ძნელად თუ მოიპოვება პო–ლიტიკური მოღვაწე, რომელიც ამდენ ხანს, ასეთ დონეზე ქვეყ–ნის სამსახურში ყოფილიყოს.

- სახელმწიფო მოღვაწეობის განმავლობაში ჩერჩილი ემსა–ხურა 5 მონარქს და 15 პრემიერ-მინისტრს;
- პრემიერ-მინისტრი იყო 10 წელი;
- სხვადასხვა მინისტრი იყო 15-ზე მეტად;
- იყო კონსერვატორთა ლიდერი 15 წლის განმავლობაში;
- ჩერჩილმა პარლამენტი 1964 წელს დატოვა, თითქმის 60 წლის დეპუტატობის შემდეგ.

ქეისი №14
ტეტჩერიზმი

1975-1990 წლებში დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი იყო **მარგარეტ ტეტჩერი.** ჩერჩი–ლის მსგავსად, ის გახლდათ უდიდესი პოლიტიკოსი, რომელ–მაც მნიშვნელოვნად შეცვალა არა მხოლოდ ბრიტანეთის, არა–მედ მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატი. ალბათ, სწორედ ამ მსგავსების გამო აღნიშნავდა სსრკ გენერალური მდივანი **ლე–ონიდ ბრეჟნევი** - „მარგარეტ ტეტჩერი ცდილობს ატაროს უინ–სტონ ჩერჩილის შარვალი“.

პრემიერის პოსტის დაკავებისთანავე ტეტჩერმა მტკიცედ აიღო ხელთ ქვეყნის მართვის სადავეები და რადიკალური, ხშირ შემ–თხვევაში არაპოპულარული სოციალურ-პოლიტიკური რეფორ–მების გატარება დაიწყო. პრემიერ მინისტრად არჩევისთანავე მან სრულად გარდაქმნა ლიბერალების მიერ შექმნილი სისტემა და მთელი რიგი ცვლილებები გაატარა განათლების სფეროში – შეამცირა აქამდე განათლებაზე დაწესებული უზარმაზარი სა–ხელმწიფო სუბსიდიები და ამით სახელმწიფოს დაახლოებით 8 მილიონი ფუნტი სტერლინგი დააზოგვინა. ტეტჩერმა აკრძალა

ერთი ჭიქა უფასო რძე მოსწავლეთათვის, რისთვისაც მას „რძის ქურდი“ („Milk Snatcher“) შეარქვეს.

პრემიერის უკომპრომისო ხასიათი ნათლად გამოვლინ–და ბრიტანეთის არგენტინასთან დაპირისპირების დროს ფოლკლენდის კუნძულებზე დავისას. აღნიშნულ კუნძულზე ბრიტანეთის მოქალაქეობის მქონე დაახლოებით 1 800 შოტ–ლანდიელი ცხოვრობდა, არგენტინა ამ კუნძულების გადაცემას XIX საუკუნიდან უშედეგოდ ითხოვდა. 1982 წელს არგენტინის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ დავის გადაწყვეტა სამხედრო ძალის მეშვეობით იყო შესაძლებელი, ამიტომაც კუნძულზე თავისი სადესანტო ნაწილები გადასხა. ტეტჩერმა, მიუხედავად გაეროს ამკრძალავი რეზოლუციისა, კუნძულზე 100 000 კაცი–ანი სამხედრო ფლოტი გაგზავნა და აიძულა არგენტინა, რომ კაპიტულაცია გამოეცხადებინა. ამ ომში გამარჯვებამ დიდი გავ–ლენა იქონია ტეტჩერის პრესტიჟზე, ერთიორად გაამყარა მისი პოზიციები, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ასპარეზზე და 1983 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კონსერვატიულ პარტიას დამაჯერებელი გამარჯვება მოაპოვებინა.

კითხვები:

- თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ტეტჩერისათვის ფოლკლენდის კუნძულების შენარჩუნებას და კონფლიქტის გამწვავებას არგენტინასთან, რასაც მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოჰყვა და ბრიტანეთისათვის სოლიდურ ხარჯებშიც გამოიხატა?

- თქვენი აზრით, რამდენად მართებული იყო ერთი ჭიქა უფასო რძის მიწოდების აკრძალვა მოსწავლეთათვის, რამაც ბი–უჯეტს უმნიშვნელო ეკონომია მისცა, ხოლო კონსერვატორებს ხალხის უკმაყოფილება მოუტანა?

მეტი ცოდნისათვის:

მარგარეტ ჰილდა ტეტჩერის (1925-2013) ფენომენი უაღრესად საინტერესოა - ეს არის ქალი, რომელმაც შექმნა არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ მსოფლიო პოლიტიკის გარკვეული ეპოქა და შეიმუშავა თვისებრივად ახალი პოლიტიკური მიდგომა, რომელიც შემდგომში **„ტეტჩერიზმის“** სახელით დამკვიდრდა პრაქტიკაში. ტეტჩერი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე 1975 წელს გამოდის, როცა ის გაერთიანებული სამეფოს კონსერვატიული პარტიის პირველ ქალ ხელმძღვანელად აირჩიეს.

ტეტჩერის ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური კურსი ტიპიურ სახელმწიფო-ცენტრულ მიდგომას ეყრდნობოდა - სახელმწიფოს როლი განუხრელად იზრდებოდა ბრიტანეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მატულობდა ნაციონალიზებული საწარმოების რიცხვი, გადასახადების პერმანენტულ ზრდასთან ერთვოდა ინფლაცია.

მიუხედავად საზოგადოებაში ატეხილი მითქმა-მოთქმისა და მისი მისამართით გამოთქმული ულმობელი კრიტიკისა, მარგარეტს ერთი წამითაც არ დაუხევია უკან და არ უღალატია კონსერვატიული შეხედულებებისათვის. ტეტჩერის შიდა პოლიტიკური პრიორიტეტები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების პრივატიზაცია, ნაციონალიზაცია და ინდივიდუალიზმი (სახელმწიფოს საკუთარი თავის იმედად ყოფნა) გახდა.

პრემიერის მიერ თავდაპირველად გაცხადებული პროგრამის მიხედვით, სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირების თვალსაზრისით მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ამ ნაბიჯმა საკ–მაოდ დააზარალა სახელმწიფოს ფულადი დახმარების იმედად მყოფი დიდი საწარმოები, მრავალი მათგანი გაკოტრდა. შედეგად მკვეთრად გაიზარდა საერთო უმუშევრობის დონე, რამაც ტეტ–ჩერის პოლიტიკისადმი უკმაყოფილების ახალი ტალღის აგო–რებას შეუწყო ხელი. მოკლევადიან პერსპექტივაში ტეტჩერის რე–ფორმების კეთილისმყოფლი გავლენა ვერავინ შეიგრძნო, თუმცა რამდენიმე წლის შემდგომ, ბრიტანეთის ეკონომიკის მოდერნი–ზაციის კვალდაკვალ უკვე ყველა დარწმუნდა რადიკალური რეფომების გატარების აუცილებლობაში. იქამდე კი ტეტჩერს ერთი წამითაც არ შეურბილებია თავისი სოციალური რეფორმე–ბის სიხისტე, მან უფრო მეტად დაიტვირთა თავი, დღე-ღამეში მხოლოდ 3-5 საათი თუ ეძინა: „ჩემი ცხოვრება – ჩემი სამსახუ–რია. ზოგი მუშაობს იმისთვის, რომ იცხოვროს, მე კი ვცხოვ–რობ იმისთვის, რომ ვიმუშაო", -აღნიშნავდა ის.

პრემიერის პოსტზე ყოფნის დროს ტეტჩერმა კიდევ უფ-რო განიმტკიცა შეუდრეკელი და მტკიცე ნებისყოფის მქონე პოლიტიკოსის სახელი. მან მიზნად დაისახა, თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მინისტრთა კაბინეტი და უკომპრომისო ბრძო–ლა გამოეცხადებინა მოწონააღმდეგებისათვის. ის არასდროს ერიდებოდა მკაცრი და დაუნდობელი ტონით ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლების მხილებას. ერთადერთი ადა–მიანი, რომელთანაც ტეტჩერს მეტ-ნაკლებად გამოსდიოდა თა–ნამშრომლობა, დედოფალი ელიზაბეთ მეორე გახლდათ. ამ უკანასკნელს, ტეტჩერის შეხედულებისამებრ, ყოველთვის ძალ–ზე სწორი პოზიცია ეკავა მთავრობის საქმიანობისადმი, რაც პრე–მიერთან კოორდინაციას უადვილებდა.

ყველასთვის ცნობილია ტეტჩერის ევროსკეპტიკური დამო–კიდებულება, რამაც ბევრი ასპექტი განსაზღვრა ევროკავშირის განვითარების დინამიკაში. დიდი ბრიტანეთი (იქამდე ორი უშედეგო მცდელობის შემდგომ) ევროგაერთიანების წევრი 1973 წელს გახდა დანიასთან და ირლანდიასთან ერთად. მარგარეტ ტეტჩერის პრემიერ მინისტრად დანიშვნისთანავე მან იმთავითვე ხისტი პოზიცია დაიკავა ევროგაერთიანების საბიუჯეტო პრო–ცედურების მიმართ. ტეტჩერი თვლიდა, რომ ბრიტანეთი გაერ–თიანების ბიუჯეტში არაბუნებრივად მაღალ გადასახადს იხდი–და, მაშინ, როცა ის გერმანიასთან ერთად ამ ბიუჯეტის ყველაზე დიდი კონტრიბუტორი იყო, ხოლო უკან, სარგებლის სახით, თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი უბრუნდებოდა. ტეტჩერმა ევ–როპული სახელმწიფოებისაგან ახალი საბიუჯეტო შეთანხმების მიღწევა მოითხოვა, რომელშიც ბრიტანეთის ინტერესები მაქსი–მალურად იქნებოდა გათვალისწინებული.

1980-83 წ.წ-ში რამდენიმე ევროპული სამიტის ჩაშლამ ყველასთვის ნათელი გახადა, რომ ბრიტანეთის ინტერესების დაკმაყოფილება გარდაუვალი შეიქნა. 1983 წელს ფონტენბლუ–ში მიღწეული შეთანხმებით ბრიტანეთის ფინანსური შენატანი ევროგაერთიანების ბიუჯეტში საგრძნობლად შემცირდა, რამაც მას დანაზოგების გაკეთების შესაძლებლობა მისცა. ზოგადად, ტეტჩერისა და ევროგაერთიანების ურთიერთობის ქრონიკას რომ გადავავლოთ თვალი, ადვილად შევამჩნევთ, რომ ტეტჩე–რის პოლიტიკა ყოველთვის ხასიათდებოდა გაერთიანებისგან დისტანცირების ტენდენციით. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქ–ტი, რომ ბრიტანეთმა ბოლომდე არ უერთგულა ევროკავშირის ფარგლებში შექმნილ ერთიან სავალუტო კავშირს, ვალუტის კურსის ერთიან მექანიზმს მალევე გამოეყო და ეროვნულ ვალუ–ტად ფუნტი სტერლინგი შეინარჩუნა. ამით პრემიერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ინგლისის ხელისუფლების საგარეო პო–

ლიტიკურ საქმიანობაში ბრიტანული თვითმყოფადობის პრი–ორიტეტულობას საერთო ევროპულ ფასეულობებთან შედარე–ბით.

საზოგადებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე პოლიტიკურ წრეებში სხვადასხვაგვარად მოიხსენიებდნენ: “ჯავშნოსანი ტანკი”, “მოუსვენარი კუდიანი” და ა.შ., თუმცა რუსების მიერ შერქმეული მეტსახელი „რკინის ლედი“ ყველა–ზე გავრცელებული და შესაბამისი იყო მის კარიერასთან და პიროვნულ თვისებებთან.

ტეტჩერმა შეძლო, წარმატებით ეთანამშრომლა როლანდ რე–იგანთან და ზოგადად ამერიკის ხელისუფლებასთან საბჭოთა საფრთხის გასანეიტრალებლად. კომუნიზმი და სოციალიზმი „რკინის ლედის“ ჭირის დღესავით სძულდა - „სოციალიზმი და ბრიტანეთი ერთმანეთთან შეუთავსებელია!”,- ხშირად აღნიშ–ნავდა ის. ტეტჩერმა დიდი როლი შეასრულა „რკინის ფარდის” რღვევასა და კომუნიზმის, როგორც იდეოლოგიის დანგრევაში.

1992 წელს, როდესაც მარგარეტმა თემთა პალატის წევრო–ბაზე უარი თქვა და პოლიტიკიდან წავიდა, დედოფალმა მას ბარონესას ტიტული უბოძა და ნება დართო სიკვდილამდე ლორდთა პალატის წევრი ყოფილიყო. პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ტეტჩერმა დაწერა წიგნი „სახელმწიფოს მართვის ხე–ლოვნება”.

ლეონიდ ბრეჟნევი (1907-1982) - საბჭოთა კავშირის კომუ–ნისტური პარტიის (სკკპ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი/გენერალური მდივანი და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1960–1982). 1923-1936 წლებში ბრეჟნევი იყო წითელი არმიის სამხედრო სამსახურში. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის (1941–1945) პირველივე დღე–ებიდან იგი პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწე–

ოდა მოქმედ არმიაში, ხოლო სამა–
მულო ომის დამთავრების შემდეგ
იგი ხელმძღვანელ პარტიულ სამუ–
შაოზეა. 1946 წლის აგვისტოდან
იყო უკრაინის კპ-ის ზაპოროჟიეს,
1947 წლის ნოემბრიდან - დნეპრო–
პეტროვსკის საოლქო კომიტეტების
პირველი მდივანი, 1950–1952 წლებ–
ში მოლდავეთის კპ ცკ-ის პირველი
მდივანი. სკკპ ცკ-ის 1952 წლის ოქ–
ტომბრის პლენუმზე - სკკპ ცკ-ის
პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად და სკკპ ცკ-ის მდივნად.
1952–1954 წლებში გენერალ-ლეიტენანტის წოდებით მუშაობდა
საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პო–
ლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1954 წლის თებერ–
ვლიდან ყაზახეთის კპ ცკ-ის მეორე, ხოლო 1955 წლის აგვისტო–
დან პირველი მდივანია.

ბრეჟნევის სახელს უკავშირდება საბჭოთა ტანკების შესვლა
პრაღაში 1968 წელს, სამხედრო ინტერვენცია ავღანეთში 1979
წელს, ბიუროკრატული სისტემის შექმნა, ეკონომიკის, მეცნიე–
რების კრიზისი, დასავლეთთან გართულებული ურთიერთობა
და დისიდენტების დევნა. 70-იან წლებში მან საკუთარი მემუა–
რები დააწერინა ჟურნალისტებს – “აღორძინება”, “მცირე მიწა”,
“ყამირი”, რომელიც სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრა–
მებში შეიტანეს. მისი წიგნები მსოფლიოს 60 ენაზე გამოიცა.

ქეისი №15

პრეზიდენტის რისხვა შვიმერს

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა **ვალტერ შვიმერმა** 2004 წლის თებერვალში ქ. ბათუმში ვიზიტისას და აჭარის მეთაურ–თან, **ასლან აბაშიძესთან** შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენცია–ზე გააკეთა განცხადება. საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ვ. შვიმერის განცხადებაში ვერ დაინახა აბაშიძის რეჟიმის გამკიცხველი გამონათქვამები. პრეზიდენტმა მიიჩნია, რომ ვ. შვიმერი ლოიალურად იყო განწყობილი აბაშიძის მი–მართ. საქართველოს პრეზიდენტმა ვ. შვიმერის დიპლომატიას ნეგატიური შეფასება მისცა და მოითხოვა ევროსაბჭოს სპეცია–ლური წარმომადგენლის საქართველოდან გაძევება.

კითხვები:

- თქვენი აზრით, როგორი განვითარება შეიძლებოდა ჰქონო–და ამ არასასიამოვნო ისტორიას?

- როგორ მოიქცეოდით უცხოელი დიპლომატის ნაცვლად?

მეტი ცოდნისათვის:

მიხეილ სააკაშვილი დაიბადა 1967 წლის 21 დეკემბერს საქართველოში, თბილისში. მამა, ნიკოლოზ სააკაშვი–ლი, განათლებით ექიმი, მეცნიერებათა კანდიდატი და თბილისის ბალნეოლო–გიური ცენტრის დირექტორია. დე-და, გიული ალასანია, პროფესიით ის–ტორიკოსია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბ–ჭოს თავმჯდომარე. მიხეილ სააკაშვი–

ლი სამ ძმას შორის ყველაზე უფროსია. მან წარჩინებით დაამ–თავრა კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი და შემდეგ, ედმუნდ მასკის პროგრამით ჩაირიცხა ნიუ-იორკში კო–ლუმბიის უნივერსიტეტში. 1995 წელს მიიღო მაგისტრის ხარის–ხი სამართლის განხრით. იმავე წელს მიიღო საპატიო დიპლომი ადამიანის უფლებების შედარებით სამართალში, სტრასბურგის ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ინსტიტუტში. 1995-1996 წლებში სწავლობდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამარ–თლის ეროვნული ცენტრის დოქტორანტურაში.

1995 წელს მიხეილ სააკაშვილი აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. 2000 წლის 12 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად. მის სახელს უკავშირ–დება რეფორმები ამ სფეროში. 2001 წლის ოქტომბერში მიხე–ილ სააკაშვილმა დააფუძნა პარტია „ერთიანი ნაციონალუ–რი მოძრაობა“. 2002 წლის თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალებს შორის შეთანხმების შე–დეგად მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავ–მჯდომარე გახდა.

2003 წელს მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია და ნინო ბურ–ჯანაძე გაერთიანდნენ და საზოგადოებას გაყალბებული არჩევნე–ბის გაპროტესტებისაკენ მოუწოდეს, რაც 2003 წლის ,,ვარდების რევოლუციით“ და პრეზიდენტის პოსტიდან ედუარდ შევარდნა–ძის გადადგომით დასრულდა. 2004-2013 წლებში სააკაშვილი იყო საქართველოს პრეზიდენტი.

2012 წლის 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საა–კაშვილის მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრა–ობა“ დამარცხდა, თუმცა იგი საქართველოს პრეზიდენტი იყო 2013 წლის ნოემბრამდე.

პრეზიდენტობის ვადის დასრულების შემდეგ მან ტეფტის უნივერსიტეტში დაიკავა მისთვის დაწესებული აკადემიური

თანამდებობა. 2014 წელს ნიუ-იორკში მან ახალი ლიდერობის საერთაშორისო ინსტიტუტი დააარსა. 2014 წლის ზამთარში სააკაშვილი აქტიურად იყო ჩაბმული უკრაინის მაიდანზე განვითარებულ მოვლენებში. 2015-2016 წლებში იყო ოდესის ოლქის გუბერნატორი. ჰყავს მეუღლე, წარმოშობით ნიდერლანდელი - სანდრა რულოვსი და ორი ვაჟი - ედუარდ და ნიკოლოზი.

ასლან აბაშიძე დაიბადა სტალინის დროს რეპრესირებულ ოჯახში. მისი პაპა იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე მემედ აბაშიძე. დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სახალხო მეურნეობის დაგეგმარების ფაკულტეტი. 1981-1991 წლებში ეკავა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თბილისში სხვადასხვა თანამდებობები. 1991 წლის მარტში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერით დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. 1991 წლის ივლისში არჩეულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. საქართველოში სამოქალაქო მღელვარებების დროს მოახდინა საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდირება და ფაქტობრივად რეგიონის ერთპიროვნულ მმართველად იქცა.

1992 წელს ასლან აბაშიძემ დააარსა და სათავეში ჩაუდგა "საქართველოს აღორძინების კავშირს". 1996 წელს მეორედ არჩეულ იქნა აჭარის არ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. 1998 წელს მისი კარნახით შეიცვალა აჭარის კონსტიტუცია,

რომლის საფუძველზეც აბაშიძე გახდა „ავტონომიის მეთაური“. 2000 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე მოხსნა თავისი კანდიდატურა. 2001 წელს ასლან აბაშიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურად აირჩიეს. მან ხმათა 99% მიიღო. მისი მმართველობის დროს აჭარა შედარებით სტაბილური მხარე იყო, თუმცა იდევნებოდა ოპოზიცია, ირღვეოდა ადამიანის უფლებები. გარკვეული ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად მმართველობა იყო კორუმპირებული და კონცენტრირებული აბაშიძის ოჯახის წევრების ხელში. შეიქმნა არალეგალური შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც საბაჟოსა და რეგიონში განთავსებულ თავდაცვისა და შინაგან სამინისტროების ქვედანაყოფებთან ერთად პრაქტიკულად აბაშიძეს ემორჩილებოდა.

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან აბაშიძის დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი იყო, 2003 წელს მომხდარი ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა. ასლან აბაშიძემ უკანონოდ გამოსცა განკარგულება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ამის შემდეგ ის ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია 2004 წლის მაისში, როდესაც აბაშიძის ბრძანებით ააფეთქეს ხიდი მდინარე ჩოლოქზე. იმავე დღეებში მოხდა ოპოზიციის გამოსვლების დარბევა, თუმცა საპროტესტო ტალღა არ შეჩერებულა. აჭარაში განთავსებული საჯარისო ნაწილების შემადგენლობამ მასიურად დაიწყო ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე გადასვლა. 2004 წ. 6 მაისს, ა. აბაშიძემ ფაქტობრივად დაკარგა კონტროლი აჭარაზე. ამის შედეგად ასლან აბაშიძე იძულებული გახდა გადამდგარიყო და რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის იგორ ივანოვის თანხლებით დაეტოვებიანა აჭარა.

2005 წლის დეკემბერში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ასლან აბაშიძის წინააღმდეგ და იგი ძებნაში გამოაცხადა. მას ტერორიზმში და კორუფციაში დასდეს ბრალი. 2006 წლის მარტში აბაშიძის წინააღმდეგ კიდევ ერთი ბრალდება წამოაყენეს - ამჯერად მისი ყოფილი მოადგილის ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობის (1991 წ.) მუხლით. 2007 წლის 22 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ასლან აბაშიძეს დაუსწრებლად მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის სახით 60 მილიონი დოლარის გადახდა.

ამჯერად ცხოვრობს რუსეთში, ჰყავს სამი შვილი: დიანა, გიორგი და 78 წლის ასაკში მიემატა მესამე შვილი, ვაჟი.

ვალტერ შვიმერი დაიბადა 1942 წლის 16 ივნისს ავსტრიაში, ვენაში. მან დაამთავრა ვენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1964 წელს. მოიპოვა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. დიდი ხნის მანძილზე მისი საქმიანობა დაკავშირებული იყო მოსახლეობისსოციალურ დაცვასთან. 1971 წლიდან გახლდათ ავსტრიის პარლამენტის წევრი, ხოლო 1991 წლიდან - ევროსაბჭოში ავსტრიის დელეგაციის წევრი. თავისუფლად ფლობს გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. მან 1991 წლის 1 სექტემბრიდან დაიკავა ევროსაბჭოს გენერალური მდივნის თანამდებობა.

ქეისი №16

პოლიტიკური „მოჭადრაკე“

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის **ზბიგნევ ბჟეზინსკის** მიხედვით: „ამერიკა ძალიან შორსაა, რომ დომინირებდეს კავკასიაზე, მაგრამ ძალიან ძლიერია, რომ არ იქნას ჩათრეული ამ თეატრში მიმდინარე მოვლენებში. რუსეთი უაღრესად სუსტია, რომ აღადგინოს რეგიონზე იმპერიული დომინირება, მაგრამ ძალიან ახლოსაა და ძალიან ძლიერია, რომ უგულებელყოფილი იყოს“.

კითხვები:

- ეთანხმებით თუ არა ცნობილი ექსპერტის მოსაზრებას? (პასუხი დაასაბუთეთ);

მეტი ცოდნისათვის:

ზბიგნევ კაზიმეჟ ბჟეზინსკი 1928 წლის 28 მარტს ვარშავაში დაიბადა, პოლონელი წარჩინებული არისტოკრატი დიპლომატის ოჯახში.

მეორე ვერსიის თანახმად, ის დაიბადა პოლონეთის საკონსულოში, ქალაქ ხარკოვში, ოლმინსკის ქუჩაზე, სადაც მისი მშობლები მუშაობდნენ. 1938 წლიდან ის ცხოვრობდა კანადაში, 50-იან წლებში გახდა აშშ-ის მოქალაქე და ხელი მიჰყო აკადემიურ საქმიანობას. მან დაამთავრა მაკჰილის უნივერსიტეტი მაგისტრის ხარისხით. პოლონელი დიპლომატის შვილი რუსეთით კანადაში დაინ–ტერესდა, სადაც მამის დიპლომატიური მისიის დასრულების შემდეგ ოჯახი ქალაქგარეთ დასახლდა. იქვე მეზობელი ფერმე–

რისგან სწავლობდა ახალგაზრდა ბზეჟინსკი რუსულს, რამაც მისი სამომავლო კარიერა განსაზღვრა.

ბზეჟინსკიმ განათლება კანადასა და შერთებულ შტატებში მიიღო. მისი პოლიტიკური კარიერა მაკგილის უნივერსიტეტში დაიწყო, სადაც ის პოლიტიკასა და ეკონომიკას სწავლობდა. მოგვიანებით, მან დოქტორის ხარისხი ჰარვარდში დაიცვა.

პოლონელ-ამერიკელი პოლიტოლოგი, სოციოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე დიდი ხნის განმავლობაში ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი იყო. ის იყო ჯონ ჰოპკინზის უნივერსიტეტის სტრატეგიული და საერთაშორისო მართვის ცენტრის მრჩეველი და წევრიც. 60–იანი წლების შუა ხანებში ის დაინიშნა დაგეგმარების საბჭოს წევრად სახელმწიფო დეპარტამენტში. პირველი წინადადებით, მან შემოგვთავაზა ტოტალიტარიზმის კონცეფციის თვალსაზრისით ახსნა იმ ყველაფრის, რაც სოციალისტურ ქვეყნებში ხდებოდა. ის არის ანტიკომუნიზმის გლობალური სტრატეგიის, აგრეთვე, ტექნოტრონული ეპოქის და ახალი ტიპის აშშ–ს ჰეგემონიის კონცეფციის თეორიების ავტორი.

ბზეჟინსკიმ მალევე სახელი გაითქვა, როგორც კომუნიზმის ექსპერტმა. 1960 წელს ის ჯონ კენედის მრჩეველი გახლდათ, მოგვიანებით კი ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციაში მუშაობდა. 1976 წელს ბზეჟინსკი პრეზიდენტ ჯიმი კარტერის მრჩეველი გახდა. ბზეჟინსკი დემოკრატი იყო, თუმცა მისი ხედვები, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ხშირად სიმკაცრით გამოირჩეოდა. მაგალითად, როცა სახელმწიფო მდივანი საირუს ვენსი ნიქსონ-კისინჯერის ე.წ. ძალთა ბალანსის “სამკუთხედს” უჭერდა მხარს, რომელშიც შეერთებულ შტატებს, ჩინეთს და საბჭოთა კავშირს თანაბარი გავლენა უნდა ჰქონოდა, ბზეჟინსკი მოსკოვთან ურთიერთობების “სტრატეგიულ გაუარესებას” და ჩინეთთან უფრო ახლო კავშირებს ემხრობოდა.

პრეზიდენტ კლინტონის მოღვაწეობის პერიოდში ბზეჟინსკი გახდა "ნატოს" აღმოსავლეთით გაფართოების კონცეფციის ავ–ტორი.

ბზეჟინსკიმ მნიშნელოვანი კვალი დაატყო როგორც ამერიკის საგარეო პოლიტიკას, ასევე გლობალურ პოლიტიკას. თა–ნამდებობის დატოვების შემდეგ თავის ესეებში, ინტერვიუებსა თუ სატელევიზიო გამოსვლებში ის თვალს ადევნებდა და აფა–სებდა ამერიკის ექვსი ადმინისტრაციის პოლიტიკას, მათ შორის ამჟამინდელი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის არჩევნებს, რომ–ლის საგარეო პოლიტიკაც, ბზეჟინსკის შეფასებით, არათანმიმ–დევრული იყო.

ბჟეზინსკი გარდაიცვალა 2017 წლის 26 მაისს ვირჯინიის ქა–ლაქ ფოლს-ჩერჩში.

ქეისი №17

მენიუ - გაუგებრობის მიზეზი?

1999 წელს საფრანგეთში ირანის პრეზიდენტის მუჰამედ ხათა–მის ვიზიტის დაგეგმვის დროს ირანელების კატეგორიულ მო–თხოვნაზე, **ეტიკეტის** მიხედვით გათვალისწინებული მაგიდის გაწყობისას ამოეღოთ ღვინის ჭიქები და ალკოჰოლიანი სასმელი ჩაენაცვლებიათ ფორთოხლის წვენით, საფრანგეთმა უარი განა–ცხადა. ღვინის დიდი ტრადიციების ქვეყნისთვის ამ აკრძალვის თავსმოხვევა მიუღებელი აღმოჩდა. ამის გამო რამდენჯერმე გა–დაიდო კიდეც აღნიშნული ვიზიტი და პრეზიდენტი მუჰამედ ხათამი, საბოლოოდ, ისეთ დროს შეხვდა ფრანგ კოლეგას, როცა სუფრაზე მხოლოდ უალკოჰოლო სასმელებს მიირთმევენ.

საფრანგეთში ერაყის პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი ვიზი–ტის დროს დაგეგმილი სადილი იმის გამო გადაიდო, რომ მას–

პინძლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ღვინის მენიუდან ამოღებაზე იმ მოტივით, რომ სტუმრის პატივისცემა საკუთარ ტრადიციაზე უარის თქმის ხარჯზე, ვერ მოხდებოდა. ვინაიდან კომპრომისი ვერ მოიძებნა, სადილი საერთოდ გაუქმდა.

კითხვები:

- რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ქვეყნის ტრადიციების დიპლომატიურ პროტოკოლზე მაღლა დაყენება?

- თქვენი აზრით, როგორი გავლენა შეეძლო მოეხდინა ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე ქეისში მოყვანილ ტენდენციებს?

მეტი ცოდნისათვის:

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და ნორმალური ურთიერთობა სხვა ადამიანებთან **ეტიკეტის,** ანუ ქცევის მიღებული წესების გარეშე წარმოუდგენელია.

ეტიკეტი პირველყოფილი თემური წყობილების დროს ჩაისახა, რომელიც აბსოლუტური მონარქიის პერიოდში დაიხვეწა და მკაცრად დამკვიდრდა. მის ცოდნასა და შესრულების ხარისხზე იყო დამოკიდებული ადამიანის არა მარტო კარიერა, არამედ სიცოცხლეც კი.

ადამიანთა შორის ზრდილობიანი, თავაზიანი, უკონფლიქტო ურთიერთობა უძველესი დროიდან დიდად ფასდებოდა. სწორედ, ამ მიზნით, ჯერ კიდევ ძვ. წ. 2350 წელს, ძველ ეგვიპტეში ადამიანთა ქცევის წესების კრებული („ინსტრუქცია ქცევის შესახებ“) გამოიცა, ხოლო დიდმა ჩინელმა მოაზროვნემ **კონფუციმ** (ძვ. წ. V – IV სს), თავის ცნობილ ფილოსოფიურ მოძღვრებაში (კონფუციანელობა) ადამიანის ქცევას განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა მიანიჭა. თუმცა, ეტიკეტის დეტალურად დამუშავებული სისტემა, გაცილებით გვიან, შუა საუკუნეებში შექმნეს, ხოლო ტერმინი საფრანგეთის გვირგვინოსანი მეფის, ლუი XIV დროს, მე-18 საუკუნეში შემოიღეს. მაშინ, როცა მონარქის სა-

სახლეში მიწვეულ სტუმრებს ქცევის რთული და მკაცრი წესების ამსახველ სპეციალურ ბარათებს „ეტიკეტკებს“ ურიგებდნენ და ქცევის ნორმების დარღვევას დანაშაულადაც კი თვლიდნენ.

ეტიკეტი ისტორიული კატეგორიაა, რადგან ადამიანის ქცევის წესები ჩვენი ცხოვრების პირობათა კვალობაზე, კონკრეტული სოციალური გარემოს შესაბამისად იცვლება. იგი დამოკიდებულია ადამიანთა ურთიერთობის ისეთ რთულ სისტემაზე, რომელიც მოიცავს ეთიკურ, სამართლებრივ და მორალურ ფორმებს, ასევე ტრადიციებსა და საზოგადოებრივ აზრს.

თანამედროვე ეტიკეტი უკიდურესობებისა და მოძველებული ფორმალობებისაგან თავისუფალია. მაგ., ძველ ჩინეთში ცერემონიის 30 ათასამდე სახეობას ითვლიდნენ. კერძოდ, როგორ დავაკაკუნოთ კარზე, როგორ ავდგეთ, დავჯდეთ, ავიღოთ ფინჯანი ჩაი და ა.შ. ყველაფერი მკაცრად იყო განსაზღვრული და ამ ყველაფრის შესწავლაზე უამრავი დრო იხარჯებოდა ფეოდალთა და დიდგვაროვანთა მხრიდან. ასე იყო არა მარტო ჩინეთში. ყველა ქვეყანაში და თითქმის ყველა დროში სამეფო ჩინოსნების, არისტოკრატების, ფეოდალების, მდიდრების მიერ იქმნებოდა და ყალიბდებოდა ეტიკეტის ნორმები.

თანამედროვე ცხოვრებაში განასხვავებენ ეტიკეტის შემდეგ სახეობებს: დიპლომატიური, მაღალი საზოგადოების (სამეფო კარის), საქმიანი ურთიერთობის, სამსახურებრივი, სამხედრო, სპორტული, სუფრის, სამეცნიერო, სამოქალაქო და სხვა. ყოველი მათგანი თავაზიანობისა და ზნეობრივი ქცევის მიღებულ და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს ეფუძნება, ხოლო სპეციფიურობა კონკრეტული სფეროს თავისებურებებში რეალურად ვლინდება.

დიპლომატიური ანუ საერთაშორისო ეტიკეტი დიპლომატთა ეტიკეტია. მისი მოთხოვნები ერთი რომელიმე ქვეყნის ფარგლებს სცილდება და ზოგადმიღებული წესების, ჩვევებისა და

ტრადიციების ერთობლიობაა. დიპლომატიური ეტიკეტის კონ–კრეტული ფორმები ადამიანთა ურთიერთობაში ორ მხარეს - მორალურ-ეთიკურსა და ესთეტიკურს მიგვანიშნებს. პირველი ნიშნავს ზნეობრივი ნორმების (პატივისცემა, ყურადღება, თავა–ზიანობა და ა.შ.) დაცვას, ხოლო მეორე მის ესთეტიკურობას ანუ ქცევის ფორმების ლაზათიანობას და სილამაზეს ასახავს.

მაღალი საზოგადოების ეტიკეტი მონარქთა სასახლეში მტკი–ცედ დადგენილი ქცევისა და ურთიერთობის წესებია.

საქმიანი ეტიკეტი ბიზნესმენთა ეტიკეტია. იგი საქმიანი ურ–თიერთობის სპეციფიკური კულტურაა და თავის მხრივ, გულის–ხმობს რიტუალსა და სუბორდინაციას, სამსახურეობრივ ეტი–კეტს, ქცევის მანერას, წერისა და სატელოფო საუბრის სტილს, საქმიანი ქაღალდების გაფორმებას, მოლაპარაკების წარმართვის ხელოვნებას, პრეზენტაციისა და რეკლამის კულტურას, კონკუ–რენციის ეთიკასა და სხვა.

სამსახურებრივი ეტიკეტი სამუშაოზე ადამიანთა ქცევის წე–სია. ვინაიდან ყოველ მუშაკს კონკრეტული თანამდებობის შესა–ბამისი უფლება-მოვალეობა გააჩნია, მათი ქცევის სპეციფიკური ნორმებიც ამის მიხედვით დგინდება. სამსახურეობრივი ეტიკე–ტი მოიცავს ხელმძღვანელობასთან, ხელქვეითებთან, კოლეგებ–თან და პარტნიორებთან ურთიერთობას.

სამხედრო ეტიკეტი სამხედრო მოსამსახურეთა საქმიანობისა და მათი ცხოვრების ყველა სფეროში ზოგადი წესების ერთობლი–ობაა.

სპორტული ეტიკეტი სპორტულ შეჯიბრებებში სპორტსმენ–თა სავალდებულო ქცევის დადგენილი წესია. ზოგჯერ სპორ–ტსმენს, ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე, ეკრძალება სპორ–ტული ილეთების სამოქალაქო სიტუაციაში გამოყენება. მაგ., კარატისტს ჩხუბი და სხვა.

სუფრის ეტიკეტი სუფრასთან ადამიანთა ქცევას განსაზ–ღვრავს. მასში იგულისხმება საკვებისა და სასმელის მიწოდება, მათი მირთმევა, სუფრასთან მონაწილეთა დასმა, მაგიდაზე და–ნა-ჩანგლის, თეფშების და სასმისების განთავსება, მოხმარება და სხვა წესები.

სამედიცინო ეტიკეტი მჭიდროდაა დაკავშირებული სამედი–ცინო დეონტოლოგიასთან ანუ მოძღვრებასთან მედიცინის მუ–შაკთა საქციელის, მოვალეობის, მორალისა და ეთიკის შესახებ.

დიდმა ბერძენმა მოაზროვნემ და ექიმმა ჰიპოკრატემ თავის ცნობილ „ფიცში“ პირველად ჩამოაყალიბა ექიმის პროფესიის მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი ნორმები, რაც 24 საუკუნეა ცოცხლობს და დღესაც თანამედროვეა, რადგან სრულყოფილი ძალის მქონე ზნეობრივი დოკუმენტია.

სამოქალაქო ეტიკეტი ყოველი ადამიანისაგან მოითხოვს საზოგადოებაში მიღებული ქცევის იმ ნორმების დაცვას, რაც გათვალისწინებულია ქუჩაში, ტრანსპორტში, მაღაზიაში, რეს–ტორანში, კინოთეატრში, გამოფენაზე, ბიბლიოთეკაში და ა.შ.

ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფრენსის ბეკონმა ეტიკეტს სიმ–დიდრე უწოდა და ამით ხაზი გაუსვა მისი გონივრული გამოყე–ნების შესაძლებლობას.

საპროტოკოლო წესის ზედმიწევნით დაცვის შესახებ **გელა ჩარკვიანი** წიგნში **„ნაცნობ ქიმერათა ფერხული“** (გვ.421) იაპო–ნიაში 1999 წლის მარტში საქართველოს დელეგაციის ოფიცია–ლური ვიზიტის შესახებ მოგვითხრობს: „მასპინძლებმა ჩვენი ვიზიტის პროგრამაში კიოტოს მონახულება გაითვალისწინეს. უსწრაფესი მატარებლით ვიმგზავრეთ და კიოტოს ბევრი ლამა–ზი ძეგლი დავათვალიერეთ. იაპონიას ისე როგორ დავტოვებ–დით, ტრადიციულ ჩაის ცერემონიას რომ არ დავსწრებოდით. ბოლოს, როცა კიოტოს რკინიგზის სადგურის VIP ოთახიდან ხუთის ხუთ წუთზე ბაქანზე გამოვედით, ერთი აღელვებული

მამაკაცი მოგვვარდა, ყველანი, შევარდნაძის ჩათვლით მოსაც–დელ ოთახში დაგვაბრუნა და კიდევაც გაგვკიცხა უწესრიგო–ბისათვის. პროგრამას ჩახედეთ, იქ ხომ გარკვევით წერია, რომ ბაქანზე ხუთის ექვს წუთზე უნდა გამოხვიდეთ, ახლა კი ჯერ ხუ–თის ხუთი წუთიაო“.

ქეისი №18

ნიქსონის „შეცდომა“?

1995 წელს აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა **რიჩარდ ნიქსონმა** რუსეთში ვიზიტი დაიწყო კომუნისტური პარტიის ლიდერთან **გენადი ზიუგანოვთან** შეხვედრით, რამაც გააღიზიანა რუსეთის პრეზიდენტი **ბორის ელცინი.** შედეგად, ელცინის შეხვედრა ნიქ–სონთან აღარ შედგა.

კითხვები:

- თქვენი შეხედულებით, მართებული იყო თუ არა რ. ნიქსო–ნის ქმედება?

- შეაფასეთ ბ. ელცინის გადაწყვეტილება.

მეტი ცოდნისათვის:

ბორის ელცინი დაიბადა 1931 წელს სვერდლოვსკის ოლქში. 1955 წელს დაამთავრა კიროვის სახელობის პოლი–ტექნიკური ინსტიტუტი. 1961 წელს გახდა სკკპ-ს წევრი. 1968 წლიდან ჩაება პოლიტიკაში. 1978-88 წლებში იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1985 წლიდან მოღვაწეობს მოსკოვში, ორჯერ იყო არჩეული რუსეთის სახელმწიფოს მეთაურად.

ელცინის ერა იყო რუსეთისთვის საკმაოდ დრამატული პერი–ოდი - მის სახელს უკავშირდება დიდი პოლიტიკური ცვლილე–ბები და ლიბერალური დემოკრატიის დანერგვა - მიუხედავად ამ პოლიტიკური ცვლილებებისა, შედეგი უარყოფითი იყო, რუსეთში შემცირდა საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობა და ასევე მნიშვნელოვნად იკლო სიცოცხლის საშუალო ხან–გრძლივობამ.

1991 წლის ივნისში ელცინი მოვიდა დიდი დაპირებებით, იგი ხალხს პირდებოდა კომუნისტური წესების შეცვლას. 12 ივნისს ელცინი გახდა რუსეთის პირველი პრეზიდენტი, მას მოსახლე–ობის 57% დაუჭირა მხარი. ელცინის მდგომარეობა საკმაოდ გაუ–არესდა 1992 წლის შემდეგ, როდესაც მან გაატარა ეკონომიკური რეფორმები და რის გამოც მან მისი ოპონენტების კრიტიკაც და–იმსახურა, ამ პერიოდისთვის რუსეთში ცხოვრების დონე უარეს–დება.

1996 წლის ივლისში ელცინი უკვე მეორედ იქნა არჩეული რუსეთის პრეზიდენტად, გავლენიანი ბიზნეს ოლიგარქების მხარდაჭერით, რომლებსაც ქონდათ კავშირი ელცინის ადმინის–ტრაციასთან. მიუხედავად პირველ რაუნდში მიღებული 35%-სა ელცინმა დაამარცხა მისი მეტოქე გენადი ზიუგანოვი.

ელცინმა პრეზიდენტობის პერიოდში მიიღო 40 მილი–არდი დოლარი IMF-ისგან და სხვა საერთშორისო ორგა–ნიზაციებისგან, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის გასა–უმჯობესებლად. მისი ოპონენტები კი აცხადებდნენ, რომ ეს თანხა დახარჯულ იქნა ელცინის გარშემო მყოფთა მიერ და მათ ეს თანხა გაიყვეს და გადარიცხეს სხვადასხვა ბანკებში. 1998 წელს წარმოიშვა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, როდესაც ელცინის მმართველობამ კრახი განიცადა.

1999 წელს კოსოვოს ომის მიმდინარეობის დროს ელცინი მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ნატოს სამხედრო კამპანიას, იუ–

გოსლავიის წინააღმდეგ და აფრთხილებდა, რუსეთის შესაძლო ინტერვენციის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ ნატო განალაგებდა ჯარებს კოსოვოში.

1999 წლის 15 მაისს ელცინი გადაურჩა იმპიჩმენტის მორიგ მცდელობას. მას ბრალად რამდენიმე არაკონსტიტუციური საქ–მის ჩადენა ედებოდა.

1999 წლის 9 აგვისტოს ელცინმა გაანთავისუფლა პრემიერ მი–ნისტრი სერგეი სტეპაშინი და მის ადგილზე დანიშნა ვლადიმერ პუტინი, იმ დროისათვის სრულიად უცხო ფიგურა, მას სურდა პუტინი მისი მემკვიდრე გამხდარიყო პოლიტიკურ საქმიანობა–ში.

1999 წლის 31 დეკემბერს ელცინმა მოულოდნელად განა–ცხადა რუსული ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, რომ მის მო–ვალეობას ვლადიმერ პუტინი შეასრულებდა 2000 წლის 26 მარ–ტამდე. მან აღნიშნა რომ რუსეთს ჭირდება ახალი ლიდერი ახალ საუკუნეში და ამიტომაც გადადგა XX საუკუნის ბოლო დღეს.

ბორის ელცინი გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, 2007 წლის 23 აპრილს.

გენადი ზიუგანოვი დაიბადა რუსეთში, ორლოვის ოლქის სოფელ მიმრინოში 1944 წლის 26 ივნისს. მამა გახლდათ სამხედრო პირი, ომის ვეტერანი, ხოლო დე-და პედაგოგი.

გ. ზიუგანოვმა სკოლა დაამ–თავრა ვერცხლის მედალზე 1961 წელს და ერთი წელი იმუშავა იმავე სკოლაში მასწავლებლად. 1969 წელს დაამთავრა ორლოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

1969-1970 წლებში კითხულობდა ლექციებს ორლოვის პედა–გოგიურ ინსტიტუტში, პარალელურად იყო დაკავებული პროფ–კავშირების, კომკავშირული და პარტიული საქმიანობით.

1974-1983 წლებში იყო ორლოვის ოლქის რაიკომის მდივანი და მეორე მდივანი.

1980 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1995 წელს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1983-1989 წლებში მუშაობდა სსრკ ცენტრალურ კომიტეტში. იგი 1991 წელს გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერა–ლური მდივნის მ.გორბაჩოვის გადადგომის, ხოლო 1998 წელს ბ.ელცინის იმპიჩმენტის მოთხოვნით.

1992 წლიდან არის რუსეთის კომპარტიის ცენტრალური აღ–მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 1993 წლიდან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყველა მოწვევის დეპუტა–ტი. 1996 წლიდან იგი რამდენჯერმე იყრიდა კენჭს რუსეთის პრე–ზიდენტის თანამდებობაზე

2001 წლიდან ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის კავ–შირს - საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

გ.ზიუგანოვი არის მონოგრაფიებისა და შრომების ავტორი, შოლოხოვის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. დაჯილოდოებულია სხვადასხვა მედლებითა და ორდენებით, მათ შორის მედლით „სირიაში საომარი ოპერაციების მონაწი–ლეს“ (2016).

ქეისი №19

ყველა დიპლომატი თანაბარია?

აშშ-ში საქართველოს საელჩოში მომუშავე დიპლომატმა გი-გა მახარაძემ, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა

ავტომანქანას, ქ. ვაშინგტონში მოახდინა ავტოავარია, რის შედე–გადაც გარდაიცვალა ქუჩაში გამვლელი გოგონა Joviane Waltrick. მახარაძეს დიპლომატიური იმუნიტეტი მოუხსნეს და ვაშინ–გტონში დააკავეს. საქართველოს პრეზიდენტმა **ე. შევარდნაძემ** განაცხადა: „ჩვენ ვითანამშრომლებთ ამერიკის მთავრობასთან და მოვიქცევით ისე, როგორც შეეფერება ჩვენი ქვეყნების განსა–კუთრებულ ურთიერთობას“. გ.მახარაძე გაასამართლეს და რამ–დენიმე წლით აშშ-ში თავისუფლების აღკვეთის ადგილას მოა–თავსეს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში არსებულმა ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაკმა, არაფხიზელ მდგომარეობაში, ავტომანქანით გაიტანა საქართველოს მოქა–ლაქეები, მაგრამ ვინაიდან დიპლომატს იცავდა დიპლომატიუ–რი იმუნიტეტი, მან შეძლო საქართველოდან გამგზავრება.

კითხვები:

- შეადარეთ ერთმანეთს ეს ორი ფაქტი და განსაზღვრეთ რო–მელი ქვეყნის ქმედება იყო გამართლებული?

- როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდით თქვენ, რომ ყოფი–ლიყავით ქვეყნის (საქართველოს) პირველი პირი?

- თქვენი აზრით, მსგავს შემთხვევაში უნდა აგოს თუ არა პა–სუხი დიპლომატიური კორპუსის მუშაკმა კანონის წინაშე და რომელ ქვეყანაში?

მეტი ცოდნისათვის:

გაეცანით ვენის კონვენციებს „დიპლომატიური ურთიერთო–ბების შესახებ“, „საკონსულო ურთიერთობების შესახებ“, საქარ–თველოს კანონს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“.

ქეისი №20

ირანის შაჰი - პრეზიდენტ კარტერის მეგობარი

აშშ-ს ბოლო პრეზიდენტი, რომელიც ირანს სტუმრობდა, **ჯიმი კარტერი** იყო. 1977 წელს, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ირანის შაჰის ნია ვორანის სასახლეში გამართული წვეულების დროს წარმოთქმულ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ შა-ჰი არის მისი პირადი მეგობარი, ხოლო ირანი სტაბილურობის კუნძული ბობოქარ რეგიონში.

ინგლისელი მკვლევარი დომინიკ სენდბრუკი აღნიშნავს, რომ კარტერის და ამერიკის დიპლომატიის დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთისადმი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს დიპლომატია. დიდი ვერაფერი მოხერხებაა, რომ დაინახო მხოლოდ ის, რისი დანახვაც გინდა და არა ის, რასაც ადგილი აქვს. კარტერის ვიზიტიდან ათი დღის თავზე აგორდა ის რევოლუციური ტალღა, რომელმაც ქვეყნიდან გააძევა შაჰი, ხოლო სოფლის მასწავლებელი დიდების ზენიტში აიყვანა.

კითხვები:

- იზიარებთ თუ არა ინგლისელი მკვლევარის მოსაზრებას?

- თქვენი აზრით, როგორ შეაფასებდა აშშ-ს პრეზიდენტი ირანში არსებულ მდგომარეობას შაჰთან მეგობრულ ურთიერ–თობებში რომ არ ყოფილიყო?

მეტი ცოდნისათვის:

ჯეიმს ეარლ კარტერ უმცროსი 1924 წლის 1 ოქტომბერს დაიბადა პროვინციულ ქალაქ პლეინსში, ჯორჯიის შტატის სამ–ხრეთში. ჯიმი კარტერი ამერიკის პირველი პრეზიდენტია, რომელიც ჰოსპიტალში და–იბადა.

ჯიმი კარტერის ახალგაზრდობის წლებს მეორე მსოფლიო ომი დაემთხვა და პატრიოტიზმით განმსჭვალულმა კარტერმა 1943 წელს ანაპოლისის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში ჩააბარა. აკადემიის დამთავრების შემდეგ კარტერი შვიდი წლის განმავ–ლობაში წყალქვეშა ნავზე მსახურობდა ატლანტისა და წყნარი ოკეანეების ფლოტში. კარტერი ადმირალ ჰაიმენ რიკოვერის მი-ერ შერჩეული ლეიტენანტი იყო, რომელიც ბირთვული წყალ–ქვეშა ნავების შექმნის პროგრამაში უნდა ჩართულიყო. თუმცა, 1953 წელს უფროსი კარტერი გარდაიცვალა და ჯიმის სახლში დაბრუნება და არაქისის პლანტაციებზე ზრუნვა მოუხდა. იმ პე–რიოდში ჯიმი კარტერი უკვე დაქორწინებული იყო თავის ბავ–შვობის დროინდელ შეყვარებულზე – როზალია სმიტზე.

პლეინსში დაბრუნებული კარტერი სათავეში ჩაუდგა მამის დატოვებულ არაქისის პლანტაციებს და გარკვეულ პერიოდში ისეთ წარმატებას მიაღწია ამ სფეროში, რომ მილიონერი გახდა. იმავე პერიოდში ჯიმი კარტერმა, რომელიც დაბადებიდან ბაპ–ტისტი იყო, საჯაროდ განაცხადა, რომ „აღორძინებული" ქრისტი–ანი გახდა.

1963 წლიდან ჯიმი კარტერი რეგიონულ პოლიტიკაში ჩაერ–თო და ჯორჯიის შტატის სენატის წევრი გახდა. 1970-იანი წლე–ბიდან მან ბრძოლა დაიწყო ჯორჯიის შტატის გუბერნატორის პოსტისთვის და წარმატებას მიაღწია, ხოლო 1976 წლიდან ის გაცილებით მაღალი თანამდებობის, ამერიკის პრეზიდენტო–ბისთვის ბრძოლაში ჩაერთო და 1976 წელს არჩევნებში გამარ–ჯვებაც მოიპოვა. 1977 წლიდან პრეზიდენტის მოვალეობის შეს–რულებას შეუდგა.

საგარეო საკითხებში კარტერმა პანამის არხის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც პანამის არხის ზონა პანა–მას დაუბრუნდა. ეს ლათინურ ამერიკაში აშშ-ის გავლენის დი-დი დათმობა იყო, რისთვისაც იგი ძალიან გააკრიტიკეს. 1978

წელს კემპ-დევიდის სამიტზე კარტერის ხელმძღვანელობით ეგ–ვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მენაჰემ ბეგინმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მშვიდობის, ურთიერთცნობისა და ეგვიპტისთვის სინაის ნახევარკუნძულის გადაცემის თაობაზე. ამით დასრულდა ეგ–ვიპტე-ისრაელის ომების სერია. მისი მმართველობა ასევე აღი–ნიშნა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მკვეთრი გაუარე–სებით, ამ უკანასკნელის მიერ 1979 წელს ავღანეთში ჯარების შეყვანის გამო. ამის გამო 1980 წელს აშშ-მ ბოიკოტი გამოუ–ცხადა მოსკოვში ჩატარებულ ოლიმპიურ თამაშებს და დაჩქარე–ბული წესით განაგრძო საკუთარი ბირთვული პოტენციალის ზრდა.

კარტერის მმართველობის პერიოდში მოხდა ისლამური რევოლუცია ირანში; აიათოლა ჰომეინიმ აშშ „დიდ სატანად" გამოაცხადა, და 1980 წელს მძევლად აიყვანეს ამერიკის საელ–ჩოს თანამშრომლები თეირანში. მოლაპარაკებები და ძალისმი–ერი მეთოდებით მძევლების განთავისუფლების მცდელობები უშედეგოდ დასრულდა.

1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კარტერმა მეორედ იყარა კენჭი, თუმცა სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა რო–ნალდ რეიგანის სახით და კარტერის პრეზიდენტობის პერიოდი 1981 წლის 20 იანვარს რეიგანის ინაუგურაციით დასრულდა.

საინტერესოა:

ჯიმი კარტერი ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც თანამ–დებობიდან წასვლის შემდეგ ნობელის პრემიის ლაურეატი გახ–და მშვიდობის დარგში (თანამდებობაზე ყოფნისას კი ნობელის პრემია თეოდორ რუზველტს, ვუდრო ვილსონს და ბარაკ ობამას აქვთ მიღებული).

ჯიმი კარტერი ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტია, რომელმაც თეთრი სახლიდან წასვლის შემდეგ ისტორიული ჟანრის რომანი „ონავრის ბუდე" გამოსცა.

ჯიმი კარტერს სწრაფი კითხვის საოცარი უნარი აქვს, მას შეუძ–ლია, წუთში 2 000-მდე სიტყვა წაიკითხოს.

ჯიმი კარტერი თევზაობის მოყვარულია და პრეზიდენტობის პერიოდში, ერთხელ, როცა ნავით ტბაში გავიდა, მას ტბის ბოც–ვერი დაესხა თავს. ბოცვერი შეღწევას ნავში ცდილობდა და კარ–ტერს მოუხდა, მისთვის თავში ნიჩაბი ჩაერტყა. ეს ამბავი მეორე დღეს ამერიკული გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდა სა–თაურით „პრეზიდენტს თავს ბოცვერი დაესხა". კარტერის პრე–ზიდენტობის კრიტიკოსების თქმით, ეს ისტორია მისი უსუსუ–რი მმართველობის სიმბოლოა. ჯიმი კარტერი ამერიკის მეორე პრეზიდენტია, რომელმაც პრესტიჟული მუსიკალური პრემია „გრემი" მიიღო. ჯილდო კარტერს 2007 წელს გადაეცა ნომინაცი–აში „საუკეთესო სალაპარაკო ალბომი". აუდიოწიგნის გახმოვა–ნებისთვის პრემია კარტერთან ერთად მსახიობებმა – რუბი დიმ და ოსი დევისმაც მიიღეს (პირველი პრეზიდენტი კი, რომელიც „გრემის" ლაურეატი გახდა 2005 წელს, ბილ კლინტონია. მას „სა–უკეთესო საბავშვო აუდიო წიგნისთვის" დაწესებული ჯილდო გადასცეს). ჯიმი კარტერის ანდერძის თანახმად, ის მოითხოვს, მშობლიურ ქალაქ პლეისში დაკრძალონ. აღსანიშნავია, რომ ჰერ–ბერტ ჰუვერის პრეზიდენტობიდან მოყოლებული ამერიკის პრე–ზიდენტებს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკების ან საპრეზიდენტო მუზეუმების ეზოში კრძალავენ (გამონაკლისია ჯონ კენედი, რო–მელიც არლინგტონის სასაფლაოზე არის დაკრძალული და ლინ–დონ ჯონსონი, რომელიც საკუთარ რანჩოზე მიაბარეს მიწას). ჯიმი კარტერის ანალოგიურად, მისი მეუღლეც, როზალია ასევე, პლეინსში დაკრძალვის მომხრეა.

ქეისი №21
თბილისი-ბათუმი-ევროსაბჭო

2004 წელს საქართველოში ადგილი ჰქონდა **ევროსაბჭოს** გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ელჩის პლამენ ნიკოლოვის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადების მცდელობას. ნიკოლოვი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული თბილისსა და ბათუმს შორის საკამათო საკითხების მშვიდობიანი, უსისხლო გზით მოწესრიგების საქმეში, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სრულიად უსაფუძვლოდ დაადანაშაულა აბაშიძის რეჟიმთან ლოიალურობაში და პერსონა **ნონ-გრატად** გამოაცხადა. საქართველოს საგარეო უწყებამაც ყოველგვარი დაფიქრების გარეშე შესაბამისი **ნოტა** აფრინა ევროსაბჭოში.

კითხვები:

- ეთანხმებით თუ არა საქართველოს მთავრობის, საგარეო უწყების ასეთ გადაწყვეტილებას? (პასუხი დაასაბუთეთ);
- როგორი იქნებოდა ევროსაბჭოს რეაქცია საქართველოს მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით?

მეტი ცოდნისათვის:

ევროპის საბჭო (ევროსაბჭო) Council of Europe შეიქმნა 5.V.1949 ქ. ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს (ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი) საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ამ ორგანი–

ზაციის წესდების ხელმოწერის შედეგად. 1949-70 წლებში ორ–
განიზაციაში გაწევრიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ 8 სახელ–
მწიფო. 1990 წლამდე ეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა
გაერთიანებად რჩებოდა. 1989 წელს მან შემოიღო ქვეყნებისათ–
ვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი,
რითაც ხელი შეუწყო ამ ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფო–
ებთან ურთიერთობის დამყარებას.

პოსტკომუნისტურ სივრცეში განვითარებულმა პრო–
ცესებმა ევროსაბჭოს წევრთა შემადგენლობაზეც იქო–
ნია გავლენა. 1993 წლის 8-9 ოქტომბერს ქ. ვენაში ჩა–
ტარდა ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების სამიტი,
სადაც ოფიციალურად დადასტურდა ამ ორგანიზაცი–
ის გაფართოების პოლიტიკა: მასში გაწევრიანდა ყო–
ფილი სოციალისტური ბანაკის მრავალი სახელმწიფო.
დღეისთვის დამფუძნებელი 10 სახელმწიფოს გარდა,
საბჭოს წევრია კიდევ 37 სახელმწიფო. შტაბ-ბინა
მდებარეობს სტრასბურგში. ევროპის ნებისმიერ სახელმწი–
ფოს შეუძლია გახდეს ეს-ს წევრი, თუ საბჭო დარწმუნდება,
რომ ამ სახელმწიფოში დაცულია სამართლის უზენაესობა და
ადამიანის უფლებები.

ევროსაბჭო - არის საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი
ორგანიზაცია, რომლის მიზანია: ადამიანის უფლებათა, პლუ–
რალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა,
ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმისა და განვი–
თარებისათის ხელშეწყობა, ევროპის თანამეგობრობის წინაშე
მგდგარი პრობლემების (ეროვნული უმცირესობის დაცვა, ბრძო–
ლა ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, გარემოს დაუცველობის,
ადამიანის კლონირების, შიდსის, ორგანიზაბული დანაშაულის
წინააღმდეგ და ა. შ.) გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიება,
პოლიტიკური, საკანონმდებლო და სასამართლო რეფორმების

მხარდაჭერის გზით ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება. ევროსაბჭო განიხილავს ევროპის თანამეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, გარდა თავდაცვის საკითხე–ბისა. მისი მოქმედების პროგრამა მოიცავს ისეთ ძირითად სფე–როებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, მასობრივი ინფორ–მაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ დარგში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, ჯანმრთელობის დაც–ვა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა, ადგილობ–რივი დემოკრატია, და საზღვრისპირა თანამშრომლობა, გარემოს დაცვა და რეგიონალური დაგეგმარება. ევროსაბჭოს ძირითადი ორგანოებია:

1. მინისტრთა კომიტეტი - ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება ამ ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან (ან მუდმივი წარმომადგენლებისაგან) ევროპის საბჭოში. კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტს, გამოაქვს გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების შესახებ, გან–საზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითად მიმართულე–ბებს;

2. საპარლამენტი ასამბლეა - ევროპული პარლამენტების წევ–რთა ფორუმი, რომელიც იხილავს საზოგადოებრივი ცხოვრები–სა და საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს. ევრო–საბჭოს წევრ ყველა სახელმწიფოს საპარლამენტო ასამბლეაში ჰყავს ეროვნულ პარლამენტში მყოფი ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და მეგობრობათა წარმომადგენლები (ამჟამად დაახ–ლოებით 600 დეპუტატი). ასამბლეა იკრიბება პლენარულ სხდო–მებზე წელიწადში ოთხჯერ;

3. ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესი - იგი შედგება ეს-ს წევრი სახელმწიფოების ადგილობ–რივი ხელისუფლების პალატისა და რეგიონების პალატისაგან. იკრიბება წელიწადში ერთხელ ქ. სტრასბურგში. კონგრესის ძი–

რითადი ამოცანაა, განამტკიცოს დემოკრატიული ინსტიტუტე–ბის დანერგვა და განვითარება ადგილებზე;

4. სამდივნო - იგი ტექნიკურ დახმარებას უწევს ეს-ს ძირითად მთავარ ორგანოს, მის მრავალ კომისიას. შედგება დაახლოებით 1300 თანამშრომლისაგან. სამდივნოს სათავეში უდგას გენერა–ლური მდივანი, რომელსაც ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა.

ევროსაბჭომ შეიმუშავა მრავალი ფუძემდებლური საერთა–შორისო კონვენცია, რომელთაგან ზოგიერთი წინ უსწრებდა გა–ეროს სისტემაში მიმდინარე პროცესებს. ასეთია, მაგალითად, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თა–ვისუფლებათა დაცვის შესახებ (1950), რომელშიც მოგვიანებით შეტანილ იქნა მნიშვნლოვანი დამატებები კონვენციის 12 ოქმის სახით. ასევე აღსანიშნავია ევროპის სოციალური ქარტია, რომე–ლიც მიღებულ იქნა 1961 წელს, ხოლო 1996 წელს მიღებულ იქნა მისი გადასინჯული ტექსტი. დღეისათის ევროსაბჭოს სულ მი–ღებული აქვს 170-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც ეხება ეროვ–ნულ უმცირესობებს, რეგიონალურ ენებს, არჩევნების დემოკრა–ტიზაციას, წამების აკრძალვას და სხვ.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ–თლო. საქართველოს ევროსაბჭოში მიღებისას (1999 წლის 27 აპრილს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა) ხელშეკრულებით და–ეკისრა მთელი რიგი ვალდებულებების შესრულება, რომ–ლის რეალიზაციის შემოწმება მონიტორინგის მექანიზ–მით ხორციელდება. ეს ჯგუფი სისტემატიურად ჩამოდის საქართველოში და ადგილზე სწავლობს ადამიანის უფლე–ბათა დაცვის მდგომარეობას.

ევროპის საბჭო სამთავრობათშორისო ორგანიზაციაა, რომელ–საც შემდეგი მიზნები აქვს:

1) ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა;

2) ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდ–ნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება;

3) ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გა–დაწყვეტის გზების ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსე–ნოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და სხვა).

ევროპის საბჭო არ უნდა აგვერიოს ევროკავშირთან, რომელიც თვისობრივად და ინტიტუციურად განსხვავებული ორგანიზა–ციაა, თუმცა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ევროპის საბ–ჭოს წევრიცაა.

პერსონა ნონ გრატა (ლათ. personae non gratae) — ლათინუ–რი ტერმინი, რომელიც ნიშნავს არასასურველ პირს. ასე მოიხ–სენიება დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, სხვა დიპლომატიური აგენტი, რომელმაც დიპლომატიურ საქმია–ნობასთან შეუთავსებელი ქმედება ჩაიდინა. ამ სახელმწიფოს მიერ დიპლომატიის პნგ-ად გამოცხადება ნიშნავს, რომ მისი ყოფნა მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე არასასურველია. წარმგზავნმა სახელმწიფომ ასეთი პირი უკან უნდა გაიწვიოს რაც შეიძლება მოკლე დროში. თუ წარმგზავნი სახელმწიფო უარს აცხადებს ამ პირის უკან გაწვევაზე, ან არ აკეთებს ამას გონივრულ ვადაში, მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია აღარ ჩა–თვალოს ეს პირი დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამ–შრომლად.

დიპლომატიური ნოტა (diplomatic note) არის დიპლომატიუ–რი მიმოწერის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომლითაც ერთი სახელ–მწიფო რაიმე ფაქტთან დაკავშირებით პრეტენზიას უცხადებს

მეორე სახელმწიფოს. აგრეთვე, ის შეიძლება იყოს მადლობის წერილი, საერთაშორისო ხელშეკრულება და ა.შ. საერთაშორი–სო პრაქტიკაში ასხვავებენ პირად ნოტას და ვერბალურ ნოტას. პირად ნოტას აქვს წერილის ფორმა, იწყება და მთავრდება კომ–პლიმენტებით. პირადი ნოტა იბეჭდება სანოტო ბლანკზე, შედ–გენილია პირველ პირში და ხელს აწერს გამგზავნი. ვერბალური ნოტა ეხება სხვადასხვა მიმდინარე საკითხს, დაბეჭდილია სანო–ტო ბლანკზე, შედგენილია მესამე პირში და ხელმოუწერელია, ბოლოში აქვს მხოლოდ გამგზავნი დაწესებულების ბეჭედი და ქვედა მარცხენა კუთხეში მითითებულია ადრესატის მისამარ–თი.

ქეისი №22

გრეი - დიპლომატთა თავსატეხი

ინგლისელი დიპლომატი **ე. გრეი** საგარეო საქმეთა მინის–ტრად 1905 წელს დაინიშნა და ამ თანამდებობაზე 11 წელი გაატარა. ეს სარეკორდოდ გრძელი ვადა გახლდათ, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ გრეი გამორჩეულად კარ–გი საგარეო მინისტრი იყო, ან რომ მას ძალიან უყვარდა მისი სამსახური და **დიპლომატიური საქმიანობა.** მას თავდაჯერე–ბულობა აკლდა და დღენიადაგ იმის შიშში იყო, ზედმეტი არ წამოსცდენოდა და ამით ქვეყნისთვის რაიმე ვალდებულება არ დაეკისრებინა. ამის გამო მუდამ ორაზროვნად და გაუგებ–რად საუბრობდა. მისი საუბრისა და თვითგამოხატვის სტილი უცხოელ დიპლომატებს ნამდვილ საგონებელში აგდებდა. თა–ვისი საქმის მიმართ გრეის უცნაურ დამოკიდებულებაზე კი–დევ ერთი ფაქტი მეტყველებდა: იგი თითქმის არ მოგზაურობ–და.

კითხვები:

-მისაღებია თუ არა თქვენთვის დიპლომატის მოღვაწეობის ზემოთ აღნიშნული სტილი? (პასუხი დაასაბუთეთ);

- როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა დიპლომატის ასეთი ხანგრძლივი მოღვაწეობა საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციაზე?

მეტი ცოდნისათვის:

დიპლომატია არის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც უცხო ქვეყნებთან ურთიერთობებში სახელმწიფოს მიზნების შესრულებას ემსახურება. სხვაგვარად, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა და საგარეო ურთიერთობის ორგანოთა ოფიციალური საქმიანობა საგარეო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად საზღვარგარეთ. ტერმინი „დიპლომატია“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „diplōma“ — წარწერებიანი ორკეცი დაფა (ფირფიტები), რომელიც ძველ საბერძნეთში რწმუნებულების საბუთად ეძლეოდა სხვა ქვეყანაში გაგზავნილ დესპანს. თანამედროვე მნიშვნელობით ტერმინი დამკვიდრდა XVIII საუკუნის ბოლოს. დიპლომატია წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად. მისი მიზანდასახულობა და მეთოდები შეესაბამება სახელმწიფოს არსს და პოლიტიკურ რეჟიმს.

მონათმფლობელური სახელმწიფოს დიპლომატია ემსახურებოდა ერთ ქვეყანასთან კავშირის შეკვრას მეორე ქვეყნის წინააღმდეგ, რამაც განაპირობა ელჩების გაგზავნისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა.

მანევრირებითა და ცბიერებით გამოირჩეოდა ანტიკური რომის დიპლომატია. ფეოდალიზმის ეპოქაში ეს ტრადიციები განავითარა ბიზანტიისა და რომის პაპების დიპლომატიამ. ბიზანტიამ შემოიღო მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობანი საზღვარგარეთ და რთული დიპლომატიური ეტიკეტი. მუდმი-

ვი ელჩის ინსტიტუტი პირველად XV საუკუნის იტალიაში წარ–მოიშვა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

დიპლომატიური თანამდებობებში ერთიანდება:

უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობები: საგარეო საქმე–თა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგი–ლე და მოადგილე, სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საერთაშორისო ორგანი–ზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, საერთა–შორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენელი, გე–ნერალური კონსული, საგანგებო დავალებათა ელჩი.

უფროსი დიპლომატიური თანამდებობები: სამინისტროს დე–პარტამენტის დირექტორის მოადგილე, საგანგებო და სრულუფ–ლებიანი დესპანი, საერთაშორისო ორგანიზაციასთან ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, საერთაშორისო ორგანი–ზაციასთან სახელმწიფოს წარმომადგენლის მოადგილე, მინის–ტრის სამდივნოს უფროსი, სამინისტროს დეპარტამენტში შემა–ვალი სამმართველოს უფროსი, უფროსი მრჩეველი, კონსული, მრჩეველი, თავდაცვის ატაშე და სახელმწიფოს თავდაცვის სამი–ნისტროს წარმომადგენელი.

უმცროსი დიპლომატიური თანამდებობები: ვიცე-კონსული, პირველი მდივანი, საკონსულო აგენტი, მეორე მდივანი, მესამე მდივანი, ატაშე, თავდაცვის ატაშეს აპარატისა და ქვეყნის თავ–დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის თანამდებო–ბის პირები.

ქეისი №23

საქართველო ერთა ლიგის მიღმა

1926 წლის ივნისში ლონდონში ჩატარდა ანტისაბჭოთა ძალე–ბის მიერ მომზადებული კონფერენცია. მასში აქტიურად მონა–

წილეობდნენ ქართველი ემიგრანტებიც. გენერალმა გფომანმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო საბჭოთა კავშირზე თავდასხმის კონკრეტული გეგმა. ამ გეგმის ძირითადი მიზანი იყო ინგლის-გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური კავშირის შექმნა საბჭოთა კავშირისგან კავკასიისა და უკრაინის ჩამოსაცილებლად, მოსალოდნელი სამომარი ოპერაციების დაწყების დროს კავკასიასა და უკრაინაში ეკონომიკური პოზიციების მოპოვება და განმტკიცება.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კოლლერ ლემპსონმა განაცხადა: ინგლისი მხარს დაუჭერს **ერთა ლიგაში** საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობასო. სულ რამდენიმე წლის წინ კი, 1920 წლის 16 დეკემბერს, **ერთა ლიგის** ყრილობაზე ინგლისის წარმომადგენელი მ. ფიშერი ყრილობას ურჩევდა, თავი შეეკავებინათ „რუსეთის საზღვარზე მყოფი ამ პატარა სახელმწიფოს“ ერთა ლიგაში მიღებისაგან.

კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორებმა განაპირობეს ინგლისის საგარეო უწყების პოზიციების ცვლილება საქართველოს მიმართ ძალიან მოკლე პერიოდის განმავლობაში?

- თქვენი აზრით, შეეძლო თუ არა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას გავლენა მოეხდინა საერთაშორისო ორგანიზაციის 1920 წლის გადაწყვეტილებაზე? (პასუხი დაასაბუთეთ).

მეტი ცოდნისათვის:

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საზოგადოებაში დამკვიდრდა შეხედულება, რომ ომები პოლიტიკურ გაუგებრობათა და საგარეო პოლიტიკაში საზოგადოების ჩაურევლობის შედეგია. გაჩნდა წარმოდგენა, რომ საყოველთაო მშვიდობის მიღწევა შე-

საძლებელი გახდებოდა სახელმწიფოთა შორის დიალოგისა და საერთაშორისო სამართლის უზენაესობის დამკვიდრებით. ამ წარმოდგენამ განაპირობა მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის, **„ერთა ლიგის“** შექმნა. უფრო კონკრეტულად კი ლიგა 1919-20 წლებში ვერსალის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე დაარსდა 44 ქვეყნის თაოსნობით. მის დამფუძნებლად მოიაზრება „დიდი ოთხეული“: ვუდრო ვილსონი, დევიდ ლოიდ ჯორჯი, ორლანდო ვიტორიო და ჟორჟ კლემანსო.

„ერთა ლიგის“ მთავარ მმართველ ორგანოებს, რომლებიც მდებარეობდნენ ჟენევაში, წარმოადგენდა:

1. საბჭო, რომელიც შედგებოდა 4 მუდმივი და 4 არჩევითი წევრისგან. მუდმივი წევრები იყვნენ: იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და იაპონია.

2. ასამბლეა, რომელიც მსოფლიო პარლამენტის შექმნის პირველი მცდელობა იყო. ასამბლეაზე განიხილებოდა სხვადასხვა სახის მსოფლიო პრობლემები, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს შეეძლო გამოეყენებინა ვეტოს უფლება, რაც ხშირად აბრკოლებდა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების პროცესს.

3. საერთაშორისო სასამართლო, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ჰააგაში. ის შედგებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან არჩეული 15 მოსამართლისგან და განიხილავდა დავებს ქვეყნებს შორის.

მთავარი მმართველი ორგანოების გარდა, ერთა ლიგას გააჩნდა სხვა ისეთი კომიტეტებიც, რომლებიც ზრუნავდნენ: ქალთა და ბავშვთა უფლებებზე, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე და ზოგადად, ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებზე. 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესია ურთიერთობები ერთა ლიგასთან. ამ პერიოდის საქართველოს მთავარი საგარეო ვექტორი მიმართული იყო ევროპის ქვეყნებ-

თან დაახლოებისკენ. საქართველომ მთელი თავისი ძალისხმევა მიმართა იმისაკენ, რომ გამხდარიყო ორგანიზაციის წევრი, სადაც დიდი და მცირე ქვეყნები თანასწორობის პრინციპით ერთიანდებოდნენ და რომელიც უნდა გამხდარიყო ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტი.

საბოლოოდ 1921 წლის 16 დეკემბერს ჟენევაში განიხილეს საქართველოს საკითხი, სადაც 24 სახელმწიფოდან მას მხარი მხოლოდ 10-მა დაუჭირა, მაშინ როცა საჭირო იყო 14 ხმა. საქართველო ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი, რის მიზეზად დასახელდა კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა და რუსეთის ინტერესები ამ რეგიონისადმი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები ჯერ კიდევ არ იყო ზუსტად დადგენილი, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენდა ლიგაში გაწევრიანებისათვის. თავის მხრივ, ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა არ იკისრეს პატარა საქართველოს გამო დიდ რუსეთთან დაპირისპირება, მით უმეტეს მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთი ძალებს იკრებდა. ერთა ლიგის არსებობას მოჰყვა დადებითი შედეგები, მათ შორის: მან შეძლო ომის შეჩერება ბალკანეთის ამჟამინდელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე, შეეცადა გაეუმჯობესებინა სოციალური და ეკონომიკური პირობები მესამე სამყაროს ქვეყნებში და მკაფიოდ დაანახა დანარჩენ მსოფლიოს, თუ რა მძიმე პრობლემების წინაშე იდგა მესამე სამყარო. ასევე, ორგანიზაციის ბევრმა წევრმა ქვეყნამ უარი თქვა შეეცვალა საკუთარი საგარეო პოლიტიკა, იმის მიუხედავად, რომ ის წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთა ლიგის პრინციპებთან.

ერთა ლიგას მონაწილეობა არ მიუღია მეორე მსოფლიო ომში და 1946 წელს თითქმის შეუმჩნევლად დაიშალა, თუმცა მისი როლი კაცობრიობის წინაშე დიდია. ერთა ლიგა იყო მსოფლიოს პირველი ორგანიზაცია, რომელმაც საფუძველი დაუდო სხვა ორგანიზაციების შექმნას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორ-

განიზაციას, რომელიც დღეს-დღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანია. ასევე, ერთა ლიგის შექმნით, იყო მცდელობა შექმნი–ლიყო პირველი მსოფლიო პარლამენტი, სადაც ყველას აზრი გათვალისწინებული იქნებოდა და წამყვანი და განვითარებადი ქვეყნების სიტყვას თანაბარი ძალა ექნებოდა, რაც ძალიან მნიშ–ვნელოვანია იმდროინდელი სამყაროსთვის. ერთა ლიგა წარმო–ადგენდა შანსს საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის, შეერთებოდა დიდ ევროპულ ოჯახს და ჰქონოდა მშვიდობის გარანტია. ორგანიზაციის მთავარ მიზანს კი საერთაშორისო კონ–ფლიქტების ომის გარეშე მოგვარება წარმოადგენდა, რაც დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო კაცობრიობისთვის.

საერთაშორისო შეთანხმებების მიუხედავად, 1932 წელს იაპონია თავს დაესხა ჩინეთს და მის ტერიტორიაზე შექმნა მარიო–ნეტული სახელმწიფო მანჯოუ-გო, ხოლო გერმანიამ მოახდინა რაინის ოლქის ოკუპაცია, დაარღვია ვერსალის ხელშეკრულე–ბა და დაიწყო გამალებული შეიარაღება. იტალიამ 1934 წელს მოახდინა აბისინიის (ეთიოპიის) ოკუპაცია. გერმანია მუქარის გამოყენებით და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელშეწყობით დაეუფლა ჩეხოსლოვაკიას, შემდეგ ავსტრიას („ანშლიუსი“). ეს–პანეთის სამოქალაქო ომში (1936-1938 წ.წ.), ფაქტობრივად, მო–ნაწილეობდნენ იტალია, გერმანია და სსრკ. 1939 წლის 1 სექტემ–ბერს კი მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო.

ქეისი №24

ბერლინის კედლის დიპლომატიური რღვევა

გერმანიის გაერთიანების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუ–ალური თემა იყო 1980-ანი წლების მიწურულს (გაერთიანება მოხდა 1990 წელს). იმხანად სსრკ-ს ელჩი ჰოლანდიაში **ალექსან–**

დრე ჩიკვაიძე შემდეგ ისტორიას მოგვითხრობს: „მახსენდება ჰოლანდიაში დასავლეთ გერმანიის ელჩთან ოტო გობლენცთან გამართული სადილი, რომელსაც ჩემს გარდა ინგლისის ელჩი ჰოლანდიაში სერ მიშელ ჯენკინსი და საფრანგეთის ელჩი რენე ბერნარდი ესწრებოდნენ. გობლენცი იყო განათლებული, უაღრესად დინჯი, მახვილი გონების პროფესიონალი... სადილზე დავრწმუნდი, რომ ჩემთან ერთად ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები შემთხვევით არ იყვნენ მოწვეულნი. აშკარად იგრძნობოდა მასპინძლის სურვილი ამ ქვეყნების დამოკიდებულება გაეგო გერმანიის შესაძლო გაერთიანებისადმი. საკმაოდ ემოციური მსჯელობის დროს განსაკუთრებით ჟან რენე ბერნარდი აქტიურობდა. გერმანიის ნაჩქარევი, ერთი დაკვრით გაერთიანება ბევრ პრობლემას შეუქმნის ევროპას, ამბობდა იგი. დაახლოებით იგივე პოზიციაზე იდგა სერ მიშელ ჯენკინსი. ვიჯექი და ვფიქრობდი, ჩავრეულიყავი თუ არა საუბარში. ვგრძნობდი, რომ როგორც საბჭოთა ელჩს, ეს არ ამცდებოდა, დისკუსიაში აუცილებლად ჩამითრევდნენ. სიმართლე გითხრათ, რაიმე განსაკუთრებული არც კი მქონდა სათქმელი. ცენტრიდან რაიმე დირექტივა და ინსტრუქცია არ მქონდა მიღებული, არ ვფლობდი რაიმე განსაკუთრებულ ინფორაციას. გადავწყვიტე დაუფარავად გამომეთქვა მოსაზრება და დამსწრეებს ვუთხარი:

- ბატონებო, ამაოდ ხარჯავთ დროს, ენერგიას და ნერვებს. სულ მალე გერმანია გაერთიანდება.

ჩემი ნათქვამი მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა. რასაკვირველია, მე არ მქონდა ცენტრიდან პირდაპირი ინსტრუქტაჟის გარეშე ამგვარი განცხადების უფლება. ვიხელმძღვანელე მხოლოდ იმით, რომ ახალ-ახალი მომენტები იკვეთებოდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში. ამერიკელები უკვე მოურიდებლად, ითხოვდნენ კრემლისაგან პრინციპულ დათმობებს, მათ შორის გერმანიის გაერთიანების საკითხში.

საფრანგეთის ელჩმა თავი ვერ შეიკავა და პროგნოზს ნონსენ–სი უწოდა. ინგლისის ელჩმა მორიდებით მითხრა:

- ბატონო ელჩო, თქვენ კარგად იცით, რომ ვაფასებ თქვენს თვალსაზრისს, მაგრამ მიმაჩნია, რომ შეიძლება ცდებოდეთ, თუ-კი რაიმე კონფიდენციალური ინფორმაცია არ გაქვთ მოსკოვი–დან. ყველაზე მეტად გობლენცის რეაქციამ გამაოცა:

- თქვენ იცით, რომ ჩემთვის, როგორც გერმანელისათვის გაერ–თიანება ყოფნა-არყოფნის საკითხია, მაგრამ რა ძალითაც უნდა ვეცადო სასურველის სინამდვილედ აღქმას, ეს პოლიტიკური აქ-ტი ჯერ მომწიფებული არ არის. ...ამას ყველაფერს დრო და რაც მთავარია დიდი მუშაობა ჭირდება“. “

სიმართლე გითხრათ შევცბუნდი. არავინ გაიზიარა ჩემი პო–ზიცია. საუბარი ხუმრობაში გადავიყვანე და ვთქვი:

- კეთილი, დავიცადოთ. მაქსიმუმ ორ-სამ თვეში გერმანია თუ არ გაერთიანდა, ყველას გელოდებით ჩემს რეზიდენციაში წვეუ–ლებაზე.

სიტუაცია განიმუხტა. შინაგანად ყველა დარწმუნებული იყო, რომ სანაძლეოს წავაგებდი. გობლენცმა ისიც კი მთხოვა, ეგებ სა–დილზე ქართული კერძებით გავმასპინძლებოდი ჩემს ოპონენ–ტებს.

სამი კვირა არც იყო გასული, რომ კოლმა და გორბაჩოვმა გერ–მანიის გაერთიანების შესახებ ისტორიული განცხადება გააკე–თეს სტავროპოლში.

იმავე საღამოს დამირეკეს ჩემმა კოლეგებმა. არ სჯეროდათ, რომ იმ საღამოს არ მქონდა დახურული ინფორმაცია ცენტრი–დან. პასუხად სამივეს ვუთხარი, რომ მიუხედავად სანაძლეოს პირობებისა, წვეულებას ჩემს რეზიდენციაში მაინც მე გავმარ–თავდი, რაც ავასრულე კიდეც და სტუმრებმა სწორედ ქართული კერძებით ისიამოვნეს“.

კითხვები:

- მოიქცა თუ არა ელჩი მართებულად, როცა ცენტრიდან დირექტივის გარეშე საკუთარი მოსაზრება საჯაროდ, სხვა ელჩების წინაშე განაცხადა?

- შეაფასეთ გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის ელჩების პოზიციები.

მეტი ცოდნისათვის:

1961 წელს საბჭოთა გამყოფი კედლით გაივლო საზღვარი დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის. 1989 წელს ბერლინის კედელი დაინგრა, ერთი წლის შემდეგ კი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანია ოფიციალურად გაერთიანდა. ამ ყველაფერს წინ უძღოდა აღმოსავლეთ გერმანიის მშვიდობიანი რევოლუცია და ცივი ომი, რომლის პირობებშიც 1987 წლის ივნისში შეერთებული შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა, ბერლინის გამყოფი კედლის წინ წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა ლიდერს მიხეილ გორბაჩოვს მოუწოდა, დაენგრია კედელი, რომელიც ქალაქს საბჭოთა აღმოსავლეთად და დემოკრატიულ დასავლეთად ყოფდა: „გენერალურო მდივანო გორბაჩოვ, თუ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისთვის მშვიდობა, კეთილდღეობა და ლიბერალიზაცია გსურთ, ამ კარიბჭესთან მოდით. ბატონო გორბაჩოვ, გახსენით ეს კარიბჭე. ბატონო გორბაჩოვ, ბატონო გორბაჩოვ, დაანგრიეთ ეს კედელი!“

1989 წლის შემოდგომით ბერლინის კედლის დაცემამ დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ბლოკის დანარჩენ წევრებზე.

კომუნისტური რეჟიმები ერთმანეთის მიყოლებით დაემხო. 1990 წლიდან მოყოლებული გერმანიაში 3 ოქტომბერი გერმანიის გა–ერთიანების დღესასწაულია.

ქეისი №25
რეგიონები - ქვეყნის სარკე

1961 წლის 29 მაისს აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯონ კენედიმ** წერი–ლობით მიმართა საზღვარგარეთ აშშ-ს ყველა **დიპლომატიური წარმომადგენელობის** ხელმძღვანელს, სადაც წერდა: „მე იმედი მაქვს, თქვენ ისე გეგმავთ სამუშაო დღეს, რომ გამოძებნით დროს ქვეყნის რეგიონების მოსანახულებლად. მხოლოდ ამ გზით შეიძ–ლება მჭიდრო პირადი კონტაქტების დამყარება და განვითარება, რომელიც გასცდება ოფიციალური დიპლომატიური კავშირების საზღვრებს და შესაძლებლობას მოგცემთ იქონიოთ ადგილსამ–ყოფელი ქვეყნის ყველა კუთხესთან მჭიდრო ურთიერთობა“.

კითხვები:

- კომენტარი გაუკეთეთ პრეზიდენტ კენედის მიმართვას;
- რამდენად მისაღებია ელჩის მიერ უცხო ქვეყანაში გადაჭარ–ბებული აქტივობის გამოჩენა?

მეტი ცოდნისათვის:

ჯონ ფიცჯერალდ კენედი 1917 წელს დაიბადა, მისი ოჯა–ხი ირლანდიურ-ამერიკულ წყნარ ოჯახს მიეკუთნებოდა. 1940 წელს კენედიმ დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი, მეორე მსოფლიო ომში ის წყნარი ოკეანის ფრონტზე იბრძოდა, სადაც მძიმედ დაიჭრა, ამის გამო მან ლეიტენანტის წოდება და 2 მედა–ლიც მიიღო, ასეთი გმირობის შემდეგ კენედი ამერიკელთა წარ–

მომადგენლების პალატის წევრი იყო 1947-53 წლებში, რის შემდეგაც ის სენატის წევრი გახდა 1953 წელს. 1960 წელს კენედიმ მონაწილეობა მიიღო ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში და სულ მცირე სხვაობით აჯობა ვიცე პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს.

1966 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გამორჩეული იყო ამერიკის ისტორიაში. ინაუგურაციის დღეს ახალგაზრდა, რიგით 35-ე პრეზიდენტმა, ფიცის დადების შემდეგ, ერთობ შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა. მას პრეზიდენტობა პოლიტიკურად ყველაზე რთულ დროს მოუწია, მაშინ როცა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის „ცივი ომი“ მძვინვარებდა. ხალხი მესამე მსოფლიო ომის დაწყების შიშის ქვეშ იყო. კენედი ორივე მხარეს, როგორც შეერთებულ შტატებს, ისე საბჭოთა კავშირს, ბირთვული იარაღის თაობაზე სათანადო შეთანხმებისაკენ მოუწოდებდა.

ჯონ კენედის ახლად დაწყებულ პრეზიდენტობას, საბჭოთა კავშირის მიერ დაჭერილი ორი ამერიკელი მფრინავის გამოშვება მოჰყვა. საბჭოთა კავშირმა ბერინგის ზღვაში ჯაშუშური თვითმრინავი დააკავა. კენედის განცახდებას მფრინავების გათავისუფლების შესახებ დაახლოებით 60 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალ-ყურს. ეს იყო პრეზიდენტ კენედის პირველი სატელევიზო პრესკონფერენცია, რომლის დროსაც მან აღნიშნული ფაქტი დადებითად შეაფასა და ასევე ახალი ურთიერთობების დაწყების საშუალებად მიიჩნია.

ერთ თვეში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელმა ნიკიტა ხრუშჩოვმა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: მან კენედის

შეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამი იყო რომ განაცხადა–ღება საუკეთესო რამ იქნებოდა მსოფლიოს ხალხებისათვის.

მალევე, პრეზიდენტი კენედი „მშვიდობის კორპუსის“ შექ–მნის ინიციატივით გამოვიდა. ეს მოსაზრება მისი წინასაარჩევნო კამპანიის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი იყო.

პრეზიდენტად გახდომის შემდეგ ჯონ კენედიმ განახორცი–ელა მთელი რიგი რეფორმები, ამ დროს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ცივი ომი მძვინვარებდა. ასევე რთული მდგო–მარეობა იყო ვიეტნამშიც, ჯონ კენედი აქტიურად ჩაება ამერი–კისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირებაში.

ამერიკამ კენედის მეთაურობით გაუშვა კოსმოსური ხო–მალდი, კენედის დიდი გარჯის შედეგად დაიწყო კოსმოსური პროგრამა, პირველი ადამიანი რომელმაც მთვარეზე ფეხი დად–გა ამერიკელი იყო (21 ივლისი 1969 წელი), კენედიმ მოახერხა და სამ წელში ამერიკის განვითარება კიდევ უფრო განავრცო, ბევრის გაკეთებასაც მოასწრებდა, მაგრამ იგი 1963 წლის 22 ნო–ემბერს 46 წლის ასაკში მოკლეს ტეხასის შტატ დალასში. ეს იყო უდიდესი ტრაგედია ამერიკელებისათვის. მკვლელობაში ეჭვმი–ტანილი ლი ჰარვი ოსვალდი იყო. საქმე FBI-მ მალევე დახურა თუმცა რეალური მიზეზი და მოტივი მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ უცნობია. ჯონ კენედი იყო ამერიკის 35-ე პრეზიდენტი და ამერიკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მმართველი. ასეა თუ ისე კენედის მკვლელობა ერთ-ერთი საიდუმლოებით მოცული თემაა მსოფლიოს ისტორიაში, რომელიც არც ისე დი-დი ხნის წინ მოხდა.

დიპლომატიური წარმომადგენლობა არის ერთი სახელ–მწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში დაარსებული მუდმივი დაწესებულება, რომლის ამოცანაა ამ სახელმწიფოებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცება და

წარმდგენი სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

დიპლომატიური წარმომადგენლობა XV საუკუნიდან გაჩ–ნდა. მანამდე მხოლოდ ელჩები და დესპანები იგზავნებოდნენ უცხოეთის ქვეყნებში ამა თუ იმ საკითხის (მაგ., ხელშეკრულე–ბის დადება, დიპლომატიური მოლაპარაკება) მოსაგვარებლად. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიების ჩამოყალიბების პერიოდში დროებითი მისიები მუდმივ საწყისებზე გადავიდა. პირველი ასეთი საელჩო შექმნა მილანის ჰერცოგმა ფრანჩესკო სფორცამ ვენეციაში 1455 წელს. ამ ინსტიტუტის ფართოდ შე–მოსვლა მხოლოდ XVI სუკუნიდან დაიწყო.

საქართველოში თავისებური ხასიათი ჰქონდა ელჩობას. ელჩებს XVI–XVII საუკუნეებში ერთმანეთთან აგზავნიდნენ ქართლის/ქართლ-კახეთი და რუსეთის მეფეები. პრაქტიკულად ეს წარმოადგენდა დიპლომატიური წარმომადგენლობას, რო–მელიც თვეობით იმყოფებოდა მეფის კარზე. თანამედროვე ეტაპზე დიპლომატიური წარმომადგენლობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში თავის სახელმწიფოს წარმოადგენს. იგი მართავს მოლაპარაკებას ამ სახელმწიფოსთან, თავის ქვეყანას აწვდის ინფორმაციას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო სფეროებში მიმდინა–რე მოვლენების შესახებ, ხელს უწყობს ორ სახელმწიფოს შორის მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებას. დიპლომატიური წარმომადგენლობა უფლებამოსილია შეასრულოს საკონსულო ფუნქციებიც.

დიპლომატიური წარმომადგენლობის პირადი შემადგენლო–ბა 3 ჯგუფად იყოფა: დიპლომატიური პერსონალი (დიპლო–მატიური აგენტები), ტექნიკური პერსონალი და მომსახურე პერსონალი. დიპლომატიური აგენტები სარგებლობენ სრული დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტით. დიპლო–

მატიური წარმომადგენლობის სამართლებრივ სტატუსს განსაზ–ღვრავს ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერ–თობათა შესახებ (საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1994 წელს). დიპლომატიური წარმომადგენლობა განსხვავდება სა–ერთაშორისო ორგანიზაციებთან (გაერო, იუნესკო და ა.შ.) არსე–ბული მუდმივი წარმომადგენლობისაგან.

ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება არ იწვევს ავტომატურად დიპლომატიური წარმო–მადგენლობის გახსნის აუცილებლობას, მას ხსნიან მხოლოდ ადგილსამყოფელი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინ–ტერესების გათვალისწინებით.

ქეისი №26
უპასუხისმგებლო განცხადება

საქართველოში მყოფმა აშშ-ს ჟურნალისტმა და მკლევარმა **არიელ კოენმა** საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა საქართველოს და კერძოდ, აჭარას. სტატიაში აღნიშნა, რომ აჭარის ლიდერი **ას–ლან აბაშიძე** არის ნარკობარონი და მას „კვებავს“, ანუ ფინანსუ–რად უზრუნველყოფს რუსეთი, ვინაიდან აჭარის ლიდერი მხარს უჭერს რუსეთის სამხედრო ბაზის აჭარაში ყოფნას და სხვა. არი–ელ კოენი სტატიაში აღნიშნავს, რომ ინფორმაცია მას მიაწოდა სა–ქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა პირ–მა, რომელმაც სთხოვა მისი გვარი არ დაესახელებინა.

კითხვები:

- როგორ შეაფასებთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიცია–ლური პირის ქმედებას?

- როგორი რეაქცია მოყვებოდა , თქვენი აზრით, ოფიციალურ პოლიტიკურ წრეებში კოენის ამ განცხადებას?

- როგორ შეიძლება გამოიყენოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ისე, რომ მათგან მიიღოთ და გაავრცელოთ თქვენ–თვის სასურველი ინფორმაცია?

მეტი ცოდნისათვის:

არიელ კოენი დაიბადა 1959 წლის 3 აპრილს ყირიმში, ქ. იალტაში. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ვალერი კოგანი. სკოლა დაამთავრა იალტაში. 1976 წელს მისი ოჯახი გადავიდა სა–ცხოვრებლად სარატოვში, შემდგომ კი - ისრაელში. მსახურობდა ისრაე–ლის არმიაში და დაბრუნებისას ჩაა–ბარა ბარ-ილანის უნივერსიტეტში, რომელიც დაასრულა 1986 წელს. იგი მუშაობდა ჟურნალისტად.

არიელ კოენი 1987 წელს გადავიდა საცხოვრებლად აშშ-ში, სა–დაც გააგრძელა სწავლა. 1989 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი, ხოლო 1993 წელს - ტაფტის უნივერსიტეტში სამართლის დოქ–ტორის ხარისხი. მუშაობდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარე–ბის სააგენტოში მრჩევლად, სენატში კონსულტანტად, აგრეთვე, „რადიო თავისუფლებაში“.

კოენი ექსპერტული მოხსენებებით გამოდიოდა აშშ-ს კონ–გრესში. 90-იან წლებში იგი გატაცებული იყო რუსეთისა და პოსტსაბჭოური ქვეყნების ფინანსებისა და ეკონომიკური სა–კითხების კვლევებით. თანამშრომლობდა ცნობილ ამერიკულ ჟურნალებთან. 1992 წლიდან მუშაობს დეივის საერთაშორისო ცენტრში. იგი არის ატლანტიკური საბჭოს ექსპერტი.

არიელ კოენი აქტიურად აკრიტიკებს აშშ-ს ამჟამინდელ ხელისუფლებას. ხშირად წერს სტატიებს ამერიკის საგარეო და საშინაო უსაფრთხოებაზე.

ქეისი №27

კომუნიკაცია პირველ პირებთან - მთავარი პრობლემა

გასული საუკუნის 1990-იან წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკუთარ დიპლომატებთან (უცხოეთში მომუშავე ელჩებთან და სამინისტროს დიპლომატებთან) მოაწყო სპეციალური თათბირი, რომელსაც პრეზიდენტი **ე. შევარდნაძეც** ესწრებოდა. უცხოეთში მყოფმა ქართველმა ელჩებმა შეხვედრაზე საყვედურნარევი ტონით განაცხადეს, რომ ადგილსამყოფელ ქვეყნებში მათ ნაკლებად იწვევენ **ოფიციალურ შეხვედრებზე** და პირველ პირებთან საუბრის გამართვაც თითქმის შეუძლებელია მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული ნებისმიერი ელჩისათვის სრულიად თავისუფლად შეიძლება.

კითხვები:

- შეიძლება თუ არა განხილული საკითხი რეალურად წარმოადგენდეს პრობლემას? (პასუხი დაასაბუთეთ).

ქეისი №28

დესპანის პასუხი მოქალაქეს

1888 წელს ვაშინგტონში მყოფმა ბრიტანეთის დესპანმა წერილი მიიღი აშშ მოქალაქისაგან, რომელშიც ის ელჩს თხოვდა რჩევას, მიეცა თუ არა ხმა პრეზიდენტის **არჩევნების** დროს. მან

ურჩია ხმა მიეცა ერთ-ერთი კანდიდატისათვის. მოგვიანებით ეს წერილი გაზეთში დაიბეჭდა.

კითხვები:

- თქვენი აზრით, გამართლებულია თუ არა დესპანის ქმედებზა;

- თქვენ რომ უცხო ქვეყნის დესპანი იყოთ, რა რჩევას მისცემდით ამომრჩეველს?

- რა რეაქცია შეიძლება მოჰყოლოდა ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან დესპანის ამ ქმედებას?

მეტი ცოდნისათვის:

არჩევნების, საარჩევნო პროცესის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა.

სხვადასხვა სახელმწიფოსთვის არჩევნების სხვადასხვა პროცედურა არსებობს. ყოველი არჩევნები ეროვნული სუვერენიტეტის არსებობის შემთხვევაში პერიოდულ და თავისუფალ არჩევნებში გამოხატულ ხალხის ნებას უნდა ეფუძნებოდეს. ხალხის ნება შემდეგ ფაქტორებს მოიცავს:

1. საყოველთაო და თანაბარი საარჩევნო უფლება;

2. ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება პირდაპირ, ან თავისუფალი არჩევნების შედეგად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით;

3. საკუთარ ქვეყანაში სახელმწიფო სამსახურის მიღების თანასწორი უფლება;

4. ფარული კენჭისყრის, ან არჩევნების ანალოგიური პროცედურის უფლება, რომელიც ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოხატვას უზრუნველყოფს;

5. მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლება;

6. ასოციაციების თავისუფლება;

7. სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლება, ნებისმიერი სახის ინფორმაციის და იდეების ზეპირად, წერილობით, ან ბეჭ–დვითი სახით მოძიების, მიღების და გავრცელების უფლების ჩათვლით;

8. ქვეყნის მოქალაქეთა უფლება - შეცვალონ მმართველობის ფორმა კონსტიტუციური პროცედურების საშუალებით.

არსებობს არჩევნების რამდენიმე სახე:

საერთო არჩევნები - მორიგი ან რიგგარეშე არჩევნები. მორიგი არჩევნები — არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფ–ლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლე–ბის თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო საქართველოს კონსტიტუციით და კანონით დადგენილ ვა–დებში.

რიგგარეშე არჩევნები — არჩევნები, რომელიც ტარდება საჯა–რო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვა–დამდე შეწყვეტის გამო.

შუალედური არჩევნები – შესაბამის საარჩევნო ოლქში მაჟო–რიტარული საარჩევნო სისტემით, საარჩევნო კოდექსით დად–გენილი წესით ჩატარებული არჩევნები, რომელიც ტარდება ხე–ლისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად;

ხელახალი არჩევნები – არჩევნები, რომლებიც მორიგი არჩევ–ნებისათვის დადგენილი წესით, ხელახლა ტარდება: თუ მაჟო–რიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონა–წილეობდა ერთი კანდიდატი და კანონით დადგენილი წესით მოიხსნა მისი კანდიდატურა; თუ პროპორციული საარჩევნო სის–ტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ვერც ერთმა საარჩევ–ნო სუბიექტმა ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი, ან არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა საარჩევნო ოლქების ნახევარზე

მეტში; თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი სასა–მართლოს გადაწყვეტილებით;

მსოფლიოში მოქმედი საარჩევნო სისტემებია: პლურალისტუ–რი/მაჟორიტარული, პროპორციული, შერეული და სხვა.

მაჟორიტარული (უმრავლესობის) არის ისეთი სისტემა, სა–დაც კანდიდატს მოეთხოვება, რომ სულ მცირე, 50%-ს პლუს ერთი დასაბუთებული ხმა მიიღოს, რათა არჩეულ იქნას. მაჟო–რიტარული (უმრავლესობის) წესი გამოიყენება საკანონმდებ–ლო ორგანოს არჩევნებისთვის, ხოლო უფრო გავრცელებულია – საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. არსებობს შესაძლებლობა, რომ ხმათა უმრავლესობისთვის დადგენილი ზღვარი ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ გადალახოს. აღნიშნული პრობლემა შესაძლე–ბელია მოგვარდეს რანჟირებული ხმების რამდემინე ტურის მეშ–ვეობით.

პლურალურ-მაჟორიტარული სისტემის პრინციპი მარტი–ვია. ხმის მიცემისა და ხმების ტაბულაციის შემდეგ გამარჯვე–ბულად გამოცხადდება კანდიდატი ან პარტია, რომელიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებს (შესაძლოა დამატებითი პირობებიც იყოს). თუმცა, ამის პრაქტიკულად განხორციელების გზები საკ–მაოდ განსხვავებულია. გვხვდება პლურალურ-მაჟორიტარული სისტემის ხუთი სახეობა: უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა, ბლოკური კენჭისყრა, პარტიულ-ბლოკური კენჭისყრა, ალტერნატიული კენჭისყრა და ორტურიანი სისტემა.

პროპორციული წარმომადგენლობის ყველა სისტემის დასა–ბუთება პარტიის ხმათა წილის საკანონმდებლო ხელისუფლების მანდატების შესაბამის პროპორციად ინტერპრეტაციაა. პროპორ–ციული წარმომადგენლობის ორი ძირითადი სახეობა არსებობს – სიითი პროპორციული წარმომადგენლობა და ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა. პროპორციული წარმომადგენლობა ერთზე მეტი წევრისგან შემდგარი საარჩევნო ოლქების გამოყე–

ნებას მოითხოვს: შეუძლებელია ერთი პროცესით მოპოვებული მანდატის პროპორციულად გაყოფა. ყველა საარჩევნო სისტემას წარმომადგენლობის ბარიერი აქვს: ესაა მხარდაჭერის მინიმა–ლური ზღვარი, რომელიც პარტიას ესაჭიროება საკანონმდებლო ორგანოს მანდატების მოსაპოვებლად. ეს ბარიერი შეიძლება კა–ნონის მეშვეობით დაწესდეს (ფორმალური ბარიერი) ან საარჩევ–ნო სისტემის მათემატიკური მახასიათებლის სახით არსებობდეს (ეფექტური ან ბუნებრივი ბარიერები). საქართველოში პროპორ–ციული სისტემის სარჩევნო ბარიერია 5 %.

შერეული საარჩევნო სისტემები პლურალურ/მაჟორიტარუ–ლი და პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტე–მების დადებითი მახასიათებლების კომბინაციას წარმოადგენს. შერეულ სისტემაში ორი საარჩევნო სისტემაა, რომელიც განსხვა–ვებულ ფორმულას იყენებს. ხმას ერთი და იგივე ამომრჩეველი აძლევს და წარმომადგენლებს ორივე სისტემის მიხედვით ირ–ჩევს.

ამჟამად, საქართველოში გამოიყენება პარალელური სისტემა - ერთმანდატიან ოლქებში გამოიყენება უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა სიით პროპორციულ წარმომადგენლობასთან ერთად.

ქეისი №29

დიქტატორი ბრიტანეთის დედოფალთან

1978 წელს რუმინეთის ხელმძღვანელი **ჩაუშესკუ** სახელმწი–ფო ვიზიტით იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში. **ბრიტანეთის დედოფალს** არ ჰქონდა მისი მიღების სურვილი, მაგრამ პრემი–ერ-მინისტრმა დაარწმუნა დედოფალი, რომ თვითმფრინავებისა და შეიარაღების მიყიდვა რუმინეთისათვის იძულებითი მასპინ–ძლობის ტოლია.

კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, ინგლისის სახელმწიფო პოლიტიკაში რა ადგილი შეიძლება დაიკავოს ეკონომიკურმა დიპლომატიამ?

- თქვენი აზრით, მიღების გაუქმების შემთხვევაში, როგორი ფორმატით წარიმართებოდა ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობა?

მეტი ცოდნისათვის:

მისი უდიდებულესობა **დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ** II 1926 წლის 21 აპრილს დაიბადა ლონდონში. ამ პერიოდში სამეფოს მისი ბაბუა ჯორჯ V მართავდა. დაბადებისას, მომავალ დედოფალს ელისაბედ ალექსანდრა მერი უინძორი ეწოდა. ის ჯორჯ იორკის უფროსი ქალიშვილი იყო, რომელიც მოგვიანებით დიდი ბრიტანეთის მეფე გახდა.

ელისაბედ II-ს ბავშვობიდანვე ზრდიდნენ, როგორც პრინცესას. მას აქვს შესანიშნავი განათლება, რომელიც დედოფალს საუკეთესო პედაგოგებმა და კერძო მასწავლებლებმა მისცეს. უფრო მეტიც, ბევრი წყაროდან ცნობილია, რომ გოგონა თვითონ ეწაფებოდა ცოდნას, ფაქტობრივად დამოუკიდებლად ისწავლა ფრანგული ენა და სხვა საგნები.

1939 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ელისაბედ II ცამეტი წლის იყო. 1940 წლის შემოდგომაზე ის გამოვიდა რადიოში, მიმართა ბავშვებს, რომლებიც გერმანული ჯარის დაბომბვის შემდეგ დაზარალდნენ.

მოგვიანებით, ელისაბედ ალექსანდრა მერი სასწრაფო დახმარების მანქანების მძღოლ-მექანიკოსი გახდა. ომის დროს, მას

გადაჰყავდა ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცები. 1945 წელს, მომავალი ინგლისის დედოფალი მუშაობდა ქალთა სათადარი–გო ტერიტორიულ სამსახურში. ომის დასრულებისას მას უკვე ჰქონდა უმცროსი მეთაურის წოდება.

მომავალი მეუღლე ელისაბედ II-მ ომის დაწყებისას სამეფო სამხედრო-საზღვაო კოლეჯში გაიცნო, სადაც ჯორჯ VI ქალიშვი–ლებთან ერთად იმყოფებოდა, რათა სტუდენტები გაეცნო. სწო–რედ ამ ვიზიტის დროს, მომავალმა დედოფალმა დაინახა საბერ–ძნეთის პრინცი ფილიპი, რომელიც 5 წლით უფროსი იყო მასზე და ამ სკოლაში სწავლობდა. ახალგაზრდა ყმაწვილი და გოგონა მხოლოდ რამდენიმე საათით საუბრობდნენ, თუმცა ელისაბე–დისთვის ეს დრო საკმარისი იყო, რომ ფილიპი შეჰყვარებოდა.

ყველა სირთულის მიუხედავად, მაგალითად ის, რომ გოგო–ნასთვის შეუფერებელი იყო მისი რჩეულის წარმომავლობა და განსჯა სამეფო კარზე, ომის დასრულების შემდეგ ელისაბედმა ფილიპს დაქორწინება შესთავაზა. შედეგად, 1947 წლის 20 ნოემ–ბერს, ვესტმინსტერის სააბატოში მომავალი ინგლისის დედოფ–ლისა და მისი შეყვარებულის გრანდიოზული საქორწილო ცერე–მონიალი გაიმართა.

ელისაბედისა და ფილიპის ოჯახში 4 ბავშვი დაიბადა. უფრო–სი შვილი და ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ჩარლზ ფილიპ არტურ ჯორჯი, უელსის პრინცი, პრინცესა ანა ელისაბედ ელის ლუიზა, პრინცი ენდრიუ ალბერტ კრისტიან ედვარდი, იორკის ჰერცოგი და ედვარდ ენტონი რიჩარდ ლუისი უესექსის გრაფი.

მომავალმა დედოფალმა მონარქის ვალდებულებების გაცნო–ბა ჯერ კიდევ 1944 წელს დაიწყო. სწორედ მაშინ გახდა ელისაბე–დი სახელმწიფო საბჭოს წევრი და იმავე დროს მოუხდა შეეცვა–ლა ჯორჯ VI, რომელიც ფრონტის შესამოწმებლად წავიდა.

1952 წლის 6 თებერვალს მეფე ფილტვების დაავადებით გარ–დაიცვალა, ხოლო ელისაბედ II, რომელიც ამ დროს ქმართან ერ–

თან კენიაში ისვენებდა, დიდი ბრიტანეთის დედოფლად გამო–ცხადდა. ერთი წლის შემდეგ, 1953 წლის 2 ივნისს ლონდონში, ვესტმინსტერის სააბატოში ბრიტანეთის ახალი მონარქის ოფიცი–ალური კორონაცია გაიმართა.

ელისაბედ II-ს მმართველობის ეპოქა ინოვაციურ ეპოქად ით–ვლება, ასევე დედოფალიც ბევრ რამეში იყო პირველი, ის მარტი–ვად იღებდა ყველაფერ ახალს. სწორედ მან მიიღო ბუკინჰემის სა–სახლეში პირველი კოსმონავტები, გახდა პირველი ინგლისელი მონარქი, რომელიც ჩინეთს ესტუმრა და მიიღო რომის პაპი, 41 წლის წინ მან გააგზავნა თავისი პირველი Email და 65 წლიანი მმართველობის პერიოდში თანამშრომლობდა 10-ზე მეტ პრე–მიერ-მინისტრთან, რომელთაგან პირველი კონსერვატორი უინ–სტონ ჩერჩილი იყო.

აბსოლუტური რეკორდი, ბრიტანეთის ტახტის ყველაზე ხან–გრძლივად დაკავებაში ელისაბედ II-მ 2016 წლის 9 სექტემბერს დაამყარა. ამ დროს მას დედოფლად ყოფნის 63 წელი და 217 დღე შეუსრულდა, ზუსტად ერთი დღით მეტი, ვიდრე დედოფალ ვიქ–ტორიას.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს, ელისაბედ II-ის 60 წლის მეფო–ბის საპატივცემულოდ Big Ben-ს ოფიციალურად ელისაბედის კოშკი ეწოდა.

ხუთი საინტერესო ფაქტი ელისაბედ II-ს შესახებ

- დედოფალი რაღაც პერიოდის განმავლობაში გატაცებუ–ლი იყო ცურვით, მას მაშველის სერთიფიკატიც კი აქვს მი–ღებული.
- ელისაბედ II-ს არ აქვს პასპორტი.
- მონარქი არასდროს ატარებს თან ფულს. გამონაკლისად ითვლება მხოლოდ კვირა, როცა ის ეკლესიაში მიდის და თან მიაქვს 5, ან 10 ფუნტი ტაძრისთვის შესაწირად. ამავე დროს, ბუკინჰემის სასახლეში მისი უდიდებულესობის–

თვის პერსონალური ბანკომატი დგას.

- ელისაბედ II-ს ძალიან უყვარს ცხენები და ძაღლები. პირ–ველი პონი დედოფალს ჯერ კიდევ ბავშვობაში ბაბუა ჯორჯ V-მ აჩუქა. ძაღლებიდან მას მოსწონს კორგი. ამ ჯი–შის ძაღლი – სახელად სიუზანი – ელისაბედს მამამ აჩუქა, როცა სრულწლოვანი გახდა. ელისაბედ II-ს მმართველო–ბის პერიოდში სასახლეში 30-ზე მეტი კორგი ცხოვრობდა. სხვათა შორის, მონარქმა შექმნა ახალი ჯიში დორგი. ეს შემთხვევა მას შემდეგ მოხდა, რაც მისი ერთ-ერთი კორგი პრინცესა მარგარეტის ტაქსას პიპკინს დაუმეგობრდა.

ნიკოლაუ ჩაუშესკუ დაიბადა 1918 წლის 26 იანვარს სოფელ

სკორნიჩეშტსში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი 11 წლის ასაკში საცხოვრებლად თავის დასთან ბუხარესტში გადავიდა. ჩაუშესკუ პირველად 15 წლის ასაკში დააკავეს, სა–დაც მან გაიცნო ცნობილი ფუნქციონერი კომუნისტური პარტიის წევრები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუმი–ნეთის დიქტატორი ნიკოლაე ჩაუშესკუ, რომელიც თავის ქვეყანას 1965 წლიდან 1989 წლამდე მართავდა, თავისი მმართვე–ლობის სტილით კალიგულას ჰგავდა. ყოფილ მეწაღეს და მის მეუღლე ელენას ცეზარების ცხოვრების სტილი ხიბლავდათ. ეს სწორედ იმ პერიოდში ხდებოდა, როდესაც ქვეყანაში, რომელსაც წარსულში “ევროპის პურის ბეღელს” უწოდებდნენ, წელიწადში 15 ათასი ადამიანი შიმშილით კვდებოდა. ხოლო მას, ვინც გაბე–დავდა და ხმას აღიმაღლებდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, ქვეყნის ხელისუფლების ერთგული ძალოვანი სტრუქტურების რისხვა არ ასცდებოდა.

ნ. ჩაუშესკო რუმინელებს რომაელების პირდაპირ მემკვიდ–
რეებად თვლიდა, ხოლო რუმინულს ლათინურ ენასთან ყვე–
ლაზე მიახლოებულად მიიჩნევდა. მისი მეუღლე, ელენა,
ოფიციალურად ითვლებოდა ქვეყნის მეორე პირად. იგი პრემი–
ერ-მინისტრის პირველი მოადგილე იყო (პრემიერ-მინისტრი
კი თავად ჩაუშესკუ იყო). მათი შვილი ნიკუ, გამოუსწორებელი
ლოთი და ყველანაირად ამორალური ადამიანი, ქალაქ სიბიუს
მმართველად იყო დანიშნული. ამასთანავე, ჩაუშესკუმ გარშე–
მო შემოიკრიბა ყველა თავისი ნათესავი და მათ მნიშვნელოვანი
თანამდებობები ჩამოურიგა.

80–იანი წლების ბოლოს ჩაუშესკუმ საყვარელ ძაღლს რუმი–
ნეთის არმიის პოლკოვნიკის წოდება უბოძა. კორბუს „სამსახუ–
რებრივი წინსვლა“ ვერ მოხერხდა, რადგან ამას ხელი შეუშალა
1989 წლის 21 დეკემბერს დაწყებულმა რევოლუციამ, რომელიც 4
დღე გრძელებოდა და რომელმაც სამუდამოდ დაუსვა წერტილი
რუმინელი კალიგულას დიქტატურას.

ვერც პირადი უსაფრთხოების ზომებმა, ვერც ძალაუფლების
სისტემამ, რომლის მმართველობის ყველანაირი ბერკეტი “დიდი
ოჯახის” ხელში იყო, ვერც რეპრესიულმა აპარატმა “სეკურიტა–
ტემ’’, რომელსაც თავად ქვეყნის პირველი პირი მართავდა, ვერ
იხსნა ჩაუშესკუ. გადამწყვეტ მომენტში, იმისათვის, რომ მსახუ–
რებს საკუთარი ტყავი გადაერჩინეთ მათ გასცეს “დიდი ოჯახი”.
ოთხ დღეში დაეცა რეჟიმი, რომელიც საუკუნის მეოთხედის გან–
მავლობაში ყალიბდებოდა.

მეუღლეებმა შვეულმფრენით სცადეს გაპარვა. როდესაც გამ–
წარებულ ბრბოს თავზე გადაუფრინა ვერტმფრენმა, ჩაუშესკუმ
შვებით ამოისუნთქა, თუმცა ეს სულის მოთქმა მალევე ჩაუშხამ–
და. სპეცრაზმმა ისინი შეიპყრო. ამრიგად, წყვილმა ვერ შეძლო
გაქცევა და შვეიცარიის ბანკებში შენახული ასობით მილიონის

გამოყენება, რომლის დაბრუნებასაც დღემდე ითხოვს რუმინე–თის მთავრობა, მაგრამ უშედეგოდ.

1989 წლის 25 დეკემბერს, შობა დღეს, ბუხარესტის სამხედრო ბაზაზე, შედგა დიქტატორების სასამართლო პროცესი. ისინი დამნაშავედ ცნეს გენოციდსა და კორუფციაში, დახვრეტის განა–ჩენი გამოუტანეს და იქვე დახვრიტეს. მეუღლეებმა ითხოვეს, რომ ერთად დაეხვრიტათ, ცეცხლის გახსნამდე ნიკოლაე ყვირო–და: "გაუმარჯოს სოციალისტურ რუმინეთს! ძირს მოღალატე–ები!" მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: "მე ეს არ დამიმსახურე–ბია!.."

ქეისი №30

პრეზიდენტები ბიზნესის სამსახურში

საფრანგეთის პრეზიდენტმა **ჟაკ შირაკმა** ერთხელ კმაყოფი–ლებით აღნიშნა, რომ მისი პირადი ჩარევის შემდეგ ერთ-ერთ ქვეყანასთან 120 მილიარდი ფრანკის კონტრაქტს მოეწერა ხელი. თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტმა **ბილ კლინტონმა** პირადი წერილი გაუგზავნა საუდის არაბეთის მეფეს, რომელშიც ის რე–კომენდაციას უწევდა მონარქს, რომ მას ნაცვლად ევროპული „აერობუსისა" ამერიკული „ბოინგი" შეეძინა.

კითხვები:

- რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, სახელმწიფოს მე–თაურის მხრიდან ასე ღიად ეროვნული ბიზნესის კორპორაციუ–ლი ინტერესების დაცვა?

- როგორ ფიქრობთ, რამდენად ხშირად გამოიყენება სახელ–მწიფო ვიზიტები ეკონომიკური მიზნების მიღწევისათვის?

მეტი ცოდნისათვის:

ბილ კლინტონი (უილიამ ჯეფერსონ ბლაიტ III) დაიბადა 1946

წლის 19 აგვისტოს არკანზასის შტატ–ში. მამა მალევე გარდაიცვალა, ხოლო დედა საცხოვრებლად მშობლებთან დაბრუნდა, ამიტომ ბილის აღზრდაში ძირითადად ბებია და ბაბუა მონაწი–ლეობდნენ. როცა იგი 4 წლის გახდა, დედა ცოლად გაჰყვა ავტომობილე–ბით მოვაჭრე როჯერ კლინტონს. მამი–ნაცვლის გვარი ბილმა მიიღო 15 წლის ასაკში.

სკოლაში სწავლის დროს ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობდა ჯაზ-ბენდს, სადაც თავად საქსაფონზე უკრავდა. მან 1963 წელს მიიღო მონაწილეობა პრეზიდენტ ჯონ კენედისთან გამართულ შეხვედრაში.

სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა ჯორ–ჯთაუნის უნივერსიტეტში, ვაშინგტონში, რომელიც დაასრულა 1968 წელს, შემდეგ დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტის კოლეჯი, აგრეთვე, იელის უნივერსიტეტი 1973 წელს. ოჯა–ხის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბილი თავად ირჩენდა თავს და გაზრდილ სტიპენდიასაც იღებდა უნივერსი–ტეტში.

ბილმა 1973 წელს გაიცნო მისი მომავალი მეუღლე ჰილარი როდემი, რომელზეც 1975 წლის 11 ოქტომბერს იქორწინა. უნი–ვერსიტეტის დასრულების შემდეგ მცირე ხნით კითხულობდა ლექციებს არკანზასის იურიდიულ ინსტიტუტში, ფაიეტვილში.

ბ. კლინტონი 1974 წელს 28 წლის ასაკში კენჭს იყრიდა არ–კანზასის შტატიდან კონგრესში, მაგრამ წააგო. 1976 წელს დაი–ნიშნა იუსტიციის მინისტრად და გენერალურ პროკურორად არკანზასის შტატში, ხოლო 1978 წელს ქვეყნის ისტორიაში ყვე–

ლაზე ახალგაზრდა (32 წლის ასაკში) გუბერნატორი გახდა. მისი 11 წლიანი მოღვაწეობა ამ თანამდებობაზე ძალიან ნაყოფიერ პერიოდად ითვლება შტატის აღორძინებისა და განვითარებისათვის.

1991 წლის 3 ოქტომბერს, რესპუბლიკელების 12 წლიანი მმართველობის შემდგომ, ბ. კლინტონმა წამოაყენა მისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად და დიდი უპირატესობით ურთულესს ბრძოლაში გაიმარჯვა.

არჩევნების პირველი ვადა ბ. კლინტონისათვის ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდა, ხოლო მეორე ვადა უფრო ნაყოფიერი იყო ეკონომიკური განვითარების კუთხით. თუმცა ამ პერიოდში მომხდარმა სკანდალმა მონიკა ლევინსკასთან დაკავშირებით, ძალიან შეამცირა პრეზიდენტის რეიტინგი და მისი იმპიჩმენტის საკითხიც კი განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში მკვეთრად შემცირდა შიგა ვალები, შემცირდა უმუშევრობის დონე. ასევე, მისმა ადმინისტრაციამ მიაღწია შეთანხმებას ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ, ნატოს გაფართოების მეოთხე ეტაპზე და იუგოსლავიის საკითხის მოგვარებაზე.

პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდგომ ბ. კლინტონი ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ჟაკ რენე შირაკი დაიბადა პარიზში 1932 წლის 29 ნოემბერს. მონაწილეობა მიიღო 1956-1957 წლების ალჟირის ომში, სადაც მან ტრამვა მიიღო. სამხედრო სამსახურის შემდეგ ჟ. შირაკმა დაამთავრა ინსტიტუტი და მიიღო პოლიტოლოგის დიპლომი.

ჟ. შირაკმა 1959 წელს დაიწყო აუდიტორად მუშაობა და ჩა–ერთო პოლიტიკურ საქმიანობაში. ახალგაზრდობაში იგი კომუ–ნისტურ შეხედულებებს იზიარებდა. 1962 წელს არჩეული იქნა სენტ-ფერეოლის მუნიციპალიტეტის მრჩევლად. ამ პერიოდში შირაკი აქტიურად იყო ჩართული საარჩევნო კამპანიაში და ცნო–ბილი იყო, როგორც პიროვნება, რომელიც მიზნის მიღწევისათ–ვის საკმაოდ აგრესიულ მეთოდებს იყენებდა.

1972 წელს ჟ. შირაკმა სოფლის მეურნეობის მინისტრის პორ–ტფელი ჩაიბარა, ხოლო 1974 -1976 წლებში - პრემიერ მინისტრის თანამდებობა. თანამდებობიდან გაშვების შემდეგ იგი ოპოზიცი–აში გადავიდა. 1977 წელს დაინიშნა ქ. პარიზის მერად და ეს თა–ნამდებობა ეკავა 1995 წლამდე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მანამ–დე, 100 წლის განმავლობაში ქალაქს მერი არ ჰყავდა. 1986 წელს იგი მეორედ გახდა პრემიერ-მინისტრი და ამავდროულად რჩე–ბოდა ქალაქის მერად. ამ პერიოდში მას დაძაბული ურთიერთო–ბა ჰქონდა პრეზიდენტთან, შირაკის კაბინეტის მიერ მიღებულ დადგენილებებს ფრანსუა მიტერანი ხშირად ადებდა ვეტოს.

1988 წელს ჟ. შირაკი საპრეზიდენტო არჩევნებში იღებდა მონა–წილეობას, თუმცა არ იქნა არჩეული, რის გამოც დატოვა პრემი–ერ-მინისტრის პოსტი და ოპოზიციას ჩაუდგა სათავეში. მან 1995 წელს გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, აჯობა ლ. ჟოსპენს არჩევნების მეორე ტურში და სახელმწიფოს მეთაურის რანგში გაატარა ორი ვადა - 7 და 5 წელი.

2002 წლის 14 ივლისს მოხდა წარუმატებელი თავდასხმა ჟ. შირაკზე. დამნაშავე აღმოჩნდა მემარჯვენეთა მომხრე, ფსიქიკუ–რად დაავადებული ადამიანი.

შირაკის პრეზიდენტობა შეწყდა 2007 წლის 16 მაისს, რის შემდეგაც ის გახდა საკონსტიტუციო საბჭოს საპატიო წევრი.

2011 წლის 15 სექტემბერს გაიმართა სასამართლო პროცესი ჟ. შირაკის წინააღმდეგ სამსახურეობრივი უფლება-მოვალეო–

ბების არამიზნობრივად გამოყენებისა და დარღვევების მუხ–ლით და შეეფარდა პირობითი ვადა 2 წელი. განაჩენზე იმოქმე–და მისმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ.

2017 წლის იანვარში პოლიტიკოსი წარდგენილ იქნა ნობელის პრემიაზე.

ქეისი №31

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია - პატარა ქვეყნის „ზედმეტი ტვირთი?“

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ყოფილმა მაღალი თანამდებობის პირმა, გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბჭოს წევრმა, პოლიტი–კის მეცნიერებათა კანდიდატმა გულბაათ რცხილაძემ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა „დილის გაზეთში“ (27.01.2000), სადაც აღ–ნიშნა: „საქმე სასაცილომდე მიდის, თურმე ნუ იტყვით, **ვაჭრო–ბის მსოფლიო ორგანიზაციაში** საქართველოს მიღება იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო აღიარებს საქართველოში დემოკრატიის გამარჯვებას, ჩვენ „ვეკუთვნით ცივილიზებულ სამყაროს“. სავაჭ–რო ორგანიზაციაში გაწევრიანების ფაქტით ასეთი მასშტაბური დასკვნების გაკეთება მიუღებელია, დიპლომატისთვის კი პირ–დაპირ სირცხვილი. ამ ორგანიზაციაში მხოლოდ ეკონომიკით, ვაჭრობით არიან დაკავებული და დემოკრატობანას თამაშისათ–ვის არავის ცხელა. ცნობისათვის: ორგანიზაციაში საქართველოს გარდა 135-მდე წევრია, მათ შორის ისეთი „არაპრესტიჟული“ ქვეყნები, როგორიცაა ბურკინა-ფასო, განა, პაპუა, მავრიტანია, ნიკარაგუა და სხვა“.

კითხვები:

– ეთანხმებით თუ არა გამოცდილი მკვლევარისა და მეცნიე–რის მოსაზრებას? (პასუხი დაასაბუთეთ).

– თქვენი აზრით, რა სარგებელის მოტანა შეუძლია სახელმწი–ფოსათვის ასეთი ტიპის ორგანიზაციებში გაწევრიანებას?

მეტი ცოდნისათვის:

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO, ვმო) — არის სა–ერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1995 წელს GATT-ის საფუძველზე, ურუგვაის რაუნდის რვაწლიანი მო–ლაპარაკებების შედეგად და მან ფაქტობრივად შეცვალა გატი (GATT).

ამ ორგანიზაციებმა უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში შექმნეს ძლიერი საერთაშორისო სავაჭრო სისტემა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არსებით წყაროს მარაკეშის შეთანხმე–ბა წარმოადგენს, რომელიც 1994 წლის 14 აპრილს დაიდო და ძალაში 1995 წლის 1 იანვარს შევიდა. მას ასევე საფუძვლად უდევს 30-მდე შეთანხმება, რომლებიც წარმოადგენენ საერთა–შორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის სამართლებრივ ბაზას. ეს შეთანხმებები თავმოყრილია ურუგვაის რაუნდის სა–ბოლოო აქტში, რომლის ძირითადი პრინციპებია:

– არადისკრიმინაციული დამოკიდებულება ყველა ქვეყნის მიმართ;
– თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა;
– კონკურენციის ხელშეწყობა;
– განსაკუთრებული დახმარების აღმოჩენა ნაკლებად განვი–თარებული ქვეყნებისთვის.

ვმო-მ უპრეცედენტოდ გაზარდა გლობალური ეკონომიკა. ის აწესებს სავაჭრო სისტემის კანონებს და აგვარებს უთანხმოებებს მის წევრ ქვეყნებს შორის, რომელთა უმრავლესობა დაახლოებით

30 ერთობლივი შეთანხმების ხელმომწერია. დაარსების შემდეგ, მრავალ ქვეყანაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გლობა–ლიზაციის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ გაერთიანებათა ძირითად ფოკუსშია.

ვმო არის ორგანიზაცია, ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერ–თობების დასაწყებად, ეს არის ფორუმი მთავრობებისთვის, სა–ვაჭრო ხელშეკრულებებისთვის, მოლაპარაკებისათვის. ეს არის ადგილი, სადაც შესაძლებელია სავაჭრო უთანხმოების მოგვა–რება. ის ოპერირებს სავაჭრო კანონმდებლობის გამოყენებით. არსებითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არის ადგილი, სა–დაც წევრი ქვეყნების მთავრობები ცდილობენ დაალაგონ მათ ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო პრობლემები.

ქეისი №32

მიუღებელი პასუხი

ინდოეთში ერთ-ერთი ვიზიტის დროს რუსეთის ვიცე-პრემიერმა **როგოზინმა** პრესკონფერენციაზე ჟურნალის–ტების შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა რუსეთის მიერ პაკისტანისთვის ისეთი იარაღის მიყიდვას, რომელიც, ინდო–ელთა აზრით, არღვევს ინდოეთ-პაკისტანს შორის შექმნილ სამხედრო ბალანსს, უპასუხა: „თუ მსგავსს აღმოაჩენთ, სახეში შემაფურთხეთ". ცნობილია, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთობ დაძაბულ ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ცხადია, მსოფ–ლიო მედიისათვის ეს ამბავი უცხო სულაც არ იყო, მთავარი როგოზინის პასუხი იყო - „შემაფურთხეთ სახეში". ვიცე-პრე–მიერს ჟურნალისტებმა დიპლომატიური პროტოკოლი დაუწუ–ნეს.

კითხვები:

– როგორ შეაფასებდით ვიცე-პრემიერის გამოსვლას?

მეტი ცოდნისათვის:

დიმიტრი როგოზინი დაიბადა 1963 წლის 1 დეკემბერს ქ. მოსკოვში არის–ტიკრატულ ოჯახში. მისი მამა იყო მა–ღალჩინოსანი გენერალ-ლეიტენანტი, ხოლო დედა ექიმი.

ერთადერთი შვილი მშობლებმა მი–აბარეს სპეციალიზირებულ სკოლაში, სადაც გაღრმავებულად სწავლობდა ფრანგულ ენას და წარმატებული მოს–წავლე იყო. აქტიურად იყო დაკავებუ–ლი სპორტით.

1981 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა მოსკო–ვის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთო–ბების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის სპეციალობით, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1986 წელს. მან სწავლა გააგრძელა და 1988 წელს აიღო ეკონომისტის დიპლომი.

სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სა–ერთაშორისო და ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, 1992 წელს შექმნა პარტიათაშორისი სტრუქტურა „რუსეთის აღორძინების კავშირი“, რომელშიც გააერთიანა ქრისტიან-დემოკრატები, კა–დეტები და სოციალ-დემოკრატები. იყო ბ. ელცინის აქტიური მხარდამჭერი.

1998-1999 წლებში გახდა სახელმწიფო დუმის წევრი, ხოლო 2002-2003 წელს მონაწილეობდა მოლაპარაკებებში ევროკავშირ–სა და ლიტვის რესპუბლიკასთან.

2003 წელს გამოვიდა რუსეთის ნაციონალური პარტიის რიგე–ბიდან და გაწევრიანდა „ედინოი როსიას“ პარტიაში. იგივე წელს დაიკავა თავჯდომარის მოადგილის თანამდებობა სახელმწიფო დუმაში.

2008 წლიდან წლის ბოლომდე იყო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ნატოში, შემდეგ კი - რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

იგი 2011-2018 წლებში იყო რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემი–ერი. დ. როგოზინი იყო სხვადასხვა საპასუხისმგებლო კომისიე–ბის წევრი.

2017 წელს მოლდოვამ გამოაცხადა როგოზინი პერსონა ნონ-გრატად. ასევე 2014 წლიდან „შავ სიაში“ იქნა შეყვანილი აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის, შვეიცარიის და ევროკავშირის მიერ.

ჰყავს მეუღლე, ვაჟი და სამი შვილიშვილი.

ქეისი №33

ბელგია და რეგიონალიზმი

ბელგიაში 1993 წელს ჩატარდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომლის მიხედვით ექსპორტისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხები რეგიონების ფლანდრიის, ვალონიის, ბრიუსელის კომპეტენციაში გადავიდა. ინვესტიციებთან დაკავ–შირებით საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული ბელგიის დიპ–ლომატიური წარმომადგენლობები პირდაპირ უკავშირდებიან რეგიონებს. ფედერალური მთავრობის მიერ შექმნილია საგარეო ურთიერთობების საკოორდინაციო კომიტეტი, რომელსაც მორი–გეობით რეგიონების წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ. რე–გიონული სუბიექტები, როგორც წესი, აფუძვნებენ საკუთარ სა–ექსპორტო სააგენტოებს. მათ საზღვარგარეთის ქვეყნებში ჰყავთ ეკონომიკური და **სავაჭრო ატაშეთა ქსელი.**

კითხვები:

– რამდენად მისაღებია თქვენთვის რეგიონალიზმი, როგორც შიდასახელმწიფოებრივი მოვლენა?

– თქვენი აზრით, იმოქმედებდა თუ არა რეგიონალიზმის ასეთი მოდელი დიპლომატიურ ურთიერთობზე საქართველო–ში?

მეტი ცოდნისათვის:

ბელგია, ოფიციალურად **ბელგიის სამეფო** წარმოად–გენს სახელმწიფოს დასავ–ლეთ ევროპაში. სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება საფრანგეთი (620 კმ), ჩრდი–ლოეთით - ნიდერლანდები (450 კმ), აღმოსავლეთით გერმანია (167 კმ) და ლუქ–სემბურგი (148 კმ), ჩრდი–ლო-დასავლეთით აკრავს ჩრდილოეთის ზღვა. სანაპირო ხაზის სიგრძეა 66 კმ. ბელგია მდებარეობს დასავლეთი ევროპის ბევრი ქვეყნის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მა–გისტრალების გზაჯვარედინზე. ფართობი 30 528 კმ². ქვეყნის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქია ბრიუსელი. ოფიციალური ენებია: ნიდერლანდური, ფრანგული და გერმანული.

ბელგიაში კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქიაა. ად–მინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა ფედერაცი–ულია. ფულის ერთეულია ევრო. 2014 წლის აღწერის მონაცე–მებით ბელგიაში ცხოვრობდა 11 198 638 ადამიანი. ეროვნული შემადგენლობით ბელგიის მოსახლეობა 2 ძირითად ჯგუფად იყოფა: ფლამანდელები და ვალონები. ამ ორი ჯგუფის ტერიტო–

რიული განსახლების საზღვარი გადის ბრიუსელის სამხრეთით. ბელგიის კონსტიტუცია სარწმუნოების თავისუფლების გარან–ტიას იძლევა. მოსახლეობის უმეტესობა კათოლიკეა, არიან აგ–რეთვე პროტესტანტები, იუდეველები და სხვა.

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან ბელგიის ტერი–ტორია დასახლებული იყო ბელგების კელტური ტომებით. ქვეყნის სახელწოდება ბელგების სახელწოდებასთან არის და–კავშირებული. ძველი წელთაღრიცხვის 57 წელს რომაელებმა დაიპყრეს. III-V საუკუნეებში ბელგიის ტერიტორიაზე დასახ–ლდნენ გერმანული ტომები - ფრანკები, ფრიზები და საქსები, რამაც გამოიწვია ჩრდილოეთ ბელგიის ადრინდელი ბელგურ -რომაული მოსახლეობის გაგერმანელება. V-IX საუკუნეებში ბელგიის ტერიტორია შედიოდა ფრანკთა სახელმწიფოს შემად–გენლობაში. XIV საუკუნის დასასრულს ბელგიის თითქმის მთელი ტერიტორია ბურგუნდიის ჰერცოგთა გამგებლობაში მოექცა, ხოლო 1516 წელს ესპანეთს დაემორჩილა.

1795 წელს ბელგია საფრანგეთს შეუერთდა, ხოლო შემდეგ, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით - ნიდერლანდებს. ლონ–დონის კონფერენციამ 1830-1831 წლებში ცნო ბელგიის სუვერე–ნიტეტი და გამოაცხადა მისი სამუდამო ნეიტრალიტეტი. პირვე–ლი მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანიამ დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი და თავისი ჯარებით დაიკავა მისი ტერიტორია. 1940 წლის 10 მაისს გერმანიის ფაშისტურმა არმიამ კვლავ დაარ–ღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი, რის შედეგადაც ბელგიის მთავ–რობა ლონდონში წავიდა.

1944 წლის 5 სექტემბერს შეიქმნა ეკონომიკური კავშირი ბე–ნილუქსი, რომელიც არის შემოკლებული სახელწოდება ბელგი–ის, ნიდერლანდისა და ლუქსემბურგისა. 1980 წელს - შეიქმნა მმართველობის რეგიონული სტრუქტურები ფლანდრიის, ვა–ლონიისა და ბრიუსელისათვის. 1992 წელს გამოცხადდა, რომ

შემოღებული იქნებოდა ფედერაციული სისტემა. 1994 წელს მი–ღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია.

დღეს ბელგია არის ერთ-ერთი ძლიერი, წარმატებული და გავ–ლენიანი სახელმწიფო. ამ მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანას მშპ-ის მოცულობით (272 მლრდ. $) მსოფლიოში მე-20 ადგილი უჭირავს.

იგი ევროპის კავშირის, გაეროსა და ჩრდილოატლანტიკუ–რი ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა, ხოლო მის დედაქალაქ ბრიუსელში განლაგებულია ევროპის კავშირის შტაბ-ბინა, აგრეთვე, ნატოს ოფისი და ბენილუქსის ქვეყნების სამდივნო.

ატაშე - დიპლომატიური მუშაკის თანამდებობა ან რანგი; პირი, რომელიც მივლინებულია საელჩოში ან დიპლომატიურ მისიაში და წარმოადგენს საკუთარი ქვეყნის შესაბამის უწყებას მოცემული ქვეყნის უწყებათა წინაშე. დიპლომატიურ წარმომად–გენლობებში შეიძლება იყოს ატაშე კულტურის, განათლების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის დარგში, სავაჭრო, სამხედ–რო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ატაშე და სხვა.

ყველა კატეგორიის ატაშე დიპლომატიური კორპუსის შემად–გენლობაში შედის და დიპლომატიური პრივილეგიებით და იმუ–ნიტეტით სარგებლობს. საქართველოს კანონმდებლობით, ატაშე ყველაზე დაბალი საფეხურის დიპლომატიური თანამდებობაა, ყველაზე დაბალი დიპლომატიური რანგია. თუმცა, მიზნობრივი დანიშნულების ატაშე (სამხედრო ატაშე, კულტურის ატაშე, პრე–სის ატაშე, სავაჭრო ატაშე და სხვა) შესაძლებელია უფრო მაღალი თანამდებობის საფეხურს უტოლდებოდეს (მაგალითად მრჩე–ველს, პირველ მდივანს და სხვა).

ქეისი №34
„მცირე ომი“

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა**, რომელიც **საბ–ჭოთა კავშირის** დაშლას მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ ტრაგე–დიად მიიჩნევს, სამაჩაბლოში ომის დაწყების მეორე დღეს, 2008 წლის 9 აგვისტოს ვლადიკავკაზში ყოფნისას განაცხადა: “რუსე–თი საუკუნეების მანძილზე ასრულებდა კავკასიაში დადებით როლს, იყო უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის გარანტი. ასე იყო წარსულში, ასე იქნება მომავალშიც. ნურც ნურავის შეეპარე–ბა ამაში ეჭვი.”

აქვე უნდა აღინიშნოს 2009 წელს ოლიგარქის, აწ გარდაცვლი–ლი ბორის ბერეზოვსკის მიერ გაკეთებული განცხადება: “მე ვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები და ვიცი, რომ ეს იყო პროვოკაცია და აგრესია რუსეთის მხრიდან, რაზეც სამწუხაროდ წამოეგო საქართველოს ხელისუფლება. ომი ინი–ცირებული იყო რუსეთის მიერ, იგი მეთოდურად ემზადებო–და ამისთვის, მე ვიცოდი ამის შესახებ ჯერ კიდევ იმ დროიდან მოყოლებული, როცა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდო–მარის მოადგილე ვიყავი და დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის ფუნქციებს ვასრულებდი”.

2008 წლის აგვისტოს რამდენიმე დღიანი ომი, მცირე მსხვერ–პლითა და საქართველოს ტერიტორიის ანექსიით, ისტორიაში **„მცირე ომის“** სახელწოდებით შევიდა.

კითხვები:

– თქვენი აზრით, შეეძლო თუ არა საქართველოს დიპლომა–ტიური ურთიერთობების შესაძლებლობათა მაქსიმალური გა–მოყენებით თავიდან აეცილებინა ომი?

– როგორ ფიქრობთ, აშშ-ს უფრო ქმედითი ჩარევით მიიღებდა თუ არა ქვეყანა პოზიტიურ შედეგებს? (პასუხი დაასაბუთეთ).

მეტი ცოდნისათვის:

ვლადიმერ პუტინი დაიბადა 1952 წლის 7 ოქტომბერს ქ.ლენინგრადში. პრეზიდენტობის დროს პუტინმა განაცხადა, რომ ბავშვობიდან იტაცებდა საბჭოთა ფილმები დაზვერვაზე და სურდა ემუშავა სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებში. მადლობას უხდიდა საბჭოთა ხელისუფლებას შესაძლებლობებისთვის, რომლებსაც იგი ახალგაზრდებს აძლევდა.

1970-1975 წლებში პუტინი სწავლობდა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ყოფნის დროს გაწევრიანდა კომუნისტურ პარტიაში. სწავლის დროს მან ასევე გაიცნო ანატოლი სობჩაკი, რომელიც იმ დროს უნივერსიტეტის დოცენტი იყო. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მოხვდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში (КГБ), სადაც 1977 წლიდან მუშაობდა კონტრდაზვერვაში. 1979 წელს დაასრულა КГБ -ს უმაღლესი სკოლის კურსები მოსკოვში და ლენინგრადში დაბრუნდა.

1985-1990 წლებში მუშაობდა გდრ-ში, სადაც მიიღო პოდპოლკოვნიკის ჩინი. 1990 წლის მასობრივი დემონსტრაციების დროს არ მისცა მომიტინგეებს КГБ-ს შენობის დანგრევის საშუალება. 1990 წლის ივნისში დაბრუნდა ლენინგრადში, სადაც გახდა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის თანაშემწე საერთაშორისო საკითხებში. იმავე წელს და–

იწყო პოლიტიკური კარიერა ლენინგრადის მერის ანატოლი სობჩაკის ხელმძღვანელობით.

1998-1999 წლებში იყო უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი, 1999 წელს იკავებდა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტს.

ქვეყნის პირველი პირი გახდა 1999 წლის 31 დეკემბერს, როდესაც პრეზიდენტი ბორის ელცინი ვადამდე გადადგა. პირველად პრეზიდენტად აირჩიეს 2000 წლის 26 მარტს, მეორედ 2004 წელს, მესამედ — 2012 წელს, მეოთხედ კი 2018 წელს.

არის სპორტის ოსტატი ძიუდოში და სამბოში. არის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი (1997). თავისუფლად ფლობს გერმანულ ენას.

საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ: 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ცარისტული რუსეთის მმართველობას ბოლო მოუღო.

რამდენიმე თვის შემდეგ **ლენინის** მეთაურობით ბოლშევიკებმა მოაწყვეს ე.წ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რის შედეგადაც დაარსდა „რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა“.

1922 წლის დეკემბერს რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ დაარსებული იქნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო – **„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“** (შემოკლებით **სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი**), რომელმაც უკვე ამ დროისთვის დაშლილი რუსეთის ცარისტული იმპერიის უმეტესი ნაწილი მოიცვა და ხელახლა რუსეთს შემოუერთა. შეიქმნა სოციალისტურ-ცენტრალიზებულად მართული მრავალეროვანი სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, ჩრდილო და შუა აზიაში.

საბჭოთა კავშირში ცენტრალიზებულ-ეკონომიკური გზით განხორციელდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

მსოფლიო რევოლუციის მოსამზადებლად მოსკოვში განვი–თარებული ინდუსტრიალიზებული და სამხედრო პლაცდარმის მშენებლობა დაიგეგმა, რომელიც 20 წლის ვადაში უნდა განხორ–ციელებულიყო. ეს იმ ფონზე, როცა სოფლის მეურნეობა ჯერ კი–დევ ძლიერ ჩამორჩენილი იყო, ანუ, ფაქტობრივად, ფეოდალუ–რი მესაქონლეობის ფორმით არსებობდა. ამ უტოპიური გეგმის შესასრულებლად 1928 წელს დაიწყო მძიმე ინდუსტრიის ნაჩქა–რევი მშენებლობა.

მოსახლეობაში კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის გასამ–ლიერებლად ჩატარდა მასობრივი ღონისძიება, რომლის მიზანი იყო წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრა მასებში.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის (1917–1921) მოწინააღ–მდეგეებთან (ე.წ. კონტრრევოლუციონერებთან) ბრძოლის შედე–გად სახელმწიფოში კატასტროფული ეკონომიკური სიტუაცია სუფევდა. ამ კრიზისის დასაძლევად მთავრობამ ე.წ. „სამხედრო კომუნიზმი“ შემოიღო, რომელიც გლეხის ძარცვასა და მუშის აბ–სოლუტურ ექსპლუატაციაში გამოიხატა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (1990 წლის მონაცემებით - 78%) შედგებოდა რუსეთის საბჭოთა ფედე–რაციული სოციალისტური რესპუბლიკისგან, რომელიც 1917 წლის 7 ნოემბრის რევოლუციის შედეგად რუსეთის ცარისტული იმპერიის ტერიტორიაზე დაარსდა და საბჭოთა კავშირის დაშ–ლის შემდეგ დამოუკიდებელ რუსეთის ფედერაციის სახით მის იურიდიულ მემკვიდრედ დარჩა.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დომინირების გამო საბჭო–თა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს მსოფლიოში, მეტ–წილად კი დასავლეთში, ძირითადად როგორც „რუსეთს“ იცნობ–დნენ.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიული ზრდა მისი დაარსები–
დან დაიწყო და მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გრძელ–
დებოდა, როდესაც მან ბალტიის ქვეყნები – ესტონეთი, ლიტვა
და ლატვია, ასევე ბესარაბიას (რუმინეთის ნაწილი, შემდგომში
მოლდავეთის სსრ), ტანუ-ტუვას (ტუვის რესპუბლიკა), აღმო–
სავლეთ პრუსიის ჩრდილო ნაწილები, ფინეთის, პოლონეთის,
ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის ტერიტორიული ნაწილები შემო–
იერთა. ამგვარად საბჭოთა კავშირი კაცობრიობის უახლეს ის–
ტორიაში ტერიტორიულად უდიდესი სახელმწიფო იყო (თუ არ
ჩავთლით რუსეთის იმპერიას 1917 წლამდე, რომლის შემადგენ–
ლობაშიც ამის გარდა შედიოდა ფინეთი, პოლონეთი და თურქე–
თის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილები).

1945 წლიდან საბჭოთა კავშირი ესაზღვრებოდა რუმინეთს, ჩე–
ხოსლოვაკიას, პოლონეთს, ფინეთს, ნორვეგიას, ჩრდილოეთის
ყინულოვან და წყნარ ოკეანეებს, ჩრდილოეთ კორეას, ჩინეთის
სახალხო რესპუბლიკას, მონღოლეთს, ავღანეთს, ირანის ისლა–
მურ რესპუბლიკას, თურქეთსა და შავ ზღვას.

22,4 მილიონი კვადრატული კილომეტრი სიდიდის სსრკ-ის
ტერიტორია დედამიწის ხმელეთის თითქმის მეექვსედს იჭერდა
და 11 სასაათო სარტყელს მოიცავდა.

მოსახლეობა

1988 წლის მონაცემებით საბჭოთა კავშირის 15 მოკავშირე რეს–
პუბლიკაში მოსახლეობის რიცხვი 286,717 მილიონს შეადგენდა.
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა როგორც ტერი–
ტორიულად, ასევე მოსახლეობის რიცხვის მხრივ, მთელ კავშირ–
ზე პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით დომინირებ–
და.

რელიგიის საკითხი საბჭოთა კავშირში

საბჭოეთის სახელმწიფო დოქტრინას სამეცნიერო ათეიზმი
წარმოადგენდა. რელიგიის მიმდევრობა სხვადასხვა დროში ან

აკრძალული იყო, ან სახელმწიფოებრივ შეზღუდვას განიცდიდა, მაგალითად, აკრძალული იყო საჯარო საეკლესიო გალობა.

1920 წლისთვის რუსეთის მოსახლეობის 90% მიეკუთვნებო–და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. 1940 წლისთვის ეს რიცხვი 30%-ზე დაბლა დაეშვა. ურიცხვმა მორწმუნემ რეპრესი–რება განიცადა ან ციმბირში იქნა გადასახლებული. ბევრი მათგა–ნი აწამეს ან დახვრიტეს.

ლენინის მეთაურობით საბჭოთა მთავრობამ გამოსცა დეკრე–ტები და კანონები (1918 წლის იანვარ-თებერვლის „დეკრეტი სინდისის თავისუფლებაზე, საეკლესიო და რელიგიურ გაერთი–ანებაზე“, აგრეთვე 27 ივნისის იუსტიციის სახალხო კომისრის პეტრე სტუჩკას მიერ გამოცემული „ლიკვიდირების კანონი“, რომლებიც ქაღალდზე რელიგიური თავისუფლების გარანტიას იძლეოდნენ, მაგრამ ეკლესიას მის საკუთრებას ართმევდნენ). სინამდვილეში ეკლესია ძველი წესწყობილების წარმომად–გენლად, ხოლო მისი მიმდევრები – კონტრრევოლუციონერე–ბად იქნენ აღიარებული (”რევოლუციის ზურგში ხანჯლის ჩამ–ცემნი”). ამ დეკრეტებს მოჰყვა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა მასობრივი დახვრეტები. სტალინის მმარ–თველობისას ათასობით ეკლესიის მსახურნი ე.წ. „გულაგში“ გადაიგზავნენ (ციმბირის ტერიტორიაზე მოქმედი საბჭოური ტიპის სამუშაოსაკონცენტრაციო ბანაკები). ასევე შუააზიის რეს–პუბლიკებში, რომლებშიც მეტწილად მუსლიმები ცხოვრობ–დნენ, მეჩეთების უმრავლესობა დაიხურა და რელიგიური პრაქ–ტიკა აიკრძალა.

გარდა ამისა, ციმბირში, ძირითადად ტბა ბაიკალის სამ–ხრეთ მხარეს, მრავალრიცხოვნად ცხოვრობდნენ ბუდისტები და სხვასხვა ადგილობრივი ტრადიციული რწმენის ხალხები, რომელთა რელიგიური პრაქტიკაც ძლიერ შეზღუდვას განიც–დიდა.

1939 წელს მკაცრი სახელმწიფო ანტირელიგიური დამოკიდებულება შესუსტდა. მღვდელთა გარკვეული ნაწილი ტყვეობიდან გაათავისუფლეს. ხელახლა გაიხსნა რამდენიმე უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი და ეკლესია-მონასტერი.

ნიკიტა ხრუშჩოვის დროში ანტირელიიგიური ბრძოლა განახლდა. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ იგი „საბჭოთა კავშირის უკანასკნელ მღვდელს ტელევიზიაში გამოიყვანდა“.

მიხეილ გორბაჩოვმა 1980-იან წლებში ხელისუფლების მხრიდან რელიგიის შეუწყნარებლობა ძლიერ დაასუსტა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის მოკავშირე რესპუბლიკებში რელიგიური პრაქტიცირების რეალური თავისუფლების ხანა დადგა.

პოლიტიკა

საბჭოთა კავშირი ფორმალურად იყო მოკავშირე რესპუბლიკების ფედერალური კავშირი, ხოლო ფაქტობრივად – ცენტრალიზებულად (მოსკოვიდან) მართული და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის მიერ დომინირებული სახელმწიფო. ასევე ფორმალურად ხელისუფლება შედგებოდა „დემოკრატიულად“ არჩეული საბჭოებისა და პარლამენტისგან, რეალური ძალაუფლება კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას ჰქონდა, რომელიც განსაკუთრებით სტალინის მმართველობისას – ტოტალიტალურად, ხოლო მის შემდეგ – დიქტატორულად მართავდა ქვეყანას.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლება სახელმწიფოში არა მხოლოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლოებრივი ფუნქცია ჰქონდა, არამედ მის ეკონომიკასაც განაგებდა. ქვეყნის ყველა ფუნდამენტალურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ინსტიტუციები.

80-იანი წლების ბოლოს საბჭოეთის სახელმწიფო სტრუქტუ–რა თეორიულად უკვე დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემას დაემსგავსა. ასე მაგალითად, კონსტიტუცია სახელმწი–ფო ორგანოებს განსაზღვრავდა და მოქალაქეებს მათ პოლიტი–კურ და სამოქალაქო უფლებებს გარანტირებდა.

1) სახელისუფლებო ძალაუფლება, 2) სახალხო დეპუტატთა საბჭო და 3) მმართველი უზენაესი საბჭო – ეს სამი ორგანო სახალ–ხო წარმომადგენლობის სახით საბჭოთა ხალხის სუვერენიტეტს განასახიერებდა.

პრეზიდიუმს უზენაესი საბჭო ირჩევდა, რომლის თავმჯდომარე სახელმწიფოს მეთაურიც იყო და სახალხო კო–მისართა საბჭოსაც განაგებდა (მოგვიანებით სსრკ-ის მინის–ტრთა საბჭო, რომელიც აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას ასრულებდა).

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, რომლის არჩევა სახელისუფლებო ძალაუფალთა მიერ დადასტურებული უნდა ყოფილიყო, საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელი ხდებოდა.

საკონსტიტუციო იურიდიული ორგანო წარმოადგენდა სასამართლოთა სისტემას, რომელსაც უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობდა, ხოლო უზენაესი სასამართლო სახე–ლისუფლებო ორგანოების კანონიერების მეთვალყურეობას ახორციელებდა.

1977 წლის კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანას გააჩნდა ფედერალური სტრუქტურა, რომელიც თითოეული მოკავში–რე რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს გარანტირებდა (მაგა–ლითად, ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკურ საკითხებში). პრაქტიკაში კი – თითოეული სახელმწიფო ორგანოს უმეტეს ამოცანებს წყვეტდა ერთადერთი ლეგალური პარტია – საბჭო–თა კავშირის კომუნისტური პარტია (სსრკ-ის კომპარტია). კომ–პარტია იღებდა უმთავრეს ფუნდამენტურ და პოლიტიკურ

ორიენტირებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, ხოლო ხელისუფლება, თავად რაიმეს დაკანონების გარეშე, ამ გადაწყ–ვეტილებებს ასრულებდა. მთელი რიგი მექანიზმებისა, მუშაობ–დნენ იმისათვის, რომ ხელისუფლების ყველა ორგანოს კომპარ–ტიის გადაწყვეტილებები მიეღო და განეხორციელებინა ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მოქალაქეებს არჩევნებში გარკვეული კანდიდატისთვის ხმის მიცემის თავისუფლება ჰქონ–დათ, ეს კანდიდატი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი უნდა ყოფილიყო, და ამასთანავე არჩევნებში მონაწილე კანდიდატები თავად პარტიის მიერვე იყვნენ წამოყენებულნი, რომლებიც მისი ხელმძღვანელობის მიმართ ლოიალურად გან–წობილნი უნდა ყოფილიყვნენ. სახელმწიფო დეპარტამენტებში მომუშავე პირები კომუნისტური პარტიის უშუალო მეთვალყუ–რეობის ქვეშ იმყოფებოდნენ, რაც გამორიცხავდა მათი მხრიდან საერთო ოფიციალური პოლიტიკური ხაზიდან გადახვევის შე–საძლებლობას.

აღმასრულებელი ორგანოს – მინისტრთა საბჭოს – უმთავრესი ამოცანა იყო ეკონომიკის მართვა. იგი შედგებოდა კომუნისტუ–რი პარტიის მიმართ ლოიალურად განწყობილი პოლიტიკოსე–ბისგან. საბჭოს თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ინსტანციის – პოლიტბიუროს – წევრიც იყო. ხშირად ამ თავმჯდომარედ თავად კომპარტიის გენერალუ–რი მდივანივე ხდებოდა. თავმჯდომარეს დანარჩენ მინისტრთა მიმართებაში დომინანტური პოზიცია ეკავა.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოს თეო–რიულად კანონების შემოღების უფლება ჰქონდა, იგი იშვიათად იკრიბებოდა, ისიც იმისთვის, რომ კომპარტიის, მინისტრთა საბ–ჭოსა და უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისთვის მხარი დაეჭი–რა.

უზენაეს საბჭოს სსრკ-ის ძალაში მყოფ კანონთა ინტერპრეტა–

ციისა და მინისტრთა საბჭოსთან ერთად დეკრეტების მიღების უფლება ჰქონდა, თუ კანონებში რამე გაურკვევლობები წარმოიქ–მნებოდა.

სამართლებრივი სისტემა დასავლეთის ქვეყნებისგან ძლიერ განსხვავდებოდა: თუ დასავლეთის სისტემაში ბრალდებულს მოსამართლის წინაშე ადვოკატი იცავს, ხოლო პროკურორი ბრალდებას უყენებს, – საბჭოთა სასამართლოში მოსამართლე როგორც ადვოკატთან, ასევე ბრალმდებელთან ერთად მუშაობ–და. საბჭოთა გაგებით ასეთი სისტემა ჭეშმარიტების ძიებას ემსა–ხურებოდა, სინამდვილეში კი – კორუფციას უხსნიდა ხელს.

მეთვალყურეობა, კონტროლი და რეპრესიები

საბჭოთა კავშირი მისი დაარსების პირველი დღიდანვე და მის დაშლამდე იყო ე.წ. პოლიციური სახელმწიფო, რომელშიც თვალყურს ადევნებდნენ მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრე–ბის თითქმის ყველა ასპექტს. სიტყვის, მოგზაურობის, განათლე–ბის, ეკონომიკის და სხვა თავისუფლებები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა.

ყოველი მნიშვნელოვანი ქმედება „ზემოდან“ უნდა დაშვე–ბულიყო. მოქალაქეთა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას საკმაოდ ინტენსიურად თვალყურს ადევნებდა და აკონტრო–ლებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (КГБ, სუკ). დი–სიდენტებს სახელმწიფო რეპრესიები და მძიმე სასჯელები ელოდა, რომელთაგან უსაშინლესი იყო დახვრეტა ან „გულაგის“ ტყვეობაში მოხვედრა.

თითოეულ მოქალაქეზე ასეთი ტოტალიტარული კონტრო–ლი და სახელმწიფოებრივი ძალადობა განსაკუთრებით სტალი–ნისა და ბრეჟნევის მმართველობის პერიოდებში სუფევდა, ხრუშ–ჩოვის დროს ოდნავ შესუსტდა, ხოლო გორბაჩოვმა ქვეყანაში გარკვეულწილად შეზღუდული, მაგრამ მაინც საგრძნობი კულ–ტურული და პირადი თავისუფლებები დაუშვა.

სტალინის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირში ანტისაბ–ჭოთა იატაკქვეშეთი ჩამოყალიბდა, რომელიც აკრძალული ლი–ტერატურისა („სამიზდატი“) და პოლიტიკური იუმორის – „ერევ–ნის რადიოს“ სახით წლების განმავლობაში არსებობდა.

ეკონომიკა

საბჭოთა კავშირის დაარსების პირველივე წლებში ქვეყანაში ჩამოყალიბდა ცენტრალიზებულად მართული ე.წ. გეგმიური ეკონომიკა. საქონლის წარმოება ექვემდებარებოდა მკაცრ ხუთ–წლედიან დაგეგვმას.

1945 წლის 25 იანვარს დაარსდა აღმოსავლეთ ბლოკის სატე–ლიტურ (ე.ი. სსრკ-ის „თანამგზავრ“) სახელმწიფოთა „ეკონო–მიკური ურთიერთდახმარების საბჭო“. ეს იყო თითქმის ყველა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური გაერთიანება, რო–მელიც უზრუნველყოფდა ამ ქვეყნების საერთო გეგმიურ ეკონო–მიკას.

საკუთრების ფორმები

საბჭოთა კავშირში არსებობდა ორი სახის საკუთრება: კერძო და კოლექტიური. საკუთრების ეს ორი ფორმა ძლიერ განსხვავ–დებოდა ერთმანეთისგან შინაარსითა და კანონებრივი სტატუ–სის მიხედვით.

კომუნისტური თეორიების მიხედვით ინდივიდუალური კა–პიტალის ქონა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, დაუშვებე–ლი იყო.

1921 წელს ლენინის მიერ მცირე ხნით „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ (რუსული აბრევიატურებით: НЭП) შემოღების შემდეგ, რომლის დროსაც გარკვეულწილად დაიშვა კერძო სა–კუთრება, ძალიან მალე ლენინმა ყველა სახის ინდუსტრიული საკუთრება და მიწა – ფორმალურად სახალხო საკუთრებად, სი–ნამდვილეში კი – სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა. ამით საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური წესწყობილების შემოღე–

ბით თავად ერთადერთი და უკონკურენტო კაპიტალისტი გახ–და.

მოქალაქის კერძო საკუთრებად მხოლოდ მისი პირადი და აუცილებელი ნივთები გამოცხადდა.

ფულის ერთეული

საბჭოთა კავშირის ოფიციალური ფულის ერთეული იყო რუბლი (ქართულად: მანეთი), რომელიც 100 კაპიკისგან შედ–გებოდა. რუბლი დღესაც რუსეთის ფედერაციის ფულის ერთე–ულია.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობისთვის საბჭოთა კავშირში ყველაზე გა–მოსადექი რეგიონი იყო ტერიტორია ლენინგრადის ოლქიდან ოდესამდე და კრასნოიარსკამდე, რომელსაც აგრარული სამ–კუთხედი ერქვა.

სტალინის ტერორი

1922 წლიდან რუსეთის კომუნისტური პარტიის გენერალუ–რი მდივანი გახდა იოსებ სტალინი, რომელმაც 1924 წლის 21 იანვარს ლენინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ბელადის თანამოღვაწეების წინააღმდეგ შეუბრალებელი ბრძოლა ხელი–სუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. სტალინმა თავის მეტო–ქეებს – „მემარჯვენე“ ნიკოლაი ბუხარინს და „მემარცხენეებს“ – ლევ ტროცკის, გრიგორ ზინოვიევსა და ლევ კამენევს, ასევე კომუნისტური პარტიის ყველა მისთვის არასასურველ პირს – გამიზნული ტერორი გაუმართა. ამ ბრძოლაში თითქმის ყველა დახვრიტეს. ლევ ტროცკი საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს და შემდეგ იგი უცხოეთში გაურკვეველ პირობებში მოკლეს.

1928 წლიდან სახელმწიფო ეკონომიკა ხუთწლედიან გეგმი–ურ სისტემაზე გადავიდა. მეტწილად ქვეყნის აზიურ ნაწილებში ინდუსტრიალიზაცია დაიწყო, ყველგან შეიქმნა კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები. შეძლებული გლეხობა „კულაკებად“

გამოცხადდა და მათთან ბრძოლა გაიმართა. გლეხს მხოლოდ ერთი ცხენისა ან ერთი ძროხის ყოლის ნება დაერთო, დანარჩენი საქონელი მას კოლმეურნეობისთვის უნდა გადაეცა. ურჩი გლეხები -„კულაკები“ მასობრივად ან დახვრიტეს, ან ციმბირში გადაასახლეს. ამ ეკონომიკურმა გარდაქმნას მილიონობით ადამიანი შეიწირა – ვოლგისპირეთისა და უკრაინის სოფლებში ხალხი შიმშილისგან ამოიხოცა. მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი დღემდე უცნობია (უკრაინელი ისტორიკოსების მონაცემებით – 2 მილიონამდე ადამიანი).

1935 წლიდან სტალინმა პარტიისა და საკუთარი სახელმწიფოს მოსახლეობის მიმართ თავისი საყოველთაოდ ცნობილი ტოტალიტარული ტერორი წამოიწყო, ე.წ. „ჩისტკი“ („წმენდა“). მან ჩამოიცილა აბსოლუტურად ყველა (თეორიულად თუ რეალურად) იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე სუბიექტი.

სტალინის ტერორი ხშირად სასამართლო პროცესებით იყო შენიღბული, ხოლო დანაშაულის აღიარებები წამების შედეგად გამოძალული იყო.

საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ეთნიკური უმცირესობები „გულაგში“ გადაასახლეს, ურიცხვი „კულაკები“, მღვდელ-ბერები, უმაღლესი რანგის სამხედრო პირები, კომუნისტური პარტიის ფუნქციონირები და მათი ოჯახის წევრები დახვრიტეს. სხვადასხვა წყაროების მიხედვით სტალინის ეპოქაში საკუთარი სახელმწიფოს მოსახლეობაზე გატარებულმა ტოტალიტარულმა ტერორმა უფრო მეტი ადამიანი იმსხვერპლა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში ნაცისტურ გერმანიასთან ბრძოლაში დაიღუპა (20 მილიონ ადამიანამდე).

საბჭოეთის საგარეო პოლიტიკა 1922–1939 წლებში

გერმანიამ, როგორც ერთ-ერთმა პირველმა, საბჭოთა კავშირი დიპლომატიურად უკვე 1922 წლიდან აღიარა. სსრკ-ის გერმანიასთან „რაპალოს ხელშეკრულების“ დადება თავისი საკუთარი

არჩევნით მოწყობილი საგარეო-პოლიტიკური იზოლაციიდან გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მაგრამ 1933 წელს გერ–მანიის ხელისუფლების სათავეში ნაციონალურ-სოციალისტუ–რი პარტიის მოსვლიდან ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ძლიერ დაიძაბა.

ჰიტლერის აგრესიული საგარეო პოლიტიკა და მისი ფანა–ტიკური სიძულვილი საზოგადოდ სლავი ხალხების, ასევე მარ–ქსიზმის (კომუნიზმის) იდეოლოგიური სისტემის მიმართ – საბ–ჭოეთთან პოლიტიკურ დიალოგს ძლიერ ართულებდა.

მიუხედავად ამისა, 1939 წლის 23 აგვისტოს ამ ორ სახელ–მწიფოს შორის დაიდო სამშვიდობო „რიბენტროპ-მოლოტო–ვის პაქტი“ დაიდო, რომლის ერთ-ერთი საიდუმლო მუხლის თანახმად როგორც გერმანიამ, ასევე საბჭოთა კავშირმა პოლო–ნეთის ტერიტორიები ფაქტობრივად მიისაკუთრა და აღმოსავ–ლეთ ევროპაში ძალაუფლება გაინაწილა.

1934 წლის 18 სექტემბერს სსრკ ერთა ლიგაში შევიდა.

მეორე მსოფლიო ომი

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიამ პოლონეთში ჯარები შე–იყვანა, რის შედეგადაც მას ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გა–მოუცხადა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 16 დღის შემდეგ პო–ლონეთში საბჭოთა კავშირმაც თავისი ჯარები შეიყვანა და ეს აგრესია ოფიციალურად იმით ახსნა, რომ მას გერმანელი დამ–პყრობლებისგან ბელორუსიისა და უკრაინის ხალხების დაცვის მიზანი ამოძრავებდა.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ – 1939 წლის 28 სექტემბერს პოლონეთის ტერიტორიზე ამ ორ აგრესორს შორის სასაზღვრო და საზავო, ხოლო 1940 წლის 10 თებერვალს – ეკონომიკური ხელშეკრულებები დაიდო.

ურთიერთსაპირისპირო იდეოლოგიის მქონე და ერთმანე–თის მიმართ ძლიერ მტრულად განწყობილ ამ ორ დიქტატორს

– ჰიტლერსა და სტალინს – შორის დადებული ხელშეკრულებე–ბის მიზეზები ისტორიულ კვლევაში დღემდე საკამათო თემად რჩება.

1939 წლის 30 ნოემბრიდან სსრკ ომობდა ფინეთთან, რომელ–საც მან კარელია წაართვა და იგი, როგორც „კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ შემოიერთა. ამის გამო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერთა ლიგი–დან გააძევეს.

1940 წლის ივნისში მან ბალტიისპირეთის ქვეყნები, რუმინე–თის ნაწილი „ბესარაბია“ (შემდგომში მოლდავეთის სსრ) და ბუ–კოვინა დაიპყრო.

1941 წლის 22 ივნისს ნაცისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა. ამ დღიდან საბჭოთა ხალხს თავისი ყოფნა-არყოფ–ნის საკითხი დაუდგა და მისთვის ე.წ. „დიდი სამამულო ომი“ (1941–1945) დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომმა საბჭოთა კავშირი ძლიერ დაასუსტა და დააზარალა, მაგრამ იგი ომიდან გამარჯვებული და ამაყი გამოვიდა. მსოფლიო ისტორიაში სსრკ შევიდა ნაციზმისა და ფაშიზმის შემმუსვრელად.

გერმანიის დამარცხების შემდეგ პოტსდამის კონფერენციაზე მოკავშირეები სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის გამო ბევრ საკითხში ვერ მორიგდნენ, რასაც უკვე მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე მოჰყვა დასავლეთისა და აღმოსავლეთის (კაპიტალისტური და კომუნისტური სისტემების) კონფლიქტი, ცნობილი როგორც „ცივი ომი“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა ომში მოგე–ბულ ტერიტორიებზე – ჰიტლერ-სტალინის ხელშეკრულებების თანახმად – მთელ აღმოსავლეთ ევროპაში თავისი გავლენა გა–ნამტკიცა, ხოლო ბალტიისპირეთი შემოიერთა. აღმოსავლეთ ევ–როპის სახელმწიფოები: ალბანეთი, გერმანიის დემოკრატიული

რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია – საბჭოეთის პოლიტიკურ ზეგავლენაში მოექცა და პრაქტიკულად მის თანამგზავარ (სატელიტურ), კომუნისტური „სახალხო დემოკრატიული“ ხელისუფლებების მიერ მართებულ ქვეყნებად იქცა.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიპლომატიური ურთიერთობებისდა მიუხედავად „ცივი ომი“ გრძელდებოდა. დასავლეთი და აღმოსავლეთი იარაღით აღჭურვის საქმეში მძლავრად პაექრობდა.

რეფორმაციის მცდელობა და სსრკ-ის დაშლა

1985 წლიდან მიხეილ გორბაჩოვმა ქვეყნის რეფორმირება დაიწყო. მის მიერ წამოწყებულ „გარდაქმნას“ საბჭოთა კავშირში რეალური სოციალიზმის მშენებლობისა და კრიტიკული აზროვნების ხანა უნდა შემოეტანა. პოლიტიკის ასეთმა განვითარებამ კომპარტიას მაკონტროლებელი როლი ნელ-ნელა დაუკარგა. საგარეო პოლიტიკაც განმუხტვისა და განიარაღების მხარეს დაიძრა და 1991 წლის 26 დეკემბერს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით სსრკ დაიშალა.

კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოს საჯარო-კანონებრივი ვალდებულებანი რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას დაეკისრა (მოგვიანებით რუსეთის ფედერაციას).

ქეისი №35

„მორჩილება ქცევისა და პასუხისმგებლობის სტანდარტებისადმი“

აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა **ვუდრო უილსონმა,** 1917 წელს პირველ მსოფლიო ომში აშშ-ის ჩაბმასთან დაკავშირებით, კონ–

გრესისადმი თავის მიმართვაში განაცხადა: „ჩვენ იმ ეპოქის დასაწყისში ვიმყოფებით, რომელშიც სახელმწიფოთა და მთავ–რობათა შორის ურთიერთობებში მიუღებელი ქმედებებისათვის საჭირო იქნება ქცევისა და პასუხისმგებლობის ისეთივე სტანდარ–ტებისადმი მორჩილება, რომლებიც მიღწეულია ცივილიზებუ–ლი სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის“.

კითხვები:

– როგორ ფიქრობთ, საგარეო პოლიტიკაში აუცილებელია თუ არა ზნეობა? (პასუხი დაასაბუთეთ);

– რა განსხვავებაა ინდივიდთა და სახელმწიფოთა ზნეობას შორის?

მეტი ცოდნისათვის:

ტომას ვუდრო უილსონი დაიბადა 1856 წლის 28 დეკემბერს ვირჯინიაში, შტატში სადაც შემდგომ ინგლისურ კულტურასა და სახელმწიფო წყობის განვითარების საკითხებს შეისწავლიდა. ერთი პერიოდი ახალგაზრდა უილსონი პოლიტიკაში ჩაება, მაგრამ სულ მალე გული აუცრუვდა და თავი მეცნიერებას მიუძღვნა. ეს ნაბიჯი მისთვის საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. მალე უილსონი უზადო განათლების, თა–ვაზიანი მანერების, ღირსებისა და ორატორული ნიჭის წყალო–ბით პრინსტონის უნივერსიტეტის პრეზიდენტიც კი გახდა.

1912 წლის არჩევნებში უილსონი დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა და გაიმარჯვა კიდეც.

გაპრეზიდენტებისთანავე უილსონი ცდილობდა მაქსიმალუ–რად გაეძლიერებინა პრეზიდენტის ხელისუფლება და ეთანამ–შრომლა კონგრესთან. სწორედ ამიტომ, მან დაარღვია 100 წლი–

ანი ტრადიცია და თავად მივიდა კონგრესში ყოველწლიური მოხსენების წასაკითხად. სწორედ, კონგრესთან აქტიური თანამ–შრომლობის შედეგად, მან მოახერხა მაღალი ტარიფების გაუქ–მება.

უილსონის ერთ-ერთი დამსახურებაა ფედერალური სარე–ზერვო სისტემის შექმნა, რომლემაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა აშშ-ს ფინანსური სისტემა და მოაწესრიგა ურთიერთობა მთავ–რობასა და კერძო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის.

უილსონი აქტიურად ებრძოდა მონოპოლიებსაც. მან მხარი დაუჭირა კონგრესის მიერ გამოცემულ 2 კანონს. ერთი ითვა–ლისწინებდა ფედერალური სავაჭრო კომისიის შექმნას, რო–მელსაც უფლება ექნებოდა შეეჩერებინა უკანონო ბიზნეს-საქმი–ანობა. ხოლო მეორე კანონმა, Clayton Antitrust Act-მა უფრო დეტალურად განსაზღვრა, თუ რა შემთხვევაში არღვევდა ესა თუ ის მეწარმე დადგენილ ნორმებს და ფედერალური ხელი–სუფლება მეტი ძალაუფლებით აღჭურვა.

უილსონის ადმინისტრაციის დროს მიიღეს მრავალი აქტი, რომლებიც აუმჯობესებდა სამუშაო პირობებს, საზღვრავდა სა–მუშაო დღის მოცულობას, ეწინააღმდეგებოდა ბავშვების შრო–მით ექსპლუატაციას და სხვ.

რაც შეეხება უილსონის საგარეო პოლიტიკას, ის ქვეყნის გა–რეთ არანაკლები აქტიურობით გამოირჩეოდა. მან განამტკიცა აშშ-ს პოზიციები კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში, რაც უპირვე–ლეს ყოვლისა ნიკარაგუას შეეხო. 1916 წელს მიღებული Bryan-Chamorro-ს ხელშეკრულების მიხედვით, აშშ-ს შეეძლო საარხო გზით ესარგებლა, რომელიც ნიკარაგუას კვეთდა. ამას გარდა, ნი–კარაგუამ 3 მლნ $-ის სანაცვლოდ აშშ-ს გრძელვადიანი იჯარით გადასცა წყნარი ოკეანის სანაპირო, რათა იქ ამერიკის ფლოტი ჩამდგარიყო. როცა ჰაიტსა და დომინიკის რესპუბლიკაში არეუ–ლობა დაიწყო, აშშ-მ უილსონის მეთაურობით ორივე ქვეყანაში

გააგზავნა სამხედრო რაზმები და ქვეყნის ფინანსური მმართვე–ლობა თავის თავზე აიღო. ამერიკული ფლოტი დომინიკის რეს–პუბლიკაში 1924 წლამდე, ხოლო ჰაიტიში 1934 წლამდე იდგა.

პირველ მსოფლიო ომში ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ლი–დერი იყო, რომელმაც დაზავებისკენ საკმაოდ დიდი ნაბიჯები გადადგა. 1919 წელს უილსონი პარიზში, სამშვიდობო კონფერენ–ციაზე გაემგზავრა (ის ამერიკის პირველი პრეზიდენტი იყო, რო–მელიც ევროპაში ქვეყნის პირველი პირის სტატუსით გაემგზავ–რა). კონფერეციაზე 23 ქვეყნის დელეგატი იმყოფებოდა, თუმცა ამათგან გამოირჩეოდნენ უილსონი, ლოიდ ჯორჯი (ინგლისის პრემიერ-მინისტრი), ჟორჟ კლემანსო (საფრანგეთის პრემიერ-მი–ნისტრი) და ორლანდო (იტალიის პრემიერ-მინისტრი). უილსონ–მა პირველ მსოფლიო ომს „ომი გამარჯვებულის გარეშე" უწოდა და გერმანიის მიმართ საკმაოდ ლოიალური ზომების მიღებას ვარაუდობდა. მან წარმოადგინა ე.წ. „14 პუნქტიანი გეგმა", რომე–ლიც ითვალისწინებდა:

- ღია საზავო მოლაპარაკებებს;
- ზღვებზე ნაოსნობის სრულ თავისუფლებას;
- საბაჟო შეზღუდვების გაუქმებას;
- გარანტიების დაწესებას შეიარაღების შემცირებაზე;
- კოლონიური საკითხების მიუკერძოებლად მოგვარებას;
- გერმანიის მიერ რუსეთის ყველა ოკუპირებული ტერიტო–რიის გათავისუფლებას;
- ბელგიის გათავისუფლებასა და რესტავრაციას;
- გერმანიის მიერ საფრანგეთისთვის ყველა ოკუპირებული მიწის დაბრუნებას, ელზას-ლოტარინგიის ჩათვლით;
- იტალიის საზღვრების შესწორებას ეროვნული ნიშნით;
- ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ერებისთვის დამოუკიდებ–ლობის მინიჭებას;
- გერმანიის მიერ რუმინეთის, სერბეთის და ჩერნოგორიის

გათავისუფლებას;

- ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნული ავტო–ნომიების შექმნას;
- დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნას;
- ერთა ლიგის შექმნას.

უილსონს სურდა ერთა ლიგის წევრობაზე კონგრესის მხარ–დაჭერა მოეპოვებინა. 1920 წელს სენატმა ვეტო დაადო აშშ-ს ერთა ლიგაში გაწევრიანებას, რამაც ამერიკის იზოლაციონიზ–მის პოლიტიკას კიდევ ერთხელ შეუწყო ხელი.

აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედე–გად 1924 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა.

ქეისი №36

„სუვერენულობა ნიშნავს პასუხისმგებლობას და არა მხოლოდ ძალაუფლებას“

ცალმხრივი ჩარევის შემთხვევები სახელმწიფოთა პოლიტი–კაში ამჟამად საკმაოდ იშვიათია, მაგრამ მაინც არსებობს. 1989 წელს აშშ შეიჭრა პანამაში გენერალ ნორიეგას გადასაყენებლად, ხოლო 90-იან წლებში რუსეთი ჩაერია ყოფილი საბჭოთა კავ–შირის სივრცეში მიმდინარე კონფლიქტებში (საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ტაჯიკეთი). კოსოვოში ჩარევა (1999 წ.) ნატოს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე მოხ–და, ხოლო ჰაიტიში აშშ-ს ჩარევა (1994 წ.) - მხოლოდ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სანქციით.

როცა 1994 წელს ჰაიტიში და 1997 წელს სიერა-ლეონეში კანო–ნიერი დემოკრატიული რეჟიმების აღსადგენად და 1994 წელს რუანდაში გენოციდის შესაჩერებლად ჰუმანიტარული ჩარევა

განხორციელდა, საერთაშორისო საზოგადოებამ ეს დადებითად შეაფასა.

გაეროს გენერალურმა მდივანმა **კოფი ანანმა** 1998 წელს აღ–ნიშნა, რომ „გაეროს ქარტია იცავს ხალხთა სუვერენულობას. იგი არასოდეს გულისხმობდა მთავრობების მიერ ადამიანის უფ–ლებებისა და ადამიანის ღირსების გათელვას. სუვერენულობა ნიშნავს პასუხისმგებლობას და არა მხოლოდ ძალაუფლებას“.

კითხვები:

– ეთანხმებით თუ არა გენერალური მდივნის მოსაზრებას? (პა–სუხი დაასაბუთეთ);

– თქვენი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებში ეთიკურ კომპონენტს რა მნიშვნელობა აქვს?

როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო პო–ლიტიკასა და ზნეობას შორის ჰარმონიის მიღწევა? (პასუხი დაა–საბუთეთ).

მეტი ცოდნისათვის:

კოფი ანანი დაიბადა განაში, ქალაქ კუმასიში 1938 წლის 8 აპრილს. 1958 წელს მან კუმასის სამეცნიერო და ტექნოლოგი–ური ინსტიტუტი დაამთავრა. 1959-1961 წლებში ანანმა მინე–სოტის შტატში, ქალაქ სენტ-პო–ლის მაკალესტორის კოლეჯში უმაღლესი ეკონომიკური განათლება მიიღო, ხოლო 1961-1962 წლებში ჟენევის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტში გა–ნაგრძო ეკონომიკის შესწავლა. 1971-1972 წლებში იგი მასაჩუ–სეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმია–ნობას ეწეოდა. ამავე უნივერსიტეტში მან მაგისტრის ხარისხი

დაიცვა. კოფი ანანი ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ და სხვადას–ხვა აფრიკული ქვეყნების ენებს.

კოფი ანანი გაეროს აპარატის პირველი თანამშრო–მელია, რომელმაც გენერალური მდივნის თანამდებო–ბა დაიკავა. ორგანიზაციის სტრუქტურაში ანანი 1962 წლიდან პერიოდულად მუშაობდა და ის პირველი შავკანიანი გენერალური მდივანია გაეროს ისტორიაში. კოფი ანანი ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა 1997 წლის 1 იან–ვარს, ხოლო 2001 წლის ზაფხულში - მეორე ვადით დაინიშნა.

2001 წელს კოფი ანანს ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში.

2018 წლის 18 აგვისტოს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ კოფი ანანი გარდაიცვალა.

ქეისი №37

სახელმწიფოთა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება

ცნობილმა პოლიტიკოსმა და რეალისტმა, აშშ-ის ყოფილმა სა–ხელმწიფო მდივანმა **ჰენრი კისინჯერმა** 1975 წელს განაცხადა: „მსოფლიო ურთიერთდამოკიდებული გახდა ეკონომიკურად, კავშირურთიერთობებითა და ადამიანების მისწრაფებებით“. ურთიერთდამოკიდებულება იმას ნიშნავს, რომ ხსენებული პრო–ცესი ცალმხრივი არ არის. საერთაშორისო ურთიერთობებში მო–ნაწილე სახელმწიფოები და სხვა მოქმედი პირები ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ და ურთიერთდამოკიდებულნი არიან, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ასევე კულტურუ–ლად, ეკოლოგიურად და ა. შ.

კისინჯერის ცნობილი ციტატებია:

- არჩევანის არარსებობა ნათელს ფენს გონებას;
- ყველა ნორმალური ადამიანი დაზვერვით იწყებს. მეც ასე დავიწყე.
- ნავთობის კონტროლით აკონტროლებთ სახელმწიფოებს, სურსათის კონტროლით კი აკონტროლებთ ხალხს;
- პოლიტიკოსთა სულ რაღაც 90% დანარჩენის რეპუტაციას აფუჭებს;

კითხვები:

– თქვენი აზრით, როგორი შედეგები მოჰყვება სახელმწიფო–თა კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას?

– როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებუ–ლება იძულებითი ქმედებაა, თუ ნებაყოფლობითი? (პასუხი და–ასაბუთეთ);

– თქვენი აზრით, რა როლს განსაზღვრავს დიპლომატიური ურთიერთობები სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება–ში? (პასუხი დაასაბუთეთ).

მეტი ცოდნისათვის:

ჰენრი ალფრედ კისინჯერი ერთ-ერ–თი გავლენიანი პოლიტიკოსია აშშ-ში. პრეზიდენტი ნიქსონის დროს იგი გახ–ლდათ ერთდროულად სახელმწიფო მდივანიც და მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში.

მომავალი პოლიტიკოსი დაიბადა ბა–ვარიაში, ქალაქ ფიურტში 1923 წლის 27 მაისს. მისი ოჯახი რელიგიურ ებრაულ ოჯახთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მამა მუშაობდა პედაგოგად სკოლაში, ხოლო დედა იყო დიასახლი–სი. მას ჰყავდა უმცროსი ძმა ვალტერი.

საკუთარ ქვეყანაში არეულობისა და პოლიტიკური წყობის ცვლილების გამო კისინჯერების ოჯახი აშშ-ში გადავიდა, მაშინ ჰენრი 15 წლის იყო. აშშ-ში იგი გახდა ნიუ-იორკის ეკონომიკური კოლეჯის სტუდენტი, ხოლო 20 წლის ასაკში გაიწვიეს სამხედ–რო სამსახურში. აქ მან თავი გამოიჩინა და მცირე ხნით დაზვერ–ვაშიც მსახურობდა.

1954 წელს დაასრულა ჰარვარდის უნივერსიტეტი ფილოსო–ფიის დოქტორის ხარისხით.

სტუდენტობის წლებიდანვე დაინტერესდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკით, რისთვისაც დააარსა ჰარვარდის სადისკუსიო სა–ერთაშორისო სემინარი. ეს ღონისძიება ემსახურებოდა კომუ–ნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და აშშ-ის პოზიციების განმტკიცე–ბას. ამით კისინჯერმა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყურადღება მიიპყრო და ფინანსური მხარდაჭერაც მოიპოვა. 1957 წლიდან ჰარვარდის პროფესორი და თავდაცვის გამოჩენი–ლი ექსპერტი ხდება.

ამავე პერიოდში ჰარვარდში შეიქმნა საერთაშორისო ურთი–ერთობების ცენტრი. აქ შექმნილი პროგრამა საფუძვლად დაედო ნატოს ფორმირებას.

რიჩარდ ნიქსონმა ინაუგურაციის შემდეგ კისინჯერი პრეზი–დენტის მარჯვენა ხელი ხდება ეროვნული უსაფრთხოების სა–კითხებში. კისინჯერის მთავარი დამსახურება თეთრ სახლში მუშაობის პერიოდში იყო სამ სუპერსახელმწიფოს - ჩინეთის, აშ–შ-ის და სსრკ-ს შორის დიალოგის დაწყება და ბირთვული ომის შეკავება, ასევე რამდენიმე ლოკალური ომის თავიდან აცილება. ამავე პერიოდში ხელი მოეწერა სსრკ-ს და აშშ-ს შორის შეთანხმე–ბას სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ.

მასვე აქვს მნიშვნელოვანი როლი შეტანილი პალესტინა-ის–რაელის 1968 და 1973 წლების შეტაკებების მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში, ასევე აშშ-ვიეტნამის კონფლიქტის დასრუ–

ლებაში, რისთვისაც 1973 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. ნიქსონ–ის პრეზიდენტობის შემდეგ დღემდე იგი აშშ-ის თითქმის ყველა პრეზიდენტის მრჩეველია.

ქეისი №38

პრეზიდენტისა და პრემიერის „უთანასწორო“ შეხვედრა

2017 წლის 8 მაისს ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** თეთრ სახლში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს **დონალდ ტრამპს** შეხვდა. პრემიერ-მინისტრმა აშშ-ში სამდღიანი ვიზიტით ვაშინგტონიდან კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიები წამოიღო. აგრეთვე, ხელი მოაწერეს შეთანხმებას „აშშ-სა და საქართველოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უსაფრთხოების ზომების შესახებ“. მიუხედავად ნაყოფიერი ვიზიტისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შეხვედრის მსვლელობის დროს სურათის გადაღებისას აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სკამზე ზის, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ფეხზე დგას.

კითხვები:

– როგორ ფიქრობთ, მოცემულ შემთხვევაში დაცულია თუ არა დიპლომატიური პროტოკოლით და ეტიკეტით გათვალისწინებული ნორმები?

– თქვენი აზრით, დიპლომატიური პროტოკოლი ითვალის–წინებს თუ არა ერთი და იგივე კრიტერიუმებს სახელმწიფო ვი–ზიტების მოსამზადებლად იმის მიუხედავად, მეთაური პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს თუ დიდს? (პასუხი დაასაბუთეთ).

მეტი ცოდნისათვის:

დონალდ ჯონ ტრამპი დაიბადა 1946 წლის 14 ივნისს აშშ-ში ნიუ-იორკში. ის იყო მეო–თხე შვილი ხუთშვილიან ოჯახში. რთული ხასია–თის გამო, 13 წლის ასაკში მიაბარეს სამხედრო აკა–დემიაში, რომელიც წარ–მატებით დაამთავრა 1964 წელს და ჩააბარა ფორ–დემის უნივერსიტეტში. იქ ისწავლა 4 სემესტრი და გააგრძელა სწავლა პელსილვანიის უნივერსიტეტთან არსებულ უორტონის ბიზნესს-სკოლაში. 1968 წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი, რომლის შემდეგაც მამამ დო–ნალდი ჩართო საოჯახო ბიზნესში. სამშენებლო კომპანიაში მუშა–ობას წარმატებით გაართვა თავი, ბიზნესის შემოსავლები გააორ–მაგა და წლების მანძილზე მილიარდებიც დააგროვა.

დ. ტრამპი რამდენიმეჯერ იმყოფებოდა ქორწინებაში. პირვე–ლად დაქორწინდა ჩეხ მოდელზე 1977 წელს, რომელთანაც ჰყავ–და 3 შვილი. ისინი განქორწინდნენ 1992 წელს. დ. ტრამპი მალე–ვე დაქორწინდა და ქალიშვილი შეეძინა, თუმცა ამ ქორწინებამ მხოლოდ 1999 წლამდე გაძლო.

სამშენებლო მაგნატი 2005 წელს ისევ დაქორწინდა ევროპელ ფოტომოდელზე, რომელთანაც ვაჟი შეეძინა.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, დონალდ ტრამპი რესპუბლიკე–

ლებს მიემხრო და 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც გაი–მარჯვა. აშშ-ების 45-ე პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართა 2017 წლის 20 იანვარს.

გიორგი კვირიკაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1967 წლის

20 ივლისს. 1991 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტე–ტი, ხოლო 1995 წელს ივანე ჯავახიშვი–ლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკის ფაკულტე–ტი, სპეციალობით - მრეწველობის და–გეგმვა. 1998 წელს მან დაამთავრა აშშ ილინოისის უნივერსიტეტი (University of Illinois at Champaign-Urbana, IL, USA, Master of Science in Finance), მაგისტრატურა, ფინანსების მიმარ–თულებით.

გ. კვირიკაშვილი 1993-1996 წლებში იყო "გაერთიანებული ქართული ბანკის" კრედიტოფიცერი, საკრედიტო დეპარტა–მენტის უფროსის მოადგილე, 1996-1997 წლებში. "ექსპორტ-იმპორტ" ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1998-1999 წლებში "გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალების მართვის დეპარტამენტის დირექტორი. 1999 წელს დაინიშნა სახელმწი–ფო კანცელარიაში ფისკალური, ფულად-საკრედიტო და საგა–რეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილედ, ასევე, საქართველოს მთავრობისა და USAID-ის ერთობლივი პროგრამის მცირე და საშუალო ბიზნესის გან–ვითარების ჯგუფის ხელმძღვანელად. 1999-2004 წლებში იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი საქართველოს მოქა–ლაქეთა კავშირის სიით, ხოლო 2000 წელს გამოეყო მოქალაქე–თა კავშირს სხვა ადამიანების ჯგუფთან ერთად და გახდა ფრაქ–

ცია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. მას 2001-2002 წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიჰყავდა კორპორატიული ფინანსების სალექციო კურსი. 2004-2006 წლებში იგი პირველი კომერციული ბანკის აღმასრულებელი დირექტორის კონსულტანტი იყო, ხოლო 2006-2011 წლებში ბანკი “ქართუ”-ს გენერალური დირექტორი. გ. კვირიკაშვილი 2012-2015 წლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი იყო. ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2015 წელს, ვიცე-პრემიერი 2013-2015 წლებში, ხოლო 2015- 2018 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

ქეისი №39

დიპლომატის მინიშნება ჩინეთს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის, **ძიან ძე მინის** საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში, ეროვნული ასამბლეის შესასვლელ კიბესთან მას პარლამენტის თავმჯდომარე კი არა, მისი კაბინეტის დირექტორი შეხვდა. მაშინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ, **ლორან ფაბიუსმა** ამ ჟესტით მაღალი რანგის სტუმარს აგრძნობინა, რომ მიუხედავად მისი სტატუსისა, ის უპირატესობას ადამიანის უფლებათა დაცვას ანიჭებდა. მაშინ როცა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მისაღებად ფაბიუსი არათუ კიბეებთან, არამედ ქუჩაში გავიდა და იქ დახვდა საპატიო სტუმარს.

კითხვები:

– რამდენად მართებულად მიგაჩნიათ პარლამენტის თავჯდომარის ქმედება? (დიპლომატიური პროტოკოლის გათვალისწინებით დაასაბუთეთ პასუხი);

– თქვენი აზრით, როგორი რეაქცია მოყვებოდა ჩინეთის პრე–ზიდენტის მხრიდან აღნიშნულ ფაქტს?

მეტი ცოდნისათვის:

ძიან ძე მინი 1926 წლის 17 აგვისტოს ჩინეთში, ქალაქ შანხაიში, ინტელიგენ–ტთა ოჯახში დაიბადა. ბაბუა ტრადიცი–ული ჩინური მედიცინის სპეციალისტი იყო, მამა კი ლექსებს წერდა და პატრიო–ტულ ჟურნალებს უშვებდა. მისი გარდაც–ვალების შემდეგ, იგი მამის კვალს გაჰყვა.

შანხაი ჟიაო ტონგის უნივერსიტეტის (ხელოვნებისა და მეცნიერების სპეცია–ლობით) დასრულებიდან 30 წლის განმავლობაში ძიანი მექანი–კური ინჟინერიის მიმართულებით მუშაობდა, 1985-1989 წლებში შანხაის მერის, 1993-2003 წლებში კი ჩინეთის სახალხო რესპუბ–ლიკის თავმჯდომარის, პოსტს იკავებდა. მისივე განცხადებით, კომუნისტურ პარტიას ის ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლის დროს შეუერთდა.

ლორან ფაბიუსი დაიბადა 1946 წლის 20 აგვისტოს პარიზში,

წარმატებული არტ-დილერის ოჯახში. ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავ–ლებლის, ადმინისტრაციის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ, მან მუშა–ობა დაიწყო სახელმწიფო საბჭოს აუდი–ტორად. მალევე გაწევრიანდა სოციალურ პარტიაში და აქტიურად თანამშრომლობ–და ფრანცუა მიტერანთან. როცა ეს უკანას–კნელი 1981 წელს პრეზიდენტად აირჩიეს,

ფაბიუსი ფინანსთა მინისტრი გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ - პრემიერ-მინისტრი. ის გახლდათ „ახალი“ ფრანგული სოციალიზმის, ღია საბაზრო ეკონომიკის მომხრე. იგი პოსტიდან გადადგა 1986 წელს, თუმცა პარტიული მოღვაწეობა კვლავ გააგრძელა. 2000 – 2002 წლებში დაინიშნა ეკონომიკის მინისტრად.

2007 წელს ლ. ფაბიუსი საპრეზიდენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ორივე კანდიდატთან ბრძოლა წააგო. 2012 წლის მაისში დაინიშნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრად და ეს თანამდებობა შეინარჩუნა 2016 წლის თებერვლამდე. იგივე წლის 18 მაისს არჩეულ იქნა პარლამენტის თავმჯდომარედ.

ლორან ფაბიუსი ამჟამად განქორწინებულია, მაგრამ ყოფილი მეუღლიდან ჰყავს ორი ვაჟი.

ქეისი №40

უცხოური ვიზიტის ეფექტიანობის საზომი

1993 წელს ჩატარებულმა ერთ-ერთმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ მოსახლეობის 34% საქართველოსთვის ყველაზე სასურველ სტრტეგიულ პარტნიორად თვლიდა გერმანიას მაშინ, როცა 19% - ამერიკას, 15% - უკრაინას და 14% - რუსეთს.

1996 წელს თბილისს საკმაოდ ტევადი Boeing A310-ით ეწვია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი **კლაუს კინკელი** და თან ჩამოიტანა დახმარების ახალი დაპირებები: „ჩვენს საქართველოსადმი დახმარებაში თქვენი პირადი წვლილია. თქვენ იღონეთ ყველაფერი, რომ გერმანია ერთიანი, აქტიური ქვეყანა გამხდარიყო...როცა ვიზიტს აცხადებ, თუ არ აივსო შენი თვითმფრინავი ბიზნესმენებით, ე.ი. ეს ვიზიტი უპერსპექტივოა. ამჯერად ჩემი თვითმფრინავი აივსო, გაიჭედა“. შევარდნაძემ

სთხოვა მას, რომ გერმანიას ეშუამავლა იმ კონფლიქტებში, რო–მელიც გრძელდებოდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და გამო–ყოფის მოსურნე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს შორის. კინკელმა ამ თხოვნაზე უარი უთხრა.

კითხვები:

– როგორ მიგაჩნიათ, არის თუ არა ყოველთვის ვიზიტის ეფექ–ტიანობის საზომი „გადაჭედილი თვითმფრინავი“?

– რა შედეგს გამოიღებდა საქართველოსათვის გერმანიის მი-ერ მეორე ალტერნატივაზე დათანხმება - ეშუამავლა კონფლიქ–ტებში?

მეტი ცოდნისათვის:

კლაუს კინკელი (დაიბ. 1936) – გერმანიის სახელმწიფო და პოლიტი–კური მოღვაწე. განათლება მიიღო შტუტგარტის და ტიუბინგენის უნი–ვერსიტეტებში. არის სამართლის დოქტორი. 1982-1991 წლებში იყო გერმანიის იუსტიციის სამინისტროს სტატს-მდივანი. გერმანიის იუსტიცი–ის მინისტრი იყო 1991-1992 წლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი - 1992-1998 წლებში, ამავდროულად ვიცე-კანცლერი 1993-1998 წლებში. აქტიუ–რი პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ, 1998 წლიდან ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას, ხელმძღვანელობდა ფონდ Deutsche Telekom-ს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **არტი რ., ჯერვისი რ.,** საერთაშორისო პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011.
2. **ასმუსი რ.,** მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. თბ., ილიაუნი, 2010.
3. **ბჟეზინსკი ზ.,** დიდი საჭადრაკო დაფა. თბ., „არტანუჯი“, 2014.
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
   - URL: http://www.un.org/ (ნანახია 21.11.2018)
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველოში - URL: http://www.ungeorgia.ge (ნანახია 21.11.2018)
6. **გეგეჭკორი დ.,** ჰენრი კისინჯერი. აკაკი წერფეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1999.
7. **გვახარია გ.,** კაცი, რომლის კარიერა ტყუილით (თუ შეცდომით?) დაიწყო. ლეონიდ ბრეჟნევი – 100.
   - URL: https://www.radiotavisupleba.ge/a/1550177.html (ნანახია 21.11.2018)
8. **დოღონაძე შ.,** საუბრები თანამედროვე ეტიკეტზე და დიპლომატიურ პროტოკოლზე. თბ., “ცის ნამი”, 2012.
9. **დოღონაძე შ.,** საქართველო: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ. თბ., „მეცნიერება“, 2002.
10. **დოღონაძე შ.,, ქოჩორაძე ო.,** საქმიანი ურთიერთობები. თბ., 2011.
11. „ზვიად გამსახურდია 79 ამბავი“. თბ., „არტანუჯი“, 2018.
12. **ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.,** დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ : (კომენტარი). თბ., „მერიდიანი”, 2002.

13. **მარგარეტ ტეტჩერი** - ქალი, რომელმაც შექმნა ეპოქა. -URL: https://analitikuriblogi.wordpress.com/ (ნანახია 21.11.2018)
14. **რონდელი ა.,** პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. „მეცნიერება". თბ., 2003.
15. **რონდელი ა.,** საერთაშორისო ურთიერთობები. „ნეკერი". თბ., 2006.
16. **რუსაძე ნ.,** საერთაშორისო უსაფრთხოება: გამოწვევები და პრობლემები (ქეისების კრებული). ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018. -URL: https://www.researchgate.net/publication/329308815_saertashoriso_usaprtkhoeba_-_gamotsvevebi_da_problemebi (ნანახია 21.11.2018)
17. **სანიკიძე გ. კიღურაძე ნ.** თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. თბ., 2001.
18. საქართველო: ენციკლოპედია: ტ.2. – თბ., 2012. – გვ.147 -URL: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00002837/ (ნანახია 21.11.2018)
19. **საჯარო მომსახურების ბიბლიოთეკა.** საქმიანი მიმოწერა. თბ., 2004.
20. **სენდსი ფ.,** სამართალს მოკლებული მსოფლიო. ევროპის უნივერსიტეტი, თბ., 2016.
21. **სვანაძე ლ.,** უინსტონ ჩერჩილი - რთული გზა მწვერვალისაკენ. წიგნი II. საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი. 2007. გვ. 309-310
22. **ტეტჩერი მ.,** როგორც თავად იტყოდა. თბ., „არტანუჯი", 2015.
23. **ქარუმიძე ვ.,** საერთაშორისო ორგანიზაციები. თბ., „პირველი სტამბა", 2004;

24. **შარაშენიძე თ.,** დიპლომატიის ისტორია - XIX საუკუნე. „ბაკურ სულაკაურის გამ.-ბა“, თბ., 2014.
25. **შარაშენიძე თ.,** დიპლომატიის ისტორია - 1890-1920. „ბაკურ სულაკაურის გამ.-ბა“, თბ., 2015.
26. **ჩარკვიანი გ.,** ნაცნობ ქიმერათა ფერხული. „ინტელექტი“. თბ., 2016.
27. **ჩიკვაიძე ა.,** პოლიტიკური ჭადრაკი სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით”. თბ., „ლოგოს პრესი“, 2004.
28. **ცაცანაშვილი მ.,** სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. თბ., „მერიდიანი“, 2013.
29. **ჯენტლესონი ბ.,** ამერიკის საგარეო პოლიტიკა. თბ., ილიაუნი, 2015.
30. **ჯოლია გ.,** ბიზნეს-ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება. სტუ, თბ., 2006.
31. **ჯოლია გ.,** ეტიკეტი, თბ., 2001.
32. **ჭიპაშვილი ჰ.,** დიპლომატია. „ინოვაცია-პლიუსი“, თბ., 2007.
33. **Аленина К.,** Сборник кейсов для международного менеджера. Пермь, 2004.
34. «Лучше десять лет переговоров, чем один день войны». Воспоминания об А.А. Громыко (Сост. Ал.А. Громыко). 2009 г. М.: Издательство «Весь Мир» -320 с. https://moiarussia.ru/diplomat-1-gospodin-net-v-sssr/ (ნანახია 21.11.2018)
35. **Мухитденова А.,** Инновационные методы преподавания политических дисциплин. – URL: http://www.rusnauka.com/11_NPE_2014/Pedagogica/5_166917.doc.htm (ნანახია 21.11.2018)

36. **Рожкова Л., Сальникова О.,** Международные отношения: ситуативно-аналитический практикум (учебно-методическое пособие). Пенза, 2015.
37. Методические материалы по курсу «Метод кейс-стади» / сост. О. Н. Калачикова.
– URL: http://umu.utmn.ru/files/case.doc (ნანახია 21.11.2018)
38. **Рябчикова Е.,** Методика проектного обучения. – URL: http://tmo.ito.edu.ru/2013/section/218/96729/ (ნანახია 21.11.2018)
39. **Шостакович С.,** Дипломатическая деятельность А.С. Грибоедова М.: «Соц.-эконом литература», 1960.
– URL: http://feb-web.ru/feb/griboed/critics/sho/sho-001-.htm?cmd=p (ნანახია 21.11.2018)
40. **R. Holmes,** In the Footsteps of Churchill. Basic Books, NY, 2005.
41. **M.Thatcher** Margaret Thatcher: The Autobiography. 2013.

წიგნი აიღწყო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში

ფურცლის ზომა A5,
ნაბეჭდი ფორმა 10,625

View publication stats